



**განათლების  
საინსტის განვითარების  
ეროვნული ცენტრი**

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი  
საგანმანათლებლო პროგრამის კლასტერის შესახებ

**აუდიოვიზუალური მეთოდებისა და მედია  
პროდუქცია/წარმოების კლასტერი:**

"ფოტოხელოვნების " საბაკალავრო პროგრამა  
"მედიახელოვნება/ციფრული მედიის" საბაკალავრო პროგრამა  
"გრაფიკული დიზაინის" საბაკალავრო პროგრამა  
"მედიახელოვნება/ციფრული მედიის" სამაგისტრო პროგრამა  
"მედიახელოვნება/ციფრული მედიის" (ინგლისურენოვანი)  
სამაგისტრო პროგრამა  
"მედიახელოვნება/ციფრული მედიის" სადოქტორო პროგრამა  
"მედიახელოვნება/ციფრული მედიის " (ინგლისურენოვანი)  
სადოქტორო პროგრამა

**სსიპ თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია**

შეფასების თარიღ(ებ)ი  
19-21 სექტემბერი

დასკვნის წარდგენის თარიღი

05.12.2023

თბილისი

## შინაარსი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ.....	4
II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამებელი დასკვნა.....	6
III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან.....	77
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა.....	77
2. <u>სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა</u> .....	53
3. <u>სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა</u> .....	69
4. <u>სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა</u> .....	77
5. <u>სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები</u> .....	111

**ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ**

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიითითებით	სსიპ თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	203851545
დაწესებულების ტიპი	უნივერსიტეტი

**ექსპერტთა ჯგუფის წევრები**

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	პიტერ პურგი, ნოვა გორიცას უნივერსიტეტი, სლოვენია
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	გიორგი ნიკურაძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	მირიან ყენია, ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი (GAU), საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	მაია ლევანიძე, სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	თინათინ გაბრიჩიძე, ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ნინო ბოკუჩავა, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ

	პროგრამა 1	პროგრამა 2	პროგრამა 3	პროგრამა 4	პროგრამა 5	პროგრამა 6	პროგრამა 7
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	"ფოტოხელოვნება"	"მედიახელოვნება/ციფრული მედია"	"გრაფიკული დიზაინი"	"მედიახელოვნება/ციფრული მედია"	"მედიახელოვნება/ციფრული მედია"	"მედიახელოვნება/ციფრული მედია"	"მედიახელოვნება/ციფრული მედია"
უმაღლესი განათლების საფეხური	დონე VI	დონე VI	დონე VI	დონე VII	დონე VII	დონე VIII	დონე VIII
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ხელოვნების ბაკალავრი ფოტოხელოვნებაში	ხელოვნების ბაკალავრი მედიახელოვნებაში	ხელოვნების ბაკალავრი გრაფიკულ დიზაინში	ხელოვნების მაგისტრი მედიახელოვნებაში	ხელოვნების მაგისტრი მედიახელოვნებაში	მედიახელოვნების დოქტორი	მედიახელოვნების დოქტორი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0211 აუდიოვიზუალური მეთოდები და მედია პროდუქცია/წარმოება	0211 აუდიოვიზუალური მეთოდები და მედია პროდუქცია/წარმოება	0211 აუდიოვიზუალური მეთოდები და მედია პროდუქცია/წარმოება	0211 აუდიოვიზუალური მეთოდები და მედია პროდუქცია/წარმოება	0211 აუდიოვიზუალური მეთოდები და მედია პროდუქცია/წარმოება	0211 აუდიოვიზუალური მეთოდები და მედია პროდუქცია/წარმოება	0211 აუდიოვიზუალური მეთოდები და მედია პროდუქცია/წარმოება
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/ საგნების/ საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება <sup>1</sup>							
სწავლების ენა	ქართული	ქართული	ქართული	ქართული	ინგლისური	ქართული	ინგლისური
ECTS კრედიტების რაოდენობა	240	240	240	120	120	20	20
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/არაკრედიტებული/პირობით	აკრედიტებული	აკრედიტებული	აკრედიტებული 21.10.2011N 162	აკრედიტებული	ახალი	ახალი	ახალი

<sup>1</sup>(მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)

აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	21.10.2011N 163	21.10.2011N 161		09.08.2012 N 339			
---	--------------------	--------------------	--	---------------------	--	--	--

## II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამელი დასკვნა

- ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ<sup>2</sup>

2006 წელს ჩატარდა მედიახელოვნების ფაკულტეტის პროგრამების პირველი აკრედიტაცია: საბაკალავრო პროგრამები - კომპიუტერული გრაფიკა, გრაფიკული დიზაინი და ფოტოხელოვნება და სამაგისტრო პროგრამა - კომპიუტერული გრაფიკა. 2009 წელს, კომპიუტერული გრაფიკის, გრაფიკული დიზაინისა და ფოტოხელოვნების საბაკალავრო პროგრამებსა და კომპიუტერული გრაფიკის სამაგისტრო პროგრამას დაამატეს სადოქტორო პროგრამა ციფრულ და გეომეტრიულ მოდელირებაში მედია ხელოვნების დოქტორის კვალიფიკაციით და მიიღეს სრული აკრედიტაცია. სადოქტორო პროგრამა ასევე იყო ერთადერთი პრაქტიკული და კვლევაზე ორიენტირებული სახელოვნებო/სამეცნიერო სადოქტორო პროგრამა ქვეყნის აკადემიურ სივრცეში. 2014 წელს ფაკულტეტზე შეიქმნა კვლევითი განყოფილება სახელწოდებით ვიზუალური კომუნიკაციებისა და მედიახელოვნების ინსტიტუტი, რომელიც დღემდე აგრძელებს მუშაობას. ფაკულტეტის წევრები სტუდენტებთან ერთად მონაწილეობენ შემოქმედებით კვლევებსა და ექსპერიმენტულ პროცესებში, მედიახელოვნებისა და ციფრული მედიის სფეროში.

2013 და 2018 წლებში ფაკულტეტის პროგრამების გეგმიური ხელახალი აკრედიტაციის დროს, მოხდა კომპიუტერული გრაფიკის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების აკრედიტაცია მოდიფიცირებული სახელწოდებით „ციფრული მედია“. უცვლელი დარჩა გრაფიკული დიზაინისა და ფოტოხელოვნების საბაკალავრო პროგრამები, ასევე ციფრული და გეომეტრიული მოდელირების სადოქტორო პროგრამები. უახლესი ხელახალი აკრედიტაციის საბჭოს 2018 წლის 13.04.2018 გადაწყვეტილებით, მედიახელოვნების ფაკულტეტის ციფრული და გეომეტრიული მოდელირების სადოქტორო პროგრამას მიენიჭა პირობითი აკრედიტაცია 9 თვის ვადით (საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება No. 54, 2018, 13. 04. სხდომის ოქმი No17). ფუნდამენტური ცვლილებები უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლების შემუშავებაში, განახლებაში და დამტკიცებაში, ასევე დარგობრივი საბჭოების, დარგობრივი სამუშაო ჯგუფების შექმნა და საქმიანობის წესის დამტკიცება (ბრძანება 476/ი, 11.06.2019წ.) გახდა მიზეზი იმისა, რომ ამ უაღრესად ცვალებად და განვითარებად სფეროში პროგრამის აკრედიტაციისთვის მზადება დღემდე გაგრძელდა.

სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის, თვითშეფასების ჯგუფის, ფაკულტეტის საბჭოსა და თსსა-ს აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით, დამსაქმებელთა და ციფრული და გეომეტრიული მოდელირების სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულთა რეკომენდაციების გათვალისწინებით, შეიქმნა ახალი სადოქტორო პროგრამა - მედიახელოვნება/ციფრული მედია. პროგრამა ეფუძნება პრაქტიკოსთა დიდ გამოცდილებას, ქვეყნის საერთო ტენდენციებისა და ითვისების წინაშე ხელოვნების უმაღლესი განათლების მესამე საფეხურის - დოქტორანტურის თანამედროვე ლანდშაფტს - მედია ხელოვნება/ციფრული მედია. პროგრამა ფოკუსირებულია პრაქტიკაზე ორიენტირებულ კვლევაზე, სადაც მოდელირების ტექნიკით იქმნება ციფრული მედია ხელოვნება და ტარდება შემოქმედებით-კვლევითი

<sup>2</sup> პროგრამებთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი

ექსპერიმენტები, თანამედროვე ტექნიკური და ტექნოლოგიური შესაძლებლობების გამოყენებით.

ფაკულტეტის საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები მიმართულია მედიახელოვნების სფეროში თანამედროვე ხელოვნების/მკვლევარების აღზრდაზე, რომელთა ცოდნა ეფუძნება ახალი ტექნოლოგიების შესაძლებლობებს და ტრადიციული დისციპლინების სინთეზს. ამავდროულად, პროგრამების მთავარი მიზანია მოამზადოს სპეციალისტები, რომლებიც დასაქმდებიან ციფრული ინდუსტრიის სხვადასხვა სფეროში, ხელოვნებისა და კულტურის სხვადასხვა სექტორში. მათ აქვთ ამბიცი, ჩაერთონ პედაგოგიურ და კვლევით საქმიანობაში, განათლების სექტორის სხვადასხვა დონეზე. ამიტომ, ტრადიციულად, მედიახელოვნების ფაკულტეტის სამივე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს კრეატიულ გადაწყვეტილებებს, ვიზუალური კომუნიკაციის ფუნქციურ და შემოქმედებითად ესთეტიკურ ასპექტებს, რეკლამას, სურათებისა და ტექსტის გამოყენებას, ფოტოგრაფიას, გრაფიკულ და ციფრულ დიზაინს, ანიმაციას და ვიდეო წარმოებას, ინფორმაციის დიზაინს (ინფოგრაფიკა), წიგნის დიზაინს, თამაშის დიზაინს, ვირტუალურ, ინტერაქტიულ, იმერსიულ ხელოვნებას და 2D და 3D გრაფიკას.

თსსა-ს მედიახელოვნების ფაკულტეტის მიმდინარე საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებია ციფრული მედიის, გრაფიკული დიზაინის, ფოტოხელოვნების საბაკალავრო და ციფრული მედიის სამაგისტრო პროგრამა. ციფრული მედიის საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა: I/II/III/IV სემესტრი საერთოა სამი „კონცენტრაციისთვის“, რომლებიც შემდეგ გაიყოფა V სემესტრიდან და მათი კვალიფიკაცია შემდეგია: 1. 080201 ხელოვნების ბაკალავრი (ციფრული მოდელირება და დიზაინი), 2. 080202 ხელოვნების ბაკალავრი (მულტიმედია დიზაინი), 3. 080203 ხელოვნების ბაკალავრი (ციფრული და მხატვრული ანიმაცია). კურიკულუმი შედგება: ძირითადი სპეციალობის დისციპლინებისაგან 65 ECTS; სპეციალიზაციის დისციპლინები 80 ECTS; ხელოვნების ისტორია 20 ECTS (სავალდებულო); 15 ECTS (არჩევითი საგნები); საუნივერსიტეტო დისციპლინები 35 ECTS (სავალდებულო); 25 ECTS (არჩევითი საგნები).

ციფრული მედიის საბაკალავრო პროგრამის სპეციალიზაციის დისციპლინები შეადგენს 120 ECTS-ს, რომლებიც განსხვავდება ფოკუსისა და სპეციალიზაციის მიხედვით, ხოლო საბაზისო, ხელოვნების ისტორიისა და საუნივერსიტეტო დისციპლინები სამივე მიმართულებისთვის ერთნაირი სტრუქტურით მიმდინარეობს, ისევე როგორც ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამებისთვის - გრაფიკული დიზაინის კვალიფიკაცია - 080204 ხელოვნების ბაკალავრი (გრაფიკული დიზაინი) და ფოტოგრაფია - კვალიფიკაცია - 080101 ხელოვნების ბაკალავრი (ფოტოგრაფია).

• **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

19, 20 და 21 სექტემბერს, აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში „ აუდიო-ვიზუალური მეთოდებისა და მედიაწარმოების “ კლასტერის აკრედიტაციის ვიზიტი გაიმართა. სააკრედიტაციო შეფასება, N1035124 ბრძანების საფუძველზე, დაევალა 7 წევრისგან შემდგარ ექსპერტთა ჯგუფს, რომელსაც თავმჯდომარეობდა საერთაშორისო ექსპერტი.

ადგილზე ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფი ორჯერ შეიკრიბა დისტანციური კომუნიკაციის სისტემის (ზუმი) გამოყენებით, რათა განეხილათ პროგრამების შესახებ წინასწარი მიგნებები,

კლასტერის თვითშეფასების ანგარიშსა და დოკუმენტებზე დაყრდნობით, და დაეგემათ ადგილზე ვიზიტი.

ექსპერტთა ჯგუფს, შეფასების დაგეგმვისა და ჩატარების მთელი პროცესის განმავლობაში, ეხმარებოდა ცენტრის ორი წარმომადგენელი. შეხვედრები უზრუნველყოფილი იყო თანმიმდევრული თარგმანით.

ადგილზე ვიზიტი ჩატარდა წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის შესაბამისად, თანამშრომლობით გარემოში. ექსპერტთა ჯგუფს სურს მადლობა გადაუხადოს თსსა-ს კარგად ორგანიზებული პროცესისთვის. ექსპერტები შეხვდნენ კლასტერის შიდა და გარე დაინტერესებულ მხარეებს, მათ შორის: უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, თვითშეფასების ჯგუფს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, პროგრამების ხელმძღვანელებს, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, დოქტორანტებისა და მაგისტრანტების ხელმძღვანელებს (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა და დოქტორი), დამსაქმებლებს, სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს. შეხვედრების შემდეგ, ექსპერტთა ჯგუფმა ჩაატარა შემაჯამებელი სესია პროგრამის ხელმძღვანელებთან და ხარისხის უზრუნველყოფის ოფისთან, ნებისმიერი ხარვეზის აღმოსაფხვრელად და მიგნებათა საბოლოო ფორმირების მხარდასაჭერად. წინასწარი მიგნებები ექსპერტებმა გააცნეს თსსა-ს წარმომადგენლებს. ასევე მოხდა კლასტერის მატერიალურ-ტექნიკური რესურსებისა და ბიბლიოთეკის დათვალიერება.

ვიზიტის დროს დაწესებულებიდან გამოითხოვეს დამატებითი დოკუმენტაცია, რომელიც დროულად იქნა მიწოდებული. დაწესებულების წარმომადგენლები, როგორც აღინიშნა, თანამშრომლობდნენ და გამოთქვეს მზადყოფნა ითანამშრომლონ გარე შემფასებლებთან და აღიქვან შეფასების პროცესი პროგრამების უწყვეტი განვითარების ინსტრუმენტად .

- საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

**ფოტოხელოვნების საბაკალავრო პროგრამა:**

- 1 სტანდარტი: ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- 2 სტანდარტი: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- 3 სტანდარტი: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- 4 სტანდარტი: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- 5 სტანდარტი: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

**გრაფიკული დიზაინი, საბაკალავრო პროგრამა:**

- 1 სტანდარტი: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- 2 სტანდარტი: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- 3 სტანდარტი: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- 4 სტანდარტი: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- 5 სტანდარტი: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან





- გადაიხედოს პროგრამების სასწავლო გეგმის რუკები; რუკებზე დაყრდნობით, შემუშავდეს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა, შეფასების კონკრეტული პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდების მითითებით, რომლებიც დაზუსტებული უნდა იყოს თითოეული პროგრამისთვის, სპეციალობის სპეციფიკისა და მათი სამიზნე ნიშნულების გათვალისწინებით. უზრუნველყოფილ იქნას პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება. ამ პროცესში ტერმინოლოგია უკეთესად უნდა იყოს ასახული და მოწესრიგებული; გამოყენებული უნდა იყოს აუდიოვიზუალური ხელოვნებისთვის დამახასიათებელი ტერმინოლოგია, რადგან ახლა ის ზედმეტად ზოგადია;
- გაიზარდოს სამაგისტრო პროგრამებში კვლევითი სამუშაოს მნიშვნელობა;
- რეკომენდებულია, შრომის ბაზრის საფუძვლიანი ემპირიული ანალიზის ჩატარება, რაც მიზნად ისახავს ზუსტად დადგინდეს ის რეკვიზიტები, რომლებიც საჭიროებენ დამსაქმებლების მიერ აღნიშნული დამატებითი სწავლების აუცილებლობას კურსდამთავრებულებისთვის. ამ ემპირიული კვლევის შემდეგ, სასწავლო კურსები უნდა დაკორექტირდეს, გამოვლენილი მოთხოვნების შესაბამისად. ეს ძალისხმევა უზრუნველყოფს კლასტერის კურსდამთავრებულებისთვის აუცილებელი ცოდნის სფეროების ყოვლისმომცველ დაფარვას, შრომის ბაზრისა და დამსაქმებლების მიერ გამოხატული კონკრეტული მოთხოვნების შესაბამისად;
- დაინერგოს გამჭვირვალე და თანაბრად დაცული კრიტერიუმები საბოლოო ნაშრომის შესაფასებლად გამოცდებზე, თუმცა განსაკუთრებით საფინანსო ნაშრომებზე, რაც მცირედ ეხება სამაგისტრო დისერტაციებს, მაგრამ დიდწილად და მნიშვნელოვნად ეხება სადოქტორო ნაშრომებს.
- რეკომენდებულია, შეფასების ფორმების გადახედვა და შეცვლა ისე, რომ ისინი შეესაბამებოდეს საგნების სპეციფიკას;
- საერთაშორისო მობილობა უნდა გახდეს უფრო აღიარებადი და მეტად სისტემატური (განსაკუთრებით, ერასმუსის მხარდაჭერით) სტუდენტებისთვის;
- უსდ-მ აქციოს კარიერული სერვისები/ცენტრი სტუდენტებისთვის კარგად ნაცნობ და პრაქტიკული ღირებულების მქონე ერთეულად.
- დაბალანდეს ხელმძღვანელობის დატვირთვა მოწვეულ და დასაქმებულ პერსონალს შორის და ორივე მხარისთვის დაინერგოს შესაბამისი წახალისების მექანიზმები.
- დაინერგოს გამჭვირვალე და თანაბრად დაცული კრიტერიუმები საბოლოო ნაშრომის შესაფასებლად, ხელმძღვანელობის ინდივიდუალურ შემთხვევებში მიკერძოების განეიტრალებისთვის.
- უსდ-მ მონიტორინგი გაუწიოს ხელმძღვანელებისა და მათი მაგისტრანტებისა და დოქტორანტების რაოდენობას, რათა უზრუნველყოფილ იქნას პროცესისა და მუშაობის ხარისხი, ასევე პერსონალის რეალისტური სამუშაო დატვირთვა;
- შემცირდეს პროგრამის მართვაში ერთპიროვნულობის რისკი და განიტვირთოს ფაკულტეტის დეკანის თანამდებობა (რომელიც ასევე მოქმედებს როგორც სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელი და ფაქტობრივად, ასევე ჩართულია აქ განხილული სხვა პროგრამების მართვაში). ეს საკითხი სასწრაფოდ უნდა მოგვარდეს ისე, რომ პროგრამის ხელმძღვანელებმა, რომლებიც ამჟამად ნომინირებულნი არიან, მაგრამ არ აქვთ რეალურად უფლებამოსილება (ან ცოდნა, პროცესების კომპეტენცია, სტუდენტების შერჩევა, პროგრამის განახლება, დამსაქმებლებთან კონტაქტი და ა.შ.) რეალურად იზრუნონ თავიანთ პროგრამებზე.

- თუკი მედიახელოვნების პროგრამები მიიღებენ აკრედიტაციას, სასურველია რომ საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურის პროგრამებს ჰყავდეთ ცალცალკე ხელმძღვანელები, და თუკი აკრედიტაცია მიენიჭება ინგლისურენოვან პროგრამებს, მაშინ მათ ხელმძღვანელებს უნდა ჰქონდეთ შესაბამისი ენის ცოდნა.
- ინვესტიცია ჩაიდოს მასწავლებელთა მუდმივ პროფესიულ განვითარებაში. მიეწოდოს მათ განახლებული ინფორმაცია უახლეს კვლევებსა და განათლების საუკეთესო პრაქტიკებზე.
- დაინერგოს წახალისების მექანიზმი მოწვეული პერსონალის ამჟამად არაანაზღაურებადი სამუშაოს დასაჯილდოვებლად, განსაკუთრებით მათ ადმინისტრაციულ და ხელმძღვანელობით საქმიანობაში.
- აუცილებელია ტექნიკური ბაზის გაძლიერება, რაც პირდაპირ კავშირშია თანხების მოზიდვასთან.
- უზრუნველყოფილ იქნას სტრატეგიული და ეფექტური მიდგომა პროგრამებში ახალი აღჭურვილობის შესაძენად. ამის შესახებ ინფორმაცია მიეწოდოს სტუდენტებს, რათა მათ იცოდნენ რა კეთდება და რისი შედეგია მოხდება უახლოეს მომავალში.
- უსდ ამბიციურად მიუდგეს სასწავლო სივრცეების დასრულებას და უზრუნველყოს მხოლოდ სტუდენტური სამუშაოსთვის განკუთვნილი ადგილი (სტუდია) მინიმუმ მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტებისთვის.
- უნდა გადაიხედოს ყველა პროგრამის საბიუჯეტო ხაზი, რათა უზრუნველყოფილი იყოს, რომ ბიუჯეტი მოიცავდეს კვლევითი საქმიანობის განვითარებისა და პროგრამების საერთო განვითარებისთვის საჭირო ხარჯებს, მაგრამ განსაკუთრებით აღჭურვილობისთვის განკუთვნილ ხარჯებს. საჭიროა სტრატეგიული მიდგომა.
- გაიზარდოს პროგრამის პერსონალის თანაბრად ჩართულობის დონე ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებში და მათი თანამშრომლობა ხარისხის უზრუნველყოფის ოფისთან, რადგან ჩანს რომ, ახალგაზრდა პერსონალი, ინფორმირებულია და მოტივირებულია ამისთვის.
- რეკომენდებულია, გამოკითხვის კითხვარების საფუძვლიანი სისტემატიზაცია და IT მხარდაჭერა მომხმარებლის გამოცდილებისა და ფუნქციონალურობის თვალსაზრისით, ისევე როგორც სტუდენტებს შორის გამოკითხვების თანმიმდევრული პოპულარიზაცია, რათა მონაცემები (რომელზეც ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ასე ძლიერ არის დამოკიდებული) იყოს შესაბამისი და თანმიმდევრული.
- რეკომენდებულია, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განხორციელების შედეგების საფუძვლიანი და სისტემატური ანალიზი ინდივიდუალური პროგრამისა და სასწავლო კურსის დონეზე. მიგნებები უნდა განხორციელდეს ციკლურად, რათა გაუმჯობესდეს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ხარისხის სრულად შეკრული ციკლით.

#### **რეკომენდაციები პროგრამებისთვის:**

##### **პროგრამა 1 ფოტოხელოვნება, საბაკალავრო პროგრამა:**

- ფოტოხელოვნების პროგრამის მიზნები უნდა იყოს უფრო მკაფიოდ განსაზღვრული, რათა დაუკავშირდეს ცალკეული კურსის მიზნებსა და შედეგებს, ასევე შეესაბამებოდეს იმას, რაც რეალურად სჭირდებათ დამსაქმებლებს;
- უნდა დაზუსტდეს შიდა შესაბამისობა და ტექნოლოგიებსა და მეთოდებზე რეალური მითითება (იხ. ანალიზი);
- რეკომენდებულია, პროგრამის სწავლის შედეგების მოდიფიცირება აკადემიური და მოწვეული პერსონალის აქტიური ჩართულობით, რათა ისინი სრულად შეესაბამებოდეს დარგის

სპეციფიკას და შეიცავდეს დარგისთვის საჭირო ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, აგრეთვე იყოს თანმიმდევრული.

- პროგრამას უნდა დაემატოს ფოტოგრაფიის ისტორია და ხელოვნება;
- რეკომენდებულია, პროგრამის საგნების ბაღე გადაიხედოს და შევიდეს მასში ცვლილებები, პროგრამის სწავლის შედეგებისა და ამოცანების გათვალისწინებით.
- რეკომენდებულია, დამსაქმებლები იყვნენ სათანადოდ ინფორმირებულები და მონაწილეობა მიიღონ პროგრამის შემუშავებაში;
- „საკურსოს“ და „პორტფოლიოს“ სილაბუსი უნდა გადაიხედოს, რადგან ისინი ნაწილობრივ არათანმიმდევრულია მიზნებისა და მუშაობის მეთოდების თვალსაზრისით;
- რეკომენდებულია, სილაბუსის გადახედვა „2D რასტრული გრაფიკა“, რომელიც ძალიან ზედაპირულია და არ იძლევა შესაძლებლობას, ასწავლოს სტუდენტს ფოტოხელოვანისთვის საჭირო ხელსაწყოები;
- რეკომენდებულია, მომველებული სავალდებულო ლიტერატურის ახლით ჩანაცვლება;
- სავალდებულო ლიტერატურაში რეკომენდებულია ქართულენოვანი წყაროების ჩართვა;
- დამხმარე ლიტერატურაში რეკომენდებულია უცხოენოვანი წყაროების მითითება;
- პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველსაყოფად, რეკომენდებულია, ინგლისური ენის ცოდნა, როგორც წინაპირობა იმ საგნებისთვის, რომლებსაც არ გააჩნიათ ქართულენოვანი წყაროები;
- რეკომენდებულია, სალექციო ბადის შინაარსის გადახედვა სილაბუსებში: „თავისუფალი პროექტი“, „თავისუფალი პროექტი/თემატური“, „სარეკლამო და საიმეჯო ფოტოგრაფია“, რათა თავიდან იქნას აცილებული შინაარსის გამეორება და დუბლირება;

#### **პროგრამა 2 გრაფიკული დიზაინი, საბაკალავრო პროგრამა:**

- ტექნიკური ბაზის განახლება ან გარე სტუდიური მხარდაჭერა/ჩართვა რეალური პრაქტიკული გამოცდილების მისაღებად;

#### **პროგრამა 3 მედიახელოვნება/ციფრული მედია, საბაკალავრო პროგრამა:**

- აუცილებელია პროგრამაში ვიზუალური ხელოვნების ისტორიის ნაწილის შემცირება და აუდიოვიზუალური ხელოვნების ისტორიით ჩანაცვლება;
- დაკონკრეტდეს, რომ პროგრამის სახელწოდება „მედია ხელოვნება“, რეალურად „შემოქმედებით ინდუსტრიებს“ უკავშირდება დასაქმების ქართულ რეალობაში, სულ მცირე ისე როგორც ეს ასახულია პროგრამის შესავალ ნაწილებში (განსაკუთრებით, საჯარო ინფორმაციაში).
- შეფასების სისტემაში ხმის დიზაინი ფასდება, როგორც ცალკე საგანი. ამიტომ აუცილებელია ხმის დიზაინის სწავლება არა მხოლოდ პროგრამების დაუფლების ან მუსიკალური ნაკადის მიმართულებით, არამედ ზოგადად (ხმა, პროგრამები: ბუნებრივი ხმები, მუსიკალური ლაიტმოტივი და ა.შ.);
- გადაიხედოს შესაბამისი კურსები, რათა მათში შევიდეს პრაქტიკული სწავლის (შედეგების) კომპონენტი, რომელიც გაიყვანს სტუდენტებს სკოლის გარეთ, მაგალითად: განთავსება, სტუდიასა და სამუშაო ადგილებზე ვიზიტები, სამუშაო ფარული დაკვირვება და ა.შ., ან კლასში შევიდეს რეალური პროექტები. ამით სტუდენტებს მიეცემათ შესაძლებლობა, რეალურ კლიენტებთან ჰქონდეთ შეხება, ჯერ კიდევ კურსის დასრულებამდე.

#### **პროგრამა 4 მედიახელოვნება/ციფრული მედია, სამაგისტრო პროგრამა (ქართულენოვანი):**

- ვინაიდან საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებულია, რომ კურსდამთავრებულთა დასაქმების სფერო მოიცავს თეატრს, კინოს, ტელეინდუსტრიას, სახვითი ხელოვნების შესწავლის პარალელურად აუცილებელია აუდიოვიზუალური სფეროს სპეციფიკის შესწავლის გაფართოება. სილაბუსის დონეზე რეკომენდებულია, თეორიული ნაწილის გაძლიერება და კვლევის კომპონენტისთვის მეტი ყურადღების დათმობა;
- სამაგისტრო პროგრამაში შესწავლილი უნდა იყოს აუდიოვიზუალური რეჟისურის საფუძვლები და მონტაჟის ძირითადი პრინციპები, რათა სტუდენტმა მიიღოს სასურველი შედეგი და განივითაროს სასურველი უნარები;
- მედიახელოვნების სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელს დაემატოს დამატებითი ხელმძღვანელი, რომელსაც აქვს აუდიოვიზუალური და მედიახელოვნების კვალიფიკაცია და მედიახელოვნების აქტიური პროფესიული გამოცდილება ბოლო 5 წლის განმავლობაში.

**პროგრამა 5 მედიახელოვნება/ციფრული მედია, სამაგისტრო პროგრამა (ინგლისურენოვანი):**

- ვინაიდან საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებულია, რომ კურსდამთავრებულთა დასაქმების სფერო მოიცავს თეატრს, კინოს, ტელეინდუსტრიას, სახვითი ხელოვნების შესწავლის პარალელურად აუცილებელია აუდიოვიზუალური სფეროს სპეციფიკის შესწავლის გაფართოება. მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს თანამედროვე ხელოვნების ისტორიას და უახლესი ტენდენციებისა და ტექნოლოგიების გაცნობას.
- მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს თანამედროვე ხელოვნების ისტორიას და უახლესი ტენდენციებისა და ტექნოლოგიების გაცნობას;
- მედიახელოვნების სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელს დაემატოს დამატებითი ხელმძღვანელი, რომელსაც აქვს აუდიოვიზუალური და მედიახელოვნების კვალიფიკაცია და მედიახელოვნების აქტიური პროფესიული გამოცდილება ბოლო 5 წლის განმავლობაში.

**პროგრამა 6 მედიახელოვნება/ციფრული მედია, სადოქტორო პროგრამა (ქართულენოვანი):**

- შედეგების უფრო მკაფიოდ გაფართოება თანამედროვე ხელოვნების ან ახალი/ინტერმედია სფეროების მიმართ, რაც მოსალოდნელია მედიახელოვნების პროგრამისგან;
- სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტი გაიზარდოს და გახდეს დასაქმებისთვის უფრო მეტად შესაბამისი, ხელმძღვანელობის ნაწილი გახდეს უფრო მეტად გამჭვირვალე.
- უნდა გაიზარდოს პროგრამის კვლევითი კომპონენტი.
- მაშინაც კი, თუ პროგრამებისთვის პერსონალის რაოდენობა და შესაძლებლობები მინიმალურად საკმარისი ჩანს, თუ ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი პროგრამები ერთად უნდა განხორციელდეს, მაშინ უნდა გაიზარდოს პერსონალი როგორც საერთო რაოდენობის კუთხით, ასევე უნდა გაიზარდოს მათი ენის ცოდნის კომპეტენცია, რათა შეძლონ ხელმძღვანელობა ინგლისურ ენაზე და მუშაობა სხვადასხვა შესაძლო სფეროში;
- ხელმძღვანელებს უნდა შეეძლოთ დისერტაციის ბიბლიოგრაფიის კონტროლი და ხელი შეუწყონ კვლევის ინსტრუმენტების სწორად გამოყენებას;
- მედიახელოვნების სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელს დაემატოს დამატებითი ხელმძღვანელი, რომელსაც აქვს აუდიოვიზუალური და მედიახელოვნების

კვალიფიკაცია და მედიახელოვნების აქტიური პროფესიული გამოცდილება ბოლო 5 წლის განმავლობაში.

#### **პროგრამა 7 მედია ხელოვნება/ციფრული მედია (სადოქტორო) (ინგლისურენოვანი):**

- შედეგების უფრო მკაფიოდ გაფართოება თანამედროვე ხელოვნების ან ახალი/ინტერმედია სფეროების მიმართ, რაც მოსალოდნელია მედია ხელოვნების პროგრამისგან;
- სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტი გაიზარდოს და გახდეს დასაქმებისთვის უფრო მეტად შესაბამისი, ხელმძღვანელობის ნაწილი გახდეს უფრო მეტად გამჭვირვალე.
- უნდა გაიზარდოს პროგრამის კვლევითი კომპონენტი;
- მაშინაც კი, თუ პროგრამებისთვის პერსონალის რაოდენობა და შესაძლებლობები მინიმალურად საკმარისი ჩანს, თუ ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი პროგრამები ერთად უნდა განხორციელდეს, მაშინ უნდა გაიზარდოს პერსონალი როგორც საერთო რაოდენობის კუთხით, ასევე უნდა გაიზარდოს მათი ენის ცოდნის კომპეტენცია, რათა შეძლონ ხელმძღვანელობა ინგლისურ ენაზე და მუშაობა სხვადასხვა შესაძლო სფეროებში;
- ხელმძღვანელებს უნდა შეეძლოთ დისერტაციის ბიბლიოგრაფიის კონტროლი და ხელი შეუწყონ კვლევის ინსტრუმენტების სწორად გამოყენებას;
- მედიახელოვნების სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელს დაემატოს დამატებითი ხელმძღვანელი, რომელსაც აქვს აუდიოვიზუალური და მედიახელოვნების კვალიფიკაცია და მედიახელოვნების აქტიური პროფესიული გამოცდილება ბოლო 5 წლის განმავლობაში.

- **რჩევები პროგრამების განვითარებისთვის**

#### **კლასტერი:**

- რამდენადაც „მედიახელოვნება“, როგორც სახელწოდება, ფაქტობრივად, უკავშირდება „შემოქმედებით ინდუსტრიებს“ ქართულ დასაქმების რეალობაში, რადგან მაგისტრატურის და დოქტორანტურის კურსდამთავრებულებისთვის არ არსებობს ხელოვნების სფეროს წარმოებაში მუშაობის რეალური შესაძლებლობები (როგორც კულტურული ინდუსტრია), ეს უკეთ უნდა აისახოს პროგრამის შესავალ ნაწილებში (განსაკუთრებით საჯარო ნაწილში).
- სახელოვნებო სადოქტორო ნაშრომი/კვლევა საქართველოში უკვე ოფიციალურად არის აღიარებული, თუმცა აკადემიური ცხოვრებისა და კულტურული სფეროს ყველა ასპექტში ფაქტობრივი აღიარება ჯერ კიდევ მისაღწევია, რაც დაწესებულებამ იცის და ცდილობს ამაში წვლილი შეიტანოს. ამისთვის ექსპერტთა ჯგუფი გვთავაზობს უფრო სტრატეგიულ და ენერჯიულ მიდგომას, ვინაიდან თსსა არის ხელოვნების მთავარი ეროვნული აკადემია და, შესაბამისად, პასუხისმგებელია ასეთ პროგრესსა და აღიარებაზე;
- აკადემიამ უნდა გადახედოს თეორიულ და ისტორიულ კურსებს, პროგრამებისა და სასწავლო გეგმების მიხედვით, ისე, რომ ისინი რეალურად ასახავდნენ მედიახელოვნების სფეროს რეალობას და აქტუალურობას;
- დაინერგოს სასწავლო გეგმის შემუშავების პროცესის სტრუქტურირებული მიდგომა (სილაბუსების აგება), რომელიც ასევე მოიცავს მეთოდოლოგიურ/დიდაქტიკურ მხარდაჭერას. ოფიციალური სახე მიეცეს და გახდეს სრულად გამჭვირვალე (ასევე, სრულად გასაგები როგორც დაინტერესებული მხარეებისთვის, განსაკუთრებით სტუდენტებისა და დამსაქმებლებისთვის) ის მონაცემები, რომელთა საფუძველზეც ხდება პროგრამის შემუშავება და/ან ცვლილება.

- ტექნიკის სწავლა პროგრამული უზრუნველყოფის საბაზისო უნარების თვალსაზრისით უნდა იყოს მინიმუმამდე დაყვანილი (რადგან ამის სწავლა შესაძლებელია ონლაინ) და დიდწილად განვითარდეს აკადემიურ და კრეატიულ დონეზე, სტუდენტის ინდივიდუალურ შემოქმედებით პოტენციალსა და კომპეტენციაზე ხაზგასმით;
- ქართული/მსოფლიო ხელოვნების ისტორია უნდა განახლდეს ისე, რომ საგანი შეესაბამებოდეს იმ მედიახელოვნების სფეროებს, რომელთაც ეს კურსი ეხება;
- სასურველია რეალურ მომხმარებელთან და ბაზართან მუშაობის პრაქტიკის დანერგვა მემორანდუმებით ან სხვა თანამშრომლობითი ფორმატით. ხოლო კვლევითი პროგრამებისთვის აუცილებელია არჩეული თემის აქტუალობის კონტროლი;
- შეიქმნას ნამდვილად პოზიტიური და მხარდამჭერი საკლასო გარემო;
- კლასტერმა გამოიყენოს თანამედროვე ტექნოლოგიები სწავლებისა და სწავლის გასაუმჯობესებლად, მაგალითად: ბაკალავრიატის დონეზე (ძირითადი გამოყენება), ასევე სამაგისტრო პროგრამაზე (მოწინავე გამოყენება);
- ზოგადად, რეკომენდებულია, რომ განხილული კლასტერის პროგრამებში (მაგ., საბაკალავრო, მაგრამ ასევე სამაგისტრო) შემცირდეს იმ წერილობითი ტესტების საერთო რაოდენობა და წილი, რომლებიც დამოკიდებულია დისკურსიულ მეთოდებსა და ინსტრუმენტებზე, და მეტი ყურადღება დაეთმოს პრაქტიკული ცოდნისა და კომპეტენციების შეფასებას, რაც საკვანძოა შემოქმედებითი აკადემიური დისციპლინებისთვის;
- დაინერგოს ელექტრონული სწავლების დროს, სტუდენტთა შეფასებების სანდოობისა და მართებულობის მონიტორინგის მეთოდი;
- სტუდენტებს მიეცეთ უფრო სტრუქტურირებული და თანმიმდევრული ხარისხის უკუკავშირი მთელი პროგრამის მასშტაბით (გამოყოფილი იყო თეორიული და ისტორიული საგნები; განსხვავებით უფრო პრაქტიკული/ტექნიკური საგნებისგან, სადაც გამოხმაურება მყისიერი და ფართოა);
- გაუმჯობესდეს სასწავლო უნარები: შეთავაზებულ იქნას ტუტორის სერვისები და ვორქშოფები, რათა თანამედროვე ტექნოლოგიების დახმარებით გაუმჯობესდეს სტუდენტების სასწავლო უნარები; ხელი შეეწყოს მათ აკადემიურ ზრდას და სრულყოფილებას.
- კარიერული განვითარება: მიეცეს მიმართულება კარიერის მოძიების დროს, რეზიუმესა და სამოტივაციო წერილის შექმნასა და გასაუმჯობესების მომზადებაში, რათა უსდ დაეხმაროს სტუდენტებს, მიიღონ ინფორმირებული გადაწყვეტილებები და ხელიდან არ გაუშვან დასაქმების შესაძლებლობები.
- ცხოვრებისეული უნარების სემინარები: უსდ-მ მოაწყოს სემინარები დროის მართვის, სტრესის მენეჯმენტის და სხვა აუცილებელი ცხოვრებისეული უნარების შესახებ, რათა ხელი შეეწყოს სტუდენტების აკადემიურ წარმატებას და გონებრივ კეთილდღეობას;
- ვინაიდან მოწვეული მასწავლებლები, პროგრამის ხელმძღვანელების შემდეგ, წარმოადგენდნენ ორივე სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელების უმრავლესობას, ამან შესაძლოა რისკი შეუქმნას მათ ხელმისაწვდომობის და ასევე შეიზღუდოს მათ მიერ გაწეული სამუშაოს დაფასების შესაძლებლობები; შესაბამისად, უსდ-მ უნდა განიხილოს არამხოლოდ წახალისების მექანიზმების, არამედ საკონტრაქტო პირობების (თანხების) გაუმჯობესებაც;
- უსდ-მ სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელი პერსონალის რეალური მოცულობა შეუსაბამოს (მათ შორის შეჩერებულ ეტაპებზე) მისაღებ კვოტას და დაინერგოს ხელმძღვანელობითი საქმიანობის სამართლიანად და გამჭვირვალედ განაწილების მექანიზმი;
- მასწავლებლებს, როგორც დასაქმებულს, ასევე მოწვეულს, განემარტოთ, პროფესიული/აკადემიური კვალიფიკაციის მოთხოვნები აბილიტაციისთვის და უსდ-მ მათ შესთავაზოს დახმარება კარიერული პროფილის განვითარებაში ამ მოთხოვნების შესაბამისად;

- პლაგიატში ხელოვნური ინტელექტის მოხმარების ტენდენციები უფრო და უფრო პრობლემატური ხდება და შესაბამისად უფრო მწვავედ და მკაცრად უნდა გაითვალისწინონ ეს ნაშრომების ხელმძღვანელებმა.
- გადაიხედოს წამყვანი/საკვანძო პერსონალის პროფესიული და აკადემიური კვალიფიკაცია ყველა პროგრამისთვის და უზრუნველყოფილ იქნას, რომ ისინი განახლებულია და გამჭვირვალედ არის წარმოდგენილი, ხელმისაწვდომია საზოგადოებისთვის, განსაკუთრებით კი სტუდენტებისთვის.
- დაინერგოს მასწავლებელთა საერთაშორისო მობილობის მხარდაჭერა და მენეჯმენტის მიერ მისი აღიარება, პროცესის თანმიმდევრული ხელშეწყობა;
- უსდ-მ შესთავაზოს მასწავლებლებს სწავლებაში გამოყენებული მასალების დაბეჭდვის მხარდაჭერა;
- აფილირებული პროფესორებისადმი მეტი მხარდაჭერა და წახალისებაა საჭირო - მათი კვლევის დაფინანსება, მაღალი გავლენის მქონე ჟურნალებში სტატიების გამოქვეყნების დაფინანსება და ა.შ.
- დაჩქარდეს კაფეტერიის საკითხის მოგვარება;
- სკოლამ თანდათან უნდა განავითაროს ერთობლივი სამუშაო სივრცე, სადაც გაიმართება თანამშრომლობითი შეხვედრები დამსაქმებლებთან და მეცნიერთან ადგილობრივი და პარტნიორი უნივერსიტეტებიდან, ეს შეიძლება იყოს პროექტების სივრცე ან სადემონსტრაციო ლაბორატორია, სახელოვნებო +სამეცნიერო გალერეა.
- მოწესრიგდეს და გამარტივდეს სწავლების IT მხარდაჭერა; უსდ-მ განიხილოს სხვადასხვა პლატფორმის დაკავშირება.
- უსდ-ს მენეჯმენტმა და განსაკუთრებით პროგრამის ხელმძღვანელებმა უნდა წარმოადგინონ უფრო პროაქტიული მიდგომა თანხების მოსაპოვებლად როგორც აღჭურვილობის შესაძენად, ასევე სტუდენტების ინდივიდუალური სივრცის განახლებისთვის; მათ თანდათან უნდა გადალახონ დამოკიდებულება სახელმწიფო დაფინანსებასა და არარეგულარულ ერთჯერად გრანტებზე აშშ-ს საელჩოსგან (ან ევროკავშირის იშვიათი პროექტებიდან) და უფრო სტრატეგიულად მოაგვარონ არასაკმარისი აღჭურვილობის მწვავე საკითხი;
- მთლიანად ფაკულტეტს და ინდივიდუალურ პროგრამებს შეუძლიათ ისარგებლონ უფრო დიფერენცირებული, დარგობრივი და განსაკუთრებით კრიტიკული გარე შეფასებით, რომელიც მისცემს მათ კონკრეტულ რჩევებს (და თანმდევ შეფასებას) რამდენიმე მიმართულებით გაუმჯობესების მიზნით.
- გარდა ამისა, დამსაქმებლებთან კონტაქტი შეიძლება იყოს უფრო ინტენსიური, მჭიდრო და მკაფიოდ აგებული ცალკეულ პროგრამებსა და დასაქმების ინდივიდუალურ პროფილებზე.

**პროგრამა 1 ფოტოხელოვნება, საბაკალავრო პროგრამა:**

- რეკომენდებულია, გადაიხედოს და დაკონკრეტდეს შემდგომი საგნების სწავლის შედეგები, მიზნები და შინაარსი: „თავისუფალი პროექტი“, „თავისუფალი პროექტი/თემატური“;
- რეკომენდებულია, რომ ჩამოთვლილი საგნები გადავიდეს არჩევით განყოფილებაში: „საგამომცემლო დიზაინი“, „შესავალი ადვერტოლოგიაში“, „ადვერტოლოგიის საფუძვლები“, „კომპოზიცია და რეკლამა ექსტერიერში“, „კომპოზიცია და რეკლამა ინტერიერში“;
- პროგრამის ხელმძღვანელი უფრო სიღრმისეულად უნდა იყოს ჩართული პროგრამის რეალურ მართვაში;
- პროგრამა, რომელიც მოითხოვს და საშუალებას აძლევს სტუდენტებს იმუშაონ სხვადასხვა კომპანიასთან თანამშრომლობით, რათა ამით რეალურად გამოსცადონ მომხმარებელთან



მუშაობა, უნდა უზრუნველყოფდეს განახლებულ და საკმარისი რაოდენობის აპარატურასა და კომპიუტერულ პროგრამას.

- სემინარები იმის შესახებ, თუ როგორ მუშაობს თანამედროვე დრონები ფოტო ინდუსტრიაში.
- პროგრამის ხელმძღვანელები უფრო პროაქტიული უნდა იყვნენ არასაკმარისი აღჭურვილობის საკითხის მოგვარებაში, თსსა-ს მთავარ მმართველ გუნდთან კონტაქტისა და ერთობლივი მუშაობის გზით. აღჭურვილობის დაფინანსების საკითხს უნდა მიენიჭოს მაღალი პრიორიტეტულობა.

### **პროგრამა 2 გრაფიკული დიზაინი, საბაკალავრო პროგრამა:**

- დაბალანსდეს სასწავლო გეგმა ისე, რომ ნაკლებად დატვირთული იყოს გრაფიკული დიზაინერის შეფუთვის დიზაინის ნაწილით, რამეთუ შეფუთვა (ქალაქით), ნაკლებად დომინანტური იქნება გრაფიკული დიზაინერის მომავალ საქმიანობაში.
- მოხდეს მეორე შუალედური - 30 ქულიანი შეფასების კონსოლიდირება და გადანაწილდეს სამ 10-10 ქულიან დავალებებად. ეს კორექტირება შედეგად მოგვემთ სულ 10 სამქულიანი დავალების ან საკლასო სამუშაოს, ერთ 30-ქულიან შუალედურსა და 40-ქულიან დასკვნით გამოცდას.
- უსდ-მ უზრუნველყოს, რომ პრაქტიკული საგნების ყველა ლექტორი აკმაყოფილებს ინდუსტრიის შესაბამის მოთხოვნებს (კერძოდ: თეატრის რეჟისორს, რომელიც ასწავლის აუდიოვიზუალურ რეჟისურას, არ აქვს შესაბამისი ცოდნა და გამოცდილება).
- სასურველია უსდ-მ ითანამშრომლოს სხვადასხვა კომპანიასთან, სადაც მუდმივად მიმდინარეობს ტექნიკური ანალიზი პროფესიული თუ სამომხმარებლო ინტერესებიდან გამომდინარე და უზრუნველყოს აპარატურა და პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც მხარს უჭერს ამას.
- პროგრამის ხელმძღვანელები უფრო პროაქტიული უნდა იყვნენ არასაკმარისი აღჭურვილობის საკითხის მოგვარებაში, თსსა-ს მთავარ მმართველ გუნდთან კონტაქტისა და ერთობლივი მუშაობის გზით. აღჭურვილობის დაფინანსების საკითხს უნდა მიენიჭოს მაღალი პრიორიტეტულობა.

### **პროგრამა 3 მედიახელოვნება/ციფრული მედია, საბაკალავრო პროგრამა:**

- რეკომენდებულია, აუდიოვიზუალური ხელოვნების სპეციფიკის გათვალისწინებით, შეიცვალოს დისციპლინების - „რეჟისურა“, „დრამატურგია“, „ხმის დიზაინი“- სწავლების პრინციპი.
- დასაქმებისას უსდ-მ გაითვალისწინოს კვალიფიკაცია და შემოქმედებითი გამოცდილება აუდიოვიზუალურ ხელოვნებაში;
- გადაიხედოს ლექტორთა სიას, განსაკუთრებით პრაქტიკულ საგნებში, რათა უსდ დარწმუნდეს, რომ ისინი აკმაყოფილებენ ინდუსტრიის შესაბამის მოთხოვნებს მედია/ციფრული ხელოვნების სფეროში.
- პროგრამის ხელმძღვანელები უფრო პროაქტიული უნდა იყვნენ არასაკმარისი აღჭურვილობის საკითხის მოგვარებაში, თსსა-ს მთავარ მმართველ გუნდთან კონტაქტისა და ერთობლივი მუშაობის გზით. აღჭურვილობის დაფინანსების საკითხს უნდა მიენიჭოს მაღალი პრიორიტეტულობა;

**პროგრამა 4 მედიახელოვნება/ციფრული მედია, სამაგისტრო პროგრამა (ქართულენოვანი):**

- დაკონკრეტდეს, რომ პროგრამის სახელწოდება „მედია ხელოვნება“, რეალურად უკავშირდება „შემოქმედებით ინდუსტრიებს“ დასაქმების ქართულ რეალობაში, სულ მცირე ისე, როგორც ეს ასახულია პროგრამის შესავალ ნაწილებში (განსაკუთრებით საჯარო ინფორმაციაში);
- აუცილებელია სადიპლომო სამუშაოს მომზადების წესი ინდივიდუალურად გაიწეროს ორივე საფეხურზე, მაგისტრატურაზე და დოქტორანტურაზე.
- მაგისტრატურაზე და განსაკუთრებით დოქტორანტურის დონეზე, უსდ-მ მხარი დაუჭიროს სტუდენტებს კვლევაში და მაღალი გავლენის მქონე ჟურნალებისთვის ან ნებისმიერი პუბლიკაციებისთვის სტატიების წერაში; უსდ დარწმუნდეს, რომ ისინი იღებენ სიღრმისეულ ცოდნას და კრიტიკული აზროვნების უნარს. მაღალი გავლენის მქონე ჟურნალებში გამოქვეყნება ამაღლებს სტუდენტების აკადემიურ პროფილებს, ხელს უწყობს მათ აკადემიურ და პროფესიულ წარმატებას;
- მაშინაც კი, თუ ზოგადად ნაშრომის ხელმძღვანელი პერსონალის კვალიფიკაცია მინიმალურად საკმარისი ჩანს პროგრამისთვის, მიზანშეწონილი იქნება უსდ დარწმუნდეს, რომ ხარისხიან ხელმძღვანელობას უზრუნველყოფს პროფილური პერსონალი იმ რაოდენობით, რომელიც ასახავს სტუდენტთა ჩარიცხვის პროგნოზირებულ რაოდენობას;
- მიზანშეწონილია, პრაქტიკული სამუშაოების გამდიდრება შესაბამისი აღჭურვილობის ხელმისაწვდომობით, რათა სამაგისტრო ნაშრომების თეორიული ნაწილი კარგად იყოს მხარდაჭერილი.

**პროგრამა 5 მედიახელოვნება/ციფრული მედია, სამაგისტრო პროგრამა (ინგლისურენოვანი):**

- სწავლის შედეგებში უფრო მკაფიოდ გამოიკვეთოს კვლევითი და პედაგოგიური კომპონენტი;
- დაკონკრეტდეს, რომ პროგრამის სახელწოდება „მედია ხელოვნება“, რეალურად უკავშირდება „შემოქმედებით ინდუსტრიებს“ დასაქმების ქართულ რეალობაში, სულ მცირე ისე, როგორც ეს ასახულია პროგრამის შესავალ ნაწილებში (განსაკუთრებით საჯარო ინფორმაციაში). ეს უსდ-ს თავიდან აარიდებს გაუგებრობას - განსაკუთრებით საერთაშორისო აბიტურიენტებისთვის;
- აუცილებელია სადიპლომო სამუშაოს მომზადების წესი ინდივიდუალურად გაიწეროს ორივე საფეხურზე, მაგისტრატურაზე და დოქტორანტურაზე.
- მაგისტრატურაზე და განსაკუთრებით დოქტორანტურის დონეზე, უსდ-მ მხარი დაუჭიროს სტუდენტებს კვლევაში და მაღალი გავლენის მქონე ჟურნალებისთვის ან ნებისმიერი პუბლიკაციებისთვის სტატიების წერაში; უსდ დარწმუნდეს, რომ ისინი იღებენ სიღრმისეულ ცოდნას და კრიტიკული აზროვნების უნარს. მაღალი გავლენის მქონე ჟურნალებში გამოქვეყნება ამაღლებს სტუდენტების აკადემიურ პროფილებს, ხელს უწყობს მათ აკადემიურ და პროფესიულ წარმატებას;
- მაშინაც კი, თუ ზოგადად ნაშრომის ხელმძღვანელი პერსონალის კვალიფიკაცია მინიმალურად საკმარისი ჩანს პროგრამისთვის, მიზანშეწონილი იქნება უსდ დარწმუნდეს, რომ ხარისხიან ხელმძღვანელობას უზრუნველყოფს პროფილური პერსონალი იმ რაოდენობით, რომელიც ასახავს სტუდენტთა ჩარიცხვის პროგნოზირებულ რაოდენობას;
- მიზანშეწონილია, პრაქტიკული სამუშაოების გამდიდრება შესაბამისი აღჭურვილობის ხელმისაწვდომობით, რათა სამაგისტრო ნაშრომების თეორიული ნაწილი კარგად იყოს მხარდაჭერილი.

**პროგრამა 6 მედია ხელოვნება/ციფრული მედია, სადოქტორო პროგრამა (ქართულენოვანი):**

- უსდ-მ განიხილოს სწავლებადი კურსების ეტაპობრივი ზრდა, დაეუშვათ „კოლოკვიუმი“ რომ ოფიციალურად სავალდებულო ორნაწილიანი კურსი გახდეს ან სხვაგვარად მოხდეს მენტორობისა და სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელობის ძირითადი ეტაპების ფორმალიზება ან სხვაგვარად იქნას უზრუნველყოფილი ექსპერტული ცოდნა შერჩეულ კვლევით დარგებში.
- დაკონკრეტდეს, რომ პროგრამის სახელწოდება „მედია ხელოვნება“, რეალურად უკავშირდება „შემოქმედებით ინდუსტრიებს“ დასაქმების ქართულ რეალობაში, სულ მცირე ისე, როგორც ეს ასახულია პროგრამის შესავალ ნაწილებში (განსაკუთრებით საჯარო ინფორმაციაში).
- სადოქტორო კურსი „თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების ტენდენციები“ უნდა დაზუსტდეს და დაკორექტირდეს როგორც შედეგების, ისე სწავლა-სწავლების სტრუქტურის თვალსაზრისით, რათა ეს კურსი მართლაც შესაფერისი იყოს სადოქტორო პროგრამისთვის და რელევანტური იყოს ყველა სტუდენტისთვის;
- აუცილებელია სადიპლომო სამუშაოს მომზადების წესი ინდივიდუალურად გაიწეროს ორივე საფეხურზე, მაგისტრატურაზე და დოქტორანტურაზე;
- მაგისტრატურაზე და განსაკუთრებით დოქტორანტურის დონეზე, უსდ-მ მხარი დაუჭიროს სტუდენტებს კვლევაში და მაღალი გავლენის მქონე ჟურნალებისთვის ან ნებისმიერი პუბლიკაციებისთვის სტატიების წერაში; უსდ დარწმუნდეს, რომ ისინი იღებენ სიღრმისეულ ცოდნას და კრიტიკული აზროვნების უნარს. მაღალი გავლენის მქონე ჟურნალებში გამოქვეყნება ამაღლებს სტუდენტების აკადემიურ პროფილებს, ხელს უწყობს მათ აკადემიურ და პროფესიულ წარმატებას;
- სასურველია არჩეული სადისერტაციო თემის თემატურობისა და აქტუალობის კონტროლი, მით უმეტეს, რომ ტექნოლოგიური განვითარების ტემპი მაღალია და დოქტორანტები უმეტეს შემთხვევაში 3 წელიწადში ვერ ასრულებენ დისერტაციას.

**პროგრამა 7 მედია ხელოვნება/ციფრული მედია, სადოქტორო პროგრამა (ინგლისურენოვანი):**

- განიხილეთ სწავლებადი კურსების ეტაპობრივი ზრდა, დაეუშვათ „კოლოკვიუმი“ რომ ოფიციალურად სავალდებულო ორნაწილიანი კურსი გახდეს ან სხვაგვარად მოხდეს მენტორობისა და სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელობის ძირითადი ეტაპების ფორმალიზება ან სხვაგვარად უზრუნველყოთ ექსპერტული ცოდნა შერჩეულ კვლევით დარგებში.
- დაკონკრეტდეს, რომ პროგრამის სახელწოდება „მედია ხელოვნება“, რეალურად უკავშირდება „შემოქმედებით ინდუსტრიებს“ დასაქმების ქართულ რეალობაში, სულ მცირე ისე, როგორც ეს ასახულია პროგრამის შესავალ ნაწილებში (განსაკუთრებით საჯარო ინფორმაციაში). ეს უსდ-ს თავიდან აარიდებს გაუგებრობას - განსაკუთრებით საერთაშორისო აბიტურიენტებისთვის;
- სადოქტორო კურსი „თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების ტენდენციები“ უნდა დაზუსტდეს და დაკორექტირდეს როგორც შედეგების, ისე სწავლა-სწავლების სტრუქტურის თვალსაზრისით, რათა ეს კურსი მართლაც შესაფერისი იყოს სადოქტორო პროგრამისთვის და რელევანტური იყოს ყველა სტუდენტისთვის;
- აუცილებელია სადიპლომო სამუშაოს მომზადების წესი ინდივიდუალურად გაიწეროს ორივე საფეხურზე, მაგისტრატურაზე და დოქტორანტურაზე;
- მაგისტრატურაზე და განსაკუთრებით დოქტორანტურის დონეზე, უსდ-მ მხარი დაუჭიროს სტუდენტებს კვლევაში და მაღალი გავლენის მქონე ჟურნალებისთვის ან ნებისმიერი პუბლიკაციებისთვის სტატიების წერაში; უსდ დარწმუნდეს, რომ ისინი იღებენ სიღრმისეულ

ცოდნას და კრიტიკული აზროვნების უნარს. მაღალი გავლენის მქონე ჟურნალებში გამოქვეყნება ამაღლებს სტუდენტების აკადემიურ პროფილებს, ხელს უწყობს მათ აკადემიურ და პროფესიულ წარმატებას;

- სასურველია არჩეული სადისერტაციო თემის თემატურობისა და აქტუალობის კონტროლი, მით უმეტეს, რომ ტექნოლოგიური განვითარების ტემპი მაღალია და დოქტორანტი უმეტეს შემთხვევაში 3 წელიწადში ვერ ასრულებენ დისერტაციას.

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)<sup>3</sup>

//

- ინფორმაცია უსდ-ს არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების თაობაზე

აქედან მოყოლებული, ჯგუფი წარმოგიდგენთ ვრცელ პასუხს დაწესებულების მიერ გაცემულ თითოეულ პოზიციასა და არგუმენტზე:

---

**სსიპ თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის მედიახელოვნების ფაკულტეტის აუდიოვიზუალური მეთოდებისა და მედია პროდუქცია/წარმოების კლასტერის პროგრამებზე:**

- 0211.1.5 "ფოტოხელოვნების" საბაკალავრო პროგრამა, მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ხელოვნების ბაკალავრი ფოტოხელოვნებაში; Bachelor of Fine Arts in Photography;
- 0211.1.8 "გრაფიკული დიზაინის" საბაკალავრო პროგრამა, მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ხელოვნების ბაკალავრი გრაფიკულ დიზაინში; Bachelor of Fine Arts in Graphic Design;
- 0211.1.6 "მედიახელოვნება/ციფრული მედიის" საბაკალავრო პროგრამა, მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ხელოვნების ბაკალავრი მედიახელოვნებაში; Bachelor of Fine Arts in Media arts;
- 0211.1.6 "მედიახელოვნება/ციფრული მედიის" სამაგისტრო პროგრამა (ქართულენოვანი), მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ხელოვნების მაგისტრი მედიახელოვნებაში; Master of Fine Arts in Media arts;
- 0211.1.6 "მედიახელოვნება/ციფრული მედიის" (ინგლისურენოვანი) სამაგისტრო პროგრამა,

---

<sup>3</sup>პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის/პროგრამებისთვის

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ხელოვნების მაგისტრი მედიახელოვნებაში; Master of Fine Arts in Media arts;

- 0211.1.6 "მედიახელოვნება/ციფრული მედიის" სადოქტორო პროგრამა (ქართულენოვანი),

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: მედიახელოვნების დოქტორი; Doctor of Media Arts;

- 0211.1.6 "მედიახელოვნება/ციფრული მედიის" (ინგლისურენოვანი) სადოქტორო პროგრამა,

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: მედიახელოვნების დოქტორი; Doctor of Media Arts;

### არგუმენტირებული პოზიცია

ბატონო ნიკოლოზ,

თქვენი 06/11/2013 MES 230001501616 წერილის პასუხად, წარმოგიდგენთ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის არგუმენტირებულ პოზიციას მედიახელოვნების ფაკულტეტის “აუდიოვიზუალური მეთოდები და მედიაპროდუქცია/წარმოების” დეტალური სფეროს საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე.

მადლობას მოვახსენებთ ექსპერტებს გაწეული შრომისთვის, დიდი მოცულობის მასალის გაცნობისა და აკადემიაში ჩატარებული ინტერვიუებისთვის პროგრამების განმახორციელებლებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან. ექსპერტების მიერ გაცემული რეკომენდაციების და რჩევების ერთი ნაწილი ნამდვილად მნიშვნელოვანი და ღირებულია, წარმოდგენილი პროგრამების ხელმძღვანელები და აკადემიური პერსონალი ინტერესით და ენთუზიაზმით გაეცნო მათ და უკვე დაგეგმილია აღნიშნული რეკომენდაციების განხორციელების ვადები და გზები.

თსსა არგუმენტირებულ პოზიციაში წარმოვადგენთ ჩვენ მოსაზრებებს რეკომენდაციების მეორე ნაწილისა და პროგრამების შეფასებებთან დაკავშირებით. პირველ ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 2022-2023 წლებში სახელოვნებო სფეროს რამდენიმე დარგობრივი მახასიათებლის შემუშავებასა და დამტკიცებას, რასაც განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა გაუწია ორგანიზება, მოიწვია საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტების წარმომადგენლები და ხანგრძლივი მუშაობისა თუ განხილვის შემდეგ მოახერხა აღნიშნული დოკუმენტების დროულად დამტკიცება.

წარმოდგენილი კლასტერისთვის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი დარგების შინაარსობრივი დაჯგუფების პრინციპით ასე კლასიფიცირდება: ფართო სფერო - 02 ხელოვნება, ჰუმანიტარული მეცნიერებები Arts and Humanities; ვიწრო სფერო - 021 ხელოვნება Arts; დეტალური სფერო - 0211 **აუდიოვიზუალური მეთოდები და მედიაპროდუქცია/წარმოება** Audio-Visual Techniques and Media Production, რომელში შემავალი მრავალრიცხოვანი დარგები, განსხვავებული მახასიათებლების, სპეციფიკის გათვალისწინებით, ორ განშტოებად არის დაჯგუფებული. ერთი განშტოება დარგობრივი მახასიათებლის მიხედვით დაჯგუფდა - **„ვიზუალური კომუნიკაცია/მედიახელოვნება“** („ვიზუალური კომუნიკაცია“, „მედიახელოვნება/ციფრული მედია“, „მულტიმედია დიზაინი“, „გრაფიკული დიზაინი“ და „ბეჭდვითი მედია/ტიპოგრაფია“ წარმოდგენილი კლასტერული პროგრამები აქ იყრის თავს) და მეორე - **„აუდიოვიზუალური ხელოვნება“** („აუდიოვიზუალური ხელოვნება“, „კინოტელეხელოვნება“, და „აუდიოვიზუალური რეჟისურა (მხატვრული ფილმი, დოკუმენტური, კლიპი, ანიმაციური ფილმი, ხმის, ტელე)“. (დანართი 1)

2022 წლის 28 ივლისის დამტკიცებულმა **„ვიზუალური კომუნიკაცია/მედიახელოვნების“** უმაღლესი განათლების დარგობრივმა მახასიათებელმა ფასდაუდებელი დახმარება გაგვიწია სააკრედიტაციოდ პროგრამების შემუშავებაში. დარგობრივი მახასიათებლის სამუშაო ჯგუფში აქტიურად იყვნენ ჩართული თსსა მედიახელოვნების ფაკულტეტის პროფესორები: ქ-ნ ნანა იაშვილი, ქ-ნ რუსუდან ერისთავი, ბ-ნ ლუკა მიქელაძე, ბ-ნ ზურაბ ხომერიკი და ქ-ნ ქეთევან კვირიკაძე.

თსსა მედიახელოვნების ფაკულტეტის კლასტერში წარმოდგენილი საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები ზედმიწევნით ითვალისწინებს პასუხისმგებლობას აკადემიის ბრენდის იმიჯთან მიმართებაში, ასევე, ეროვნული კლასიფიკატორის დარგობრივი მახასიათებლის შინაარსს და აგებულია იმავე პრინციპების დაცვით. ეს გარემოება მკაფიოდ არის ხაზგასმული თვითშეფასების დოკუმენტშიც, ხოლო პროგრამების მიზნები და სწავლის შედეგები დიდი გულისყურით არის ჩამოყალიბებული, რადგან, ზოგადად, მედიახელოვნების დარგი შედარებით ახალია და მნიშვნელოვანია, რომ ამ სფეროს საგანმანათლებლო პროგრამებს ზუსტი და ხელოვნების ახალი დარგის საჭიროებებზე მორგებული ფოკუსი ჰქონდეს. ჩვენი აზრით, აკრედიტაციის ვიზიტის მიმდინარეობისას დარგობრივი მახასიათებელი უნდა გამხდარიყო ის დოკუმენტი, რომელთან მიმართებაშიც შეფასდება პროგრამების მიზნების და სწავლის შედეგების, ისევე, როგორც მთლიანად კურიკულუმის შესაბამისობა. მიგვაჩნია, ასევე, რომ პროგრამის სასწავლო კურსების (მათ შორის, არჩევითი კურსების) განსაზღვრა უნივერსიტეტის

ავტონომიურობისა და აკადემიური თავისუფლების ფარგლებში უსდ-ს უფლებაა, რაც ქმნის კიდევ საგანმანათლებლო პროგრამის უნიკალურობას, ცხადია, იმ აუცილებელი პირობის გათვალისწინებით, რომ პროგრამა განათლების კონკრეტული საფეხურის შესაბამის კვალიფიკაციაზე გადის.

ქვემოთ შევეცდებით დეტალურად ავსახოთ თსსა პოზიცია პატივცემული ექსპერტების მიერ ჩამოყალიბებულ რეკომენდაციებზე, რომელთა ერთ ნაწილს სიამოვნებით ვეთანხმებით, ხოლო გარკვეულ რეკომენდაციებზე გვაქვს ჩვენი მოსაზრება. თავდაპირველად, შევეხებით კლასტერის საერთო რამდენიმე რეკომენდაციას, რომლებშიც ფაქტობრივი უზუსტობა გვხვდება.

### **საერთო ფაქტობრივი უზუსტობები**

ჩვენი აზრით, დასკვნის ეს ნაწილი, ანუ კლასტერის საერთო რეკომენდაციები უნდა მოიცავდეს მხოლოდ იმ რეკომენდაციებს, რომლებიც კლასტერში წარმოდგენილ სამივე საფეხურის პროგრამებს ეხება და არა მხოლოდ საბაკალავრო, სამაგისტრო ან სადოქტორო პროგრამას.

#### **1.4. „გაიზარდოს სამაგისტრო პროგრამებში კვლევითი სამუშაოს მნიშვნელობა;“**

**პასუხი:** ფაქტობრივი უზუსტობაა კლასტერის საერთო რეკომენდაციად სამაგისტრო რეკომენდაციის გამოტანა. ის შესაძლოა მართებული იყოს მხოლოდ სამაგისტრო პროგრამასთან მიმართებით და არ ვრცელდება კლასტერში შემავალ სხვა პროგრამებზე. ექსპერტები ზოგადად კვლევითი სამუშაოს სიმცირეს გულისხმობენ სხვადასხვა სასწავლო კურსში, თუ სამაგისტრო ნაშრომის კვლევით მდგენელზეა აქ საუბარი? სამაგისტრო ნაშრომის მოცულობა 15 კრედიტია, საიდანაც 10 კრედიტი უშუალოდ ეხება სამაგისტრო დიპლომის მომზადებას და დაცვა, 5 კრედიტი გაწერილია საგნისთვის „პედაგოგიური პრაქტიკა“, რაც გულისხმობს რეალურად სწავლის პროცესშივე მაგისტრანტის კვლევით-შემოქმედებითი უნარები აპრობაციას აუდიტორიაში. სილაბუსის მიზანი: „მაგისტრანტმა პრაქტიკულად მოახდინოს შემენილი თეორიული და ციფრულ/ტექნოლოგიური ცოდნის რეალიზაცია, რაც მდგომარეობს: ბაკალავრთა ჯგუფებში მაგისტრანტთა გადნაწილებსა და დარგის წამყვან პროფესორებთან ერთად პედაგოგიური პრაქტიკის წარმოებაში.“ აქვე დანართის სახით, ამ კომპონენტის დანერგვის ექსპერიმენტის დამადასტურებელ დოკუმენტს წარმოგიდგენთ დანართის სახით (დანართი 2). თვითშეფასების ჯგუფმა პროგრამების მომზადებისას იხელმძღვანელა სამაგისტრო საფეხურის „ვიზუალური კომუნიკაცია/მედიახელოვნების“ დარგობრივი მახასიათებლით, სადაც „ვიზუალური კომუნიკაცია/მედიახელოვნების სწავლის სფეროების დარგობრივი

მახასიათებელი განისაზღვრება როგორც „შექმნა და შემოქმედებითობა“ (Creation and Creativity). ის თანამედროვე ტენდენციის მიხედვით, „საერთო მახასიათებლების და საზიარო ფასეულობების“ (Common dimensions and shared values) ჭრილში ვითარდება და მოიცავს შვიდ საერთო მახასიათებელს: კონცეპტუალური აზროვნება, იდეის ფორმირება, განხორციელება და წარდგენა; ისტორია, თეორია და კულტურა; შემოქმედებითი პროცესების გადააზრება/გადაფასება, ინტერპრეტაცია; ექსპერიმენტული, ინოვაციური მიდგომები და თემატური კვლევები; ციფრული და ტექნოლოგიური ინსტრუმენტები/ პროგრამული უზრუნველყოფა; კომუნიკაცია, კოლაბორაცია და ინტერდისციპლინარული ოპერირება; შემოქმედებითი მეწარმეობა“.

ჯგუფი მიიჩნევს, რომ ეს ასპექტი უფრო მკაფიოდ უნდა იყოს ჩამოყალიბებული, რათა სილაბუსის კონკრეტული ნაწილები გამიზნული იყოს მაგისტრანტებისა და დოქტორანტების მეთოდოლოგიური კომპეტენციების ამაღლებაზე. ყველაზე ოპტიმალური გზა იქნება თუ ისინი თანდათანობით გაძლიერება, ანუ დაიწყება მეორადი წყაროების კვლევის საბაზისო მეთოდოლოგიებით და უფრო მარტივი თვისობრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდოლოგიების გამოყენებით (მათ შორის მონაწილეობითი და მხატვრული კვლევის მეთოდები) და თანდათანობით ჩამოყალიბდება უფრო რთული, ინდივიდუალური ინსტრუმენტები სხვადასხვა კვლევის კომპეტენციების კომბინაციის სახით. ეს ასპექტი გამოიკვეთა როგორც გადამწყვეტი, გარდა ამისა, მისი საჭიროება გამოვლინდა როგორც საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკით, ასევე დაინტერესებულ მხარეებთან გასაუბრების დროს, ამიტომ ჯგუფი თანხმდება, რომ ეს რეკომენდაცია არ შეიცვლება.

**1.4. „სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტი გაიზარდოს და გახდეს დასაქმებისთვის უფრო მეტად შესაბამისი, ხელმძღვანელობის ნაწილი გახდეს უფრო მეტად გამჭვირვალე.“**

**1.4. „უნდა გაიზარდოს პროგრამის კვლევითი კომპონენტი.“**

**პასუხი:** ბუნდოვანია სადოქტორო პროგრამის მიმართ გაცემული ორი, ჩვენი აზრით, ურთიერთგამომრიცხავი რეკომენდაცია, რომელიც ერთდროულად სასწავლო და კვლევითი კომპონენტების გაზრდას ეხება. ამჟამად პროგრამის სასწავლო კომპონენტი 20 კრედიტის მოცულობისაა. მისი გაზრდა ავტომატურად გამოიწვევს კვლევითი კომპონენტის შემცირებას. პროგრამის მესვეურთა არგუმენტები სასწავლო და კვლევით კომპონენტებს შორის ამგვარი პროპორციის განსაზღვრის დროს, ემყარება სახელოვნებო დარგის სადოქტორო პროგრამის



სპეციფიკას, რაზეც უფრო ვრცლად საუბარი იქნება ქვემოთ. აქ კი გვსურს მოკლედ განვმარტოთ მხოლოდ, რომ მედიახელოვნების სადოქტორო პროგრამის საკვალიფიკაციო ნაშრომი ორ კომპონენტს მოიცავს-საკუთრივ კვლევას და შემოქმედებით-ექსპერიმენტულ პროდუქტს. ამდენად, კვლევითი კომპონენტის მთლიანი მოცულობა ამ ორი თანაბარი მნიშვნელობის ელემენტის რეალურ „წონას“ შეესაბამება და ზუსტად ასახავს მათ შინაარსობრივ ურთიერთკავშირს. ექსპერტების მიერ, სასწავლო და კვლევითი კომპონენტების მიმართ გაცემული რეკომენდაციების წინააღმდეგობრივი ხასიათი, ვფიქრობთ, შეუძლებელს გახდის მათ შესრულებას, რადგან გავიმეორებთ რომ, ორივე კომპონენტის ერთდროულად გაზრდა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება მოხდეს, თუ კრედიტების საერთო ჯამი აღემატება 180 კრედიტს. მიგვაჩნია, რომ აღნიშნული ორი რეკომენდაცია უნდა შეიცვალოს და თუ საქმე ეხება სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტების შეცვლას, რათა კურსდამთავრებულს მიეცეს დასაქმების უფრო ფართო შესაძლებლობები, შეგვიძლია აკრედიტაციის საბჭოზე ზეპირი მოსმენის ფორმატში წარმოვადგინოთ სადოქტორო პროგრამის მესვეურთა არგუმენტები არსებული სასწავლო კურსების შერჩევის თაობაზე.

ჯგუფი ეთანხმება დაწესებულების პოზიციას, თუმცა აღნიშნავს, რომ სასწავლო კომპონენტის გაზრდა სულაც არ ნიშნავს კვლევის კომპონენტის შემცირებას. საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების შეფასების კონტექსტში კვლევის კომპონენტი არ იზომება კრედიტებში და, შესაბამისად, დოქტორანტების დატვირთვა სამაგისტრო ან სადოქტორო დისერტაციასთან დაკავშირებით არ შეიცვლება. (შეიძლება სასწავლო კომპონენტი გაიზარდოს 30- მდე, ან 40- მდე, ან თუნდაც 60 კრედიტამდე, ხოლო კვლევაზე მაინც იგივე მოცულობა გამოყოფილი, იგივე მიზეზით, რაც ზემოთ მოყვანილ პასუხშია მოცემული). ჯგუფი თანხმდება, რომ ეს რეკომენდაცია არ უნდა შეიცვალოს, ვინაიდან გასაუბრებების დროს განსაკუთრებით დამსაქმებლები და კურსდამთავრებულები შეთანხმდნენ, რომ ამგვარი ხელმძღვანელობა და კონკრეტული (კვლევითი) კვალიფიკაციის ამაღლება დასაქმების მიმართულებით მნიშვნელოვანია. ჯგუფი მიიჩნევს, რომ ამ საკითხში ზეპირი მოსმენის საჭიროება არ არის, რადგან რაიმე დამატებითი ასპექტები ან მონაცემები ამის შესახებ არ იქნება საჭირო.

**3.2. „უსდ-მ მონიტორინგი გაუწიოს ხელმძღვანელებისა და მათი მაგისტრანტებისა და დოქტორანტების რაოდენობას, რათა უზრუნველყოფილ იქნას პროცესისა და მუშაობის ხარისხი, ასევე პერსონალის რეალისტური სამუშაო დატვირთვა;“**

**პასუხი:** ფაქტობრივი უზუსტობაა სამაგისტრო და სადოქტორო რეკომენდაციის გამოტანა საერთო კლასტერულ რეკომენდაციად. გაურკვეველია მონიტორინგში რას გულისხმობენ ექსპერტები, რადგან დოქტორანტურის დებულებაში და სამაგისტრო ნაშრომის შემუშავების ინსტრუქციაში მკაფიოდ არის გაწერილი რამდენი სტუდენტის ხელმძღვანელობის უფლება აქვს აკადემიურ პერსონალს. ვიზუალურ ხელოვნებაში, განსხვავებით სხვა სპეციალობებისგან, ერთი პიროვნება შეიძლება ხელმძღვანელობდეს რამოდენიმე სტუდენტს, ვინაიდან სტუდენტის შემოქმედება საავტოროა, იგი მეტწილად ინდივიდუალურად მუშაობს სადიპლომო პროექტზე, ხოლო ხელმძღვანელი, როგორც „ოსტატი შეგირდს“, სთავაზობს შემოქმედებით, ექსპერიმენტულ და კვლევით მეთოდებს. ჩვენი პრაქტიკული გამოცდილებით, ფაკულტეტის აკადემიური და მოწვეული პედაგოგების დიპლომანტების რაოდენობა ერთ პროფესორზე არის 5-8 სტუდენტი. დოქტორანტურის დებულებაში დეტალურად არის გაწერილი ხელმძღვანელის, თანახელმძღვანელის და კონსულტანტის ფუნქციები.

რეკომენდაციის დასაბუთება მოყვანილია ანგარიშში; მაგისტრანტების, მათი ნაშრომებისა და ხელმძღვანელების დოკუმენტაციაზე დაყრდნობით გამოვლინდა, რომ მაგისტრანტთა აბსოლუტურ უმრავლესობას აქამდე ერთი ხელმძღვანელი ხელმძღვანელობდა. კარგად მოქმედი რეგულაციების მიღმა, რეალური დატვირთვა ხელმძღვანელებს შორის თანაბრად უნდა იყოს განაწილებული, შესაძლოა ეყრდნობოდეს მონიტორინგის გამჭვირვალე მექანიზმს, რომელსაც შეიძლება დაემატოს ხელმძღვანელის ტრენინგი (ისე, რომ ძალიან გამოცდილმა ხელმძღვანელმა გაუზიაროს უნარები ახალბედებს). შესაბამისად, რეკომენდაცია ძალაშია და უცვლელი რჩება.

**4.1 „უსდ-მ უზრუნველყოს, რომ პრაქტიკული საგნების ყველა ლექტორი აკმაყოფილებს ინდუსტრიის შესაბამის მოთხოვნებს (კერძოდ: თეატრის რეჟისორს, რომელიც ასწავლის აუდიოვიზუალურ რეჟისურას, არ აქვს შესაბამისი ცოდნა და გამოცდილება).“**

**პასუხი:** საგანი „აუდიოვიზუალური რეჟისურა“ საერთოდ არ ისწავლება მედიახელოვნების ფაკულტეტზე და მით უფრო, იგი არ არის გრაფიკული დიზაინის პროგრამის კურიკულუმში. თუმცა, მაინც ვცდებით ვუპასუხოთ ბუნდოვან რეკომენდაციას, რადგან სხვა მაგალითი მოყვანილი არ არის. მედიახელოვნება/ციფრული მედიის საბაკალავრო პროგრამაზე იკითხება საგანი - „რეჟისურა და დრამატურგია“ და მას ასწავლის თეატრის რეჟისორი, რომლის აკადემიური ხარისხი და კვალიფიკაციაა - თეატრალური ხელოვნების დოქტორი. (დანართი 3) მრავალი წელია იგი ასწავლის მედიახელოვნება/ციფრული მედიის საბაკალავრო პროგრამაზე

რეჟისურის და დრამატურგიის ზოგადი კურსის პრინციპებს, რომლის მიზანია, სტუდენტ ბაკალავრს შეუქმნას წარმოდგენა სფეროს ჟანრების კომპეტენციაზე. ექსპერტები გვთავაზობენ, რომ გაძლიერდეს ეს დისციპლინები ინდუსტრიის შესაბამის მოთხოვნებთან მიმართებით პროფესიულად, რათა დარგის მოთხოვნა იქნეს დაკმაყოფილებული - ანუ გაიზარდოს აუდიოდიზაინის დარგის რეჟისორი. ჩვენი პროფილი კი რეკლამის დიზაინერის აღზრდაა რომელიც მულტიმედიური დიზაინის პროდუქტის შექმნისას იმუშავებს რეჟისორთან და დრამატურგთან ჯგუფში და იხელმძღვანელებს ზოგადი კომპეტენციებით. ამგვარი ბუნდოვანი რეკომენდაციაა მედიახელოვნება/ციფრული მედიის საბაკალავრო პროგრამისთვის მაგალითად: „აუდიო დიზაინის“ კურსი, მოიცავს მხოლოდ მუსიკის ნაწილს და არა მთელ სპეციალობას...“ ცხადია, გამომდინარე ვიზუალური კომუნიკაცია/მედიახელოვნების დარგობრივი მახასიათებლის გათვალისწინებით, კურიკულუმში დარგის მხოლოდ აუდიოდიზაინის კომპეტენციის გათვალისწინებაა საჭირო (თეორია და პრაქტიკა) და არ უნდა ისწავლებოდეს ხმის ინჟინერია, ხმის რეჟისურა, გახმოვანება და სხვა. წინააღმდეგობრივი და ბუნდოვანი რეკომენდაციები, გავიმეორებთ, რომ დარგობრივი მახასიათებლის აღრევამ გამოიწვია. ჩვენი ფოკუსი არის დიზაინზე, ვიზუალურ პიქტოგრაფიაზე, გრაფიკულ დიზაინზე, ფოტოგრაფიაზე, ვებ მულტიმედიაზე, ტიპოგრაფიაზე, შრიფტსა და ორნამენტზე.

ჯგუფი იღებს დასაბუთებას და ახალ მონაცემებს დაწესებულების პასუხის ფარგლებში და ეს რეკომენდაცია გადააქვს რჩევებში.

**1.5 „რეკომენდირებულია, აუდიოვიზუალური ხელოვნების სპეციფიკის გათვალისწინებით შეიცვალოს დისციპლინების - „რეჟისურა“, „დრამატურგია“, „ხმის დიზაინი“ სწავლების პრინციპი.**

**პასუხი:** უზუსტობაა საგნების დასახელების მხოლოდ შინაარსით გამოტანა, რადგან კურიკულუმში ამ სათაურით სასწავლო კურსები არ იძებნება, გაფანტული და წინააღმდეგობრივი ხასიათის რეკომენდაციაა სწავლების პრინციპის შეცვლა, და რას გვთავაზობენ ექსპერტები? მაგალითად, რეჟისურა, დრამატურგია არის ზოგად პრინციპზე აგებული კომპონენტი, ხოლო ხმის დიზაინი გამოდის პირიქით? იქვე ვკითხულობთ, რომ - „შეფასების სისტემაში საგანი „ხმის დიზაინი“ ფასდება როგორც ცალკე საგანი. ამიტომ, აუცილებელია ხმის დიზაინის სწავლება არა მხოლოდ პროგრამების დაუფლების ან მუსიკალური ნაკადის მიმართულებით, არამედ ზოგადად (ხმა, პროგრამები: ბუნებრივი ხმები, მუსიკალური ლაიტმოტივი და ა.შ.). აქედან გამომდინარე, რეკომენდაცია გულისხმობს, რომ საგანი უნდა აკმაყოფილებდეს ზოგადი კურსის პრინციპებს. იგივე შეიძლება ითქვას მსგავსი რეკომენდაციის

შემთვევაში, სადაც საუბარია საგანზე „აუდიო დიზაინი“, რომლსაც ახორციელებს მრავალი წელია შესანიშნავი კომპოზიტორი, ფაკულტეტის ასისტენტ პროფესორი. ეს საგანიც ზოგადად დარგობრივი დანიშნულებისაა, თეორიული და პრაქტიკული შინაარსის, თუმცა, უნდა ითქვას, რომ ხმის რეჟისორებს პროგრამა არ ზრდის. მედიახელოვნების ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი ოთხ წელიწადში ერთხელ მონაწილეობს აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად კონკურსში, დარგის შესაბამისი კვალიფიკაციის პრაქტიკული გამოცდილების გათვალისწინებით (დანართი 4). ასეთივე წესით ცხადდება კონკურსი მედიახელოვნების ფაკულტეტზე არსებული „ვიზუალური კომუნიკაციისა და მედიახელოვნების“ კვლევითი ცენტრის მეცნიერ-თანამშრომლების ხუთი წლის ვადით აჩევსას.

ჯგუფი იღებს დასაბუთებას და ახალ მონაცემებს დაწესებულების პასუხის ფარგლებში და ეს რეკომენდაცია გადააქვს რჩევებში.

**3.2 „განხორციელდეს ხელმძღვანელებისა და მათი მაგისტრანტებისა და დოქტორანტების რაოდენობის მონიტორინგი, რათა უზრუნველყოფილ იქნას პროცესისა და მუშაობის ხარისხი, ასევე პერსონალის რეალისტური სამუშაო დატვირთვა;“**

**პასუხი:** ეს რეკომენდაცია ფოტოხელოვნების საბაკალავრო პროგრამის რეკომენდაციების ჩამონათვალშია და არის ფაქტობრივი უზუსტობა, რადგან, ფოტოხელოვნების პროგრამას არ აქვს სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურები.

ჯგუფი მიიჩნევს, რომ ფოტოგრაფია ვერტიკალურად არის მოთავსებული ციფრული/ მედია ხელოვნების სამივე საფეხურზე ერთსა და იმავე დაწესებულებაში და, შესაბამისად, შეიძლება განიხილოს ეს ასპექტიც; თუმცა, ჯგუფმა შეიძლება მიიღოს ეს როგორც არასწორი ფორმულირება და გადაწყვიტოს მისი ამოღება.

**4.1 „თუკი მედიახელოვნების პროგრამები მიიღებენ აკრედიტაციას, სასურველია რომ საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურის პროგრამებს ჰყავდეთ ცალცალკე ხელმძღვანელები, და თუკი აკრედიტაცია მიენიჭება ინგლისურენოვან პროგრამებს, მაშინ მათ ხელმძღვანელებს უნდა ჰქონდეთ შესაბამისი ენის ცოდნა“.**

**პასუხი:** ფაქტობრივი უზუსტობაა, ამ რეკომენდაციის საერთო კლასტერულ რეკომენდაციაში გამოტანა, ვინაიდან საბაკალავრო საფეხურის სამივე პროგრამას ჰყავს ცალცალკე ხელმძღვანელი და შესაბამისად, რეკომენდაციის ძირითადი შინაარსი სამაგისტრო ქართულ და ინგლისურენოვან პროგრამებს და სადოქტორო ქართულ და ინგლისურენოვან პროგრამებს

შეეხება. ვეცდებით, განვმარტოთ ბუნდოვანი და წინაარმდეგობრივი უზუსტობანი. ფოტოხელოვნების პროგრამას ჰყავს არა ერთი, არამედ ორი ხელმძღვანელი (ბ-ნ იური მეჩითოვი და ქ-ნ. ნათელა გრიგალაშვილი); გრაფიკული დიზაინის საბაკალავრო პროგრამას ჰყავს აგრეთვე ორი ხელმძღვანელი (ქ-ნ მარიამ ჭიჭინაძე და ქ-ნ ანა წერეთელი); მედიახელოვნება/ციფრული მედიის საბაკალავრო პროგრამას ხელმძღვანელობს ქ-ნ ნანა იაშვილი, რომელსაც თანახელმძღვანელობას უწევს პროგრამაში არსებული განსხვავებული სამი მოდულის პროფესორი (ქ-ნ ნინა სამანიშვილი, ბ-ნ ზაზა იაშვილი, ქ-ნ რუსუდან ერისთავი); მედიახელოვნება/ციფრული მედიის ქართულ და ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამების ხელმძღვანელები არიან ქ-ნ ნანა იაშვილი, ბ-ნ სანდრო ასათიანი. მედიახელოვნება/ციფრული მედიის ქართულ და ინგლისურენოვანი სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელები არიან ქ-ნ ნანა იაშვილი, ბ-ნ კარლ სტოკერი. პირველ რიგში, მკაფიოდ უნდა ითქვას, რომ თსსა მედიახელოვნების ფაკულტეტის პროგრამები დეტალური სფეროს რამოდენიმე კონკრეტულ სპეციალობას მოიცავს - გრაფიკული დიზაინს და მედიახელოვნება/ ციფრული მედიას და ორიენტირებულია, რომ კურსდამთავრებულს ამ სფეროებში მისცეს განათლება, ფოტოხელოვნებას არ აქვს დარგობრივი სტანდარტი, თუმცა ჩვენს დარგობრივ საბჭოს ჰქონდა სამუშაოდ, მაგრამ მისი სპეციფიკის გათვალისწინებით გავიტანეთ ამ სტანდარტიდან. საბაკალავრო პროგრამებში ეს ძირითადი პრინციპების და ტექნიკური მახასიათებლების ზოგადი, ფართო ცოდნაა. მომდევნო საფეხურზე, სამაგისტრო პროგრამებში სპეციალიზაცია ღრმავდება და პროგრამა ისეა აგებული, რომ კურსდამთავრებულს მისცეს ცოდნა და გამოუმუშაოს პრაქტიკულად ოპერირების და კვლევის უნარები კონკრეტულ სფეროებში. ეს სფეროებია: (ფოტოხელოვნება, გრაფიკული დიზაინი, მედიახელოვნება/ციფრული მედია) ხოლო, უმაღლესი განათლების მესამე სადოქტორო საფეხურზე კვლევითი და შემოქმედებითი პროდუქტის ერთ მთლიანობას წარმოადგენს სადოქტორო პროგრამა მედიახელოვნება/ციფრული მედია. ვფიქრობთ, კარგად იკვეთება უმაღლესი განათლების სამივე საფეხურზე ე.წ. ვერტიკალური კლასტერი - მედიახელოვნება/ციფრული მედიის სპეციალობის განვითარება საბოლოოდ სრული კომპეტენციის შემოქმედი მკვლევარის აღზრდის მონიტორინგი. არაარგუმენტირებულია განმარტება ვერტიკალური კლასტერის ხელმძღვანელის/ თანახელმძღვანელის „ჰიპერაქტიურობასა“ და ერთპიროვნულ პროგრამების მართვასთან მიმართებაში (რომ აღარაფერი ვთქვათ ეთიკაზე). ერთადერთი, რა განმარტებაც შეიძლება არსებობდეს. ეს არის მაღალი აკადემიური პასუხისმგებლობა და უფლება მოვალეობების/ვალდებულებების შესრულება მომავალი თაობის აღზრდასთან დაკავშირებით.

მედიახელოვნების მაგისტრის და მედიახელოვნების დოქტორის კვალიფიკაციის სურვილი ობიექტურად თუ ვიმსჯელებთ ისეთი მედიახელოვნების დარგის დიზაინერის ამბიციას, რომელსაც უკვე აქვს წარმატებული კარიერა და სურს მისი გამოცდილება გარდაქმნას ახალ ცოდნად, რომელსაც თავისთავად გაუზიარებს სტუდენტებს. ინგლისურ ენასთან დაკავშირებით, ინგლისურენოვან სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებზე მომუშავე პერსონალს, ცხადია, უნდა ჰქონდეს ენის ცოდნის კომპეტენცია და პრაქტიკული გამოცდილება. უცხოელი და ქართველი მოწვეული პედაგოგები და აკადემიური პერსონალი აკმაყოფილებს ამ კომპონენტს.

პროგრამებში ცალკე ხელმძღვანელების დანიშვნის შესახებ რეკომენდაცია ჯგუფმა გასცა როგორც „სასურველი“, ჩვენ გავითვალისწინეთ დაწესებულების ამბიცია შესთავაზოს ასეთი მრავალფეროვანი სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები და თან ორ ენაზე (ინგლისურად და ქართულად, ცალ- ცალკე), ამიტომ მხოლოდ რჩევა ამ მხრივ ძალიან სუსტი და არასავალდებულო იქნებოდა, რადგან ჯგუფი მიიჩნევს, რომ ეს საკითხი ყველაზე სერიოზულად უნდა იქნას განხილული. ჯგუფი მიიჩნევს, რომ მთლიანობაში, სიებში, დოკუმენტაციაში და გასაუბრებებში წარმოდგენილი პერსონალის რაოდენობა და დატვირთვის რეალური მოცულობა არ არის საკმარისი თითო პროგრამაზე სტუდენტების რაოდენობისთვის, განსაკუთრებით, თუ გავითვალისწინებთ ერთის მხრივ ინდივიდუალური ხელმძღვანელების ექსპერტიზას და, მეორეს მხრივ, შესაძლო საექსპერტო (ქვე) სფეროების და/ ან ნაშრომების თემატიკის მრავალფეროვნებას. კერძოდ, ქალბატონი ნანა იაშვილი, როგორც ჩანს, შესანიშნავად უძღვება რამდენიმე პროცესს და წამყვანი ფიგურაა წარმოდგენილ პროგრამებში, მაგრამ მეორე მხრივ, როგორც ჩანს, მას არ ჰყავს რეალური კანდიდატი, ვინც საჭიროების ან მისი პედაგოგიური თუ ხელმძღვანელობის დატვირთვის გაზრდის შემთხვევაში შეძლებს მის ჩანაცვლებას. ბ- ნი კარლ სტოკერი, დაწესებულების გარე თანამშრომელი, დისტანციურად (აუდიო- ვიდეო) ჩაერთო ჯგუფთან გასაუბრებაში და გაეცნო როგორც მომავალი ხელმძღვანელი მედია ხელოვნების რამდენიმე ძირითადი მიმართულებით, თუმცა ამ ზეპირი განცხადების გარდა, ამჟამად ან უახლოეს მომავალში მისი ჩართულობა დაწესებულებაში არ დასტურდება. გარდა აღნიშნული ორი გამოკითხულისა და პირობითად კიდევ ორის გარდა, ინტერვიუებში წარმოდგენილმა სხვა პერსონალმა არ გამოავლინა ინგლისური ენის ცოდნის ის დონე, რომელიც საკმარისი იქნებოდა აკრედიტაციისთვის წარმოდგენილი ინგლისურენოვანი პროგრამის ავტონომიურად სწავლებისა და ხელმძღვანელობისთვის

მაგისტრატურის ან განსაკუთრებით დოქტორანტურის საფეხურზე, ენის ცოდნის დამადასტურებელი სერთიფიკატის წარდგენის შემთხვევაშიც კი. აქედან გამომდინარე, ჯგუფი მიიჩნევს, რომ ეს მნიშვნელოვანი რეკომენდაცია სათანადო და დასაბუთებულია და, შესაბამისად, უცვლელი რჩება. ჯგუფი აღნიშნავს, რომ თავის პასუხში დაწესებულება აცხადებს, რომ „რექტორის სახელზე უკვე წარდგენილია მოხსენებითი ბარათი პროგრამების თანახემდღვანელებად სანდრო ასათიანის და კარლ სტოკერის დანიშვნის შესახებ. (ცხადია აკრედიტაციის პასუხის დადებითი შეფასების შემთხვევაში)“.

**1.5 „რეკომენდებულია სალექციო ბადის შინაარსი, მიზნები და შედეგები გადაიხედოს შემდეგ სილაბუსებში: „ციფრული ბეჭდვა“, „საგამომცემლო დიზაინი“, „კომპოზიცია და რეკლამა ინტერიერში“, „კომპოზიცია და რეკლამა ექსტერიერში“.**

**პასუხი:** ეს რეკომენდაცია გაცემულია ფოტოხელოვნების საბაკალავრო პროგრამაზე, სადაც არ არის გათვალისწინებული კურიკულუმით საგანი - „ციფრული ბეჭდვა“, შესაბამისად, სალექციო ბადის შინაარსზე, მიზნებსა და შედეგებზე გავლენას ვერ იქონიებს. ვეთანხმებით რეკომენდაციას საგანი „საგამომცემლო დიზაინის“ მოწერიგებასთან დაკავშირებით, ვინაიდან ის ტექნიკურად დაზიანებულია, შესაბამისად შესასწორებელი; ორი დისციპლინა „კომპოზიცია და რეკლამა ინტერიერში“, „კომპოზიცია და რეკლამა ექსტერიერში“ სამივე საბაკალავრო პროგრამისთვის საერთოა და ერთნაირად იკითხება, მესამე და მეოთხე სემესტრში, ვინაიდან ამ საგნების მიზანი და შედეგები არის პირველი ინდივიდუალური პროექტის ორგანიზომილებიანი გრაფიკის საშუალებებით კომპოზიციური შემოქმედებითი გადაწყვეტა. საბაკალავრო საფეხურზე ამ დისციპლინით ხდება პირველ რიგში კომპოზიციის ამოცანის გააზრება მაგალითად, მცირე ზომის საცხოვრის მიტანის სერვისის ლოგო პერსონაჟით და სხვა. ეს ბაკალავრებისთვის პირველი სტუდიური დავალებაა ნასწავლი სოფტის და ფოტოგრაფიის ზოგადი კურსის ერთობლივი კომპეტენციის გაერთიანებით, რაც არის თსს აკადემიის ვიზუალური ხელოვნების შემოქმედებითი დარგებისთვის სტუგიური მუშაობის სპეციფიკა. ეს ორი დისციპლინა მიეკუთვნება საფაკულტეტო ზოგად კურსს და საერთოა სამივე საბაკალავრო პროგრამისთვის. რუტინული გამეორება მრავალფეროვანი ხერხებით და საშუალებებით შემოქმედებითი ამოცანის სტუდენტის კრეატიულ უნარებს აწვითარებს.

ჯგუფი მიიჩნევს, რომ რეჟისურისა და დრამატურგიის სილაბუსებში მოყვანილი ცოდნისა და უნარ- ჩვევების განმარტება ბუნდოვანი რჩება. საგანმანათლებლო კურიკულუმი ხაზს უსვამს დასაქმების სფეროს კინოსა და ტელევიზიის ინდუსტრიაში. გარდა ამისა, პროგრამა

ხაზს უსვამს სტუდენტების ჩართულობას ანიმაციური ისტორიების, სარეკლამო რგოლებისა და ვიდეო კლიპების შექმნაში. სამაგისტრო ნაშრომის კულმინაცია მოიცავს ანიმაციური სიუჟეტის შექმნას, სარეკლამო რგოლების შემუშავებას და კლიპების წარმოებას - ყოველივე ეს შედის აუდიოვიზუალური ხელოვნების სფეროში. შესაბამისად, აქცენტის გადატანა სარეჟისორო და დრამატურგიის კურსებიდან აუდიოვიზუალური რეჟისურის უფრო მრავალმხრივ კვლევაზე შესაბამისობაში მოიყვანს მას პროგრამის მიზნებთან. ეს სტუდენტებს გააცნობს არა მხოლოდ დრამატურგიისა და ნარატიული კონსტრუქციის ფუნდამენტურ პრინციპებს, არამედ განუვითარებს უნარებს, რომლებიც ხელს შეუწყობს მათ ადაპტაციას როგორც კინო- ინდუსტრიაში, ასევე ტელევიზიაში. როგორც გასაუბრებებში გაირკვა, დაწესებულების გაგებით, მედიახელოვნება წარმოადგენს აუდიოვიზუალურ ხელოვნებასთან შერწყმულ განსხვავებულ სფეროს, რაც მოითხოვს საშემსრულებლო ხელოვნებაში არსებული ინსტრუქტორების მოქმედი კვალიფიკაციის კრიტერიუმების გადახედვას. არსებული კვალიფიკაცია შეიძლება არასაკმარისი აღმოჩნდეს აუდიოვიზუალური და მედია ხელოვნების სფეროში საჭირო ცოდნის გასავრცელებლად. მსგავსი სიტუაციაა აუდიო დიზაინის პროექტებში, როგორც ეს სასწავლო გეგმაშია წარმოდგენილი. იმის აღიარება, რომ აუდიო დიზაინი სცილდება უბრალო მუსიკალურ აკომპანიმენტს, ფლობს ფართო პოტენციალს ვიზუალურ კონსტრუქციებში სხვადასხვა მედიუმში, როგორცაა ფილმი, მუსიკალური ვიდეო და ინსტალაცია, ხაზს უსვამს მისი ფარგლების მხოლოდ მუსიკალური ლაიტმოტივების შექმნადმე დაყვანის არაადეკვატურობას. მიუხედავად იმისა, რომ არსებული სასწავლო გეგმა ავითარებს ხმის რედაქტირების ტექნოლოგიურ ცოდნას, ის უგულებელყოფს ხმის დიზაინთან დაკავშირებული უამრავი აპლიკაციისა და გამოწვევის ყოველმხრივ შესწავლას. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ამ ნაწილის გაფართოება თეორიული ჩარჩოს ფარგლებში. ამიტომ პანელი მიიჩნევს, რომ ეს რეკომენდაცია უცვლელი დარჩეს.

**1.4 „დაკონკრეტდეს, რომ პროგრამის სახელწოდება „მედია ხელოვნება“, რეალურად „შემოქმედებით ინდუსტრიებს“ უკავშირდება დასაქმების ქართულ რეალობაში, სულ მცირე ისე როგორც ეს ასახულია პროგრამის შესავალ ნაწილებში (განსაკუთრებით, საჯარო ინფორმაციაში)“.**

**პასუხი:** უზუსტობაა პროგრამის დასახელება - „მედია ხელოვნება“. პროგრამის სახელწოდებაა „მედიახელოვნება/ციფრული მედია“. ექსპერტთა ჯგუფმა უცნაურად დაისვა შეკითხვა პროგრამის სახელწოდებასთან დაკავშირებით. ჩვენი აზრით, სახელწოდება უნდა მეტყველებდეს



დარგის მოქმედების არეალზე. მედიახელოვნება შემოქმედებით ინდუსტრიებს არა თუ ეთანადება, არამედ პირდაპირ დარგობრივ მახასიათებელშია წარმოდგენილი. თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში 2018-2022 წლებში მიმდინარეობდა ბრიტანული საბჭოს საგრანტო კონკურსის "შემოქმედებითი ნაპერწკალი: სამეწარმეო განათლების პროგრამა უმაღლესი სასწავლებლებისათვის" გამარჯვებული პროექტი UP-Start". პროექტის პარტნიორები ენჯელ ინვესტორების კომპანია Creative Advantage (დიდი ბრიტანეთი) და სსიპ შემოქმედებითი საქართველო. პროექტის ფარგლებში შემუშავდა ბიზნეს ინკუბატორის მოდელი და სამეწარმეო მოდული, რომლის მთავარი კონცეფცია გახლავთ შემოქმედებითი და ინოვაციური მეწარმეობის ერთ საგანმანათლებლო ბადეში გაერთიანება. მოდული შედგება 10 საგნისგან. მათ შორის 3 იკითხება მედია ფაკულტეტზე როგორც საბაკალავრო, ასევე სამაგისტრო საფეხურებზე (ინოვაციური მეწარმეობა, მედია მენეჯმენტი, კულტურის მარკეტინგი). პროექტის ფარგლებში თსს აკადემიაში, სატესტო რეჟიმში ფუნქციონირებდა ბიზნეს ინკუბატორი, მის ბენეფიციარებს შორის იყვნენ მედიახელოვნების ფაკულტეტის ბაკალავრი და მაგისტრი სტუდენტები. მათ შორის საერთაშორისო წარმატებას მიაღწია მედია ფაკულტეტის სტუდენტების ორმა სტარტაპმა:

1. Film Community Platform (ელენა გლაზოვა) - სტარტაპმა ინკუბატია გაიარა თსს აკადემიის ბიზნეს ინკუბატორში, ხოლო თსს აკადემიის სახელით 2021 წელს დარეგისტრირდა საერთაშორისო კონკურსზე Big Idea Challenge, მოხვდა საერთაშორისო ფინალისტების სიაში (<https://creativespark-bigidea.uk/finalists-2021/vote-for-idea-26/>). სტარტაპით დაინტერესდა ლონდონის მეტროპოლიტენ უნივერსიტეტის აქსელერატორი, რომელმაც ელენა გლაზოვა დააფინანსა დიდი ბრიტანეთში, ლონდონში დაგეგმილ უორქშოფებში მონაწილეობის მისაღებად და შემდგომი აქსელერაციისთვის.

2. Pharao (გივი გამყრელიძე, მარიამ გოჯიაშვილი) - სტარტაპი ქმნის ნამდვილი ადამიანების 3D ავატარების ბიბლიოთეკას, რომლებსაც ყიდის ციფრულ ინდუსტრიებზე, როგორცაა მეტავერსები, თამაშები, ფილმები, ციფრული მოდა და ა.შ. სტარტაპმა თავდაპირველი ინკუბაცია გაიარა თსს აკადემიის ბიზნეს ინკუბატორიში, იმუშავე პროტოტიპირებაზე თსს აკადემიის ფაბლაბში, შემდგომში თსს აკადემიამ გუნდი "ფარაო" წარადგინა ილიას უნივერსიტეტისა და კლივლენდის უნივერსიტეტების მიერ ორგანიზებულ პირველ ეროვნულ სტარტაპ კონკურსზე, სადაც თსს აკადემიის სტარტაპმა მოიპოვა პირველი ადგილი და კლივლენდის სახელმწიფო უნივერსიტეტმა წაიყვანა გუნდი აშშ-ში სტარტაპის შემდგომი აქსელერაციისთვის.

ჯგუფი აცხადებს, რომ პრობლემა არის არა პროგრამის სახელში, არამედ როგორ არის იგი "ასახული პროგრამის შესავალ ნაწილებში (განსაკუთრებით საჯარო ინფორმაციაში)", რაც შესაბამისად უნდა დაზუსტდეს, რომ ასახოს საქართველოს შემოქმედებითი სექტორის გაბატონებული გაგება და დასაქმების რეალობა. ეს არის ის ფაქტობრივი კონტექსტი, რომლისთვისაც ამ პროგრამების კურსდამთავრებულები იღებენ კვალიფიკაციას და რომელშიც, სავარაუდოდ, დასაქმდებიან. „კულტურული“ სექტორი, რომელიც ყველაზე ახლოს დგას სიტყვასთან „ხელოვნება“ პროგრამების სახელწოდებებში, ძალიან მცირე აღმოჩნდა - გასაუბრებების დროს და ჯგუფის შემდგომი კვლევისას - საქართველოში და არ წარმოადგენს დასაქმების ნამდვილ რეალობას ან სამომავლო ამბიციის ვექტორს ამ პროგრამების კურსდამთავრებულთა დიდი უმრავლესობისთვის, რაც არანაკლებ აისახება მათ პროგრამის მიზნებში. ამიტომ ჯგუფი თვლის, რომ ეს რეკომენდაცია უცვლელი უნდა დარჩეს, რადგან ის მხოლოდ ეხება პროგრამების შეჯამებას და იმას, როგორ ხდება პროგრამების წარდგენა საზოგადოებისთვის და კანდიდატებისთვის.

**ქვემოთ წარმოვადგენთ თსსა არგუმენტებს კლასტერის საერთო და კონკრეტულ პროგრამებთან მიმართებით გაცემულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით**

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:**

**1.3. „უსდ-მ უზრუნველყოს პროგრამის პერსონალის ჩართულობა პროგრამის სწავლის შედეგების მეთოდების შემუშავებაში და შედეგების შეფასებაში; მხარი დაუჭიროს მათ პროცესისთვის აუცილებელი უნარებისა და ცოდნის გამომუშავებაში.“**

**პასუხი:** წარმოდგენილი კლასტერის პროგრამების პერსონალის ჩართულობა სწავლის შედეგების შემუშავების პროცესში ასახულია თვითშეფასების ანგარიშში და სამუშაო ჯგუფის შეხვედრების შესაბამის ოქმებში, სადაც მიმდინარე პროგრამების შედეგების შეფასება არის გათვალისწინებული; უზრუნველყოფილია პროცესისთვის აუცილებელი უნარებისა და ცოდნის საკითხი, რომელიც ეყრდნობა და სრულად ასახავს უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელს - „ვიზუალური კომუნიკაცია/მედიახელოვნება“, რომლის შემუშავებაშიც ჩართულნი იყვნენ მედიახელოვნების ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი. (დანართი 5).

ექსპერტთა ჯგუფი თანახმაა, რომ პროგრამის აკადემიური პერსონალის ჩართულობა პროგრამის სასწავლო გეგმის რუკების შემუშავებაში ასახულია თვითშეფასების ანგარიშში, ასევე ოქმში და ისიც დადასტურებულია ანგარიშში. თუმცა, რეკომენდაცია გამომდინარეობს გასაუბრების

შედეგებიდან, რომელიც ასევე არის მტკიცებულება ექსპერტებისთვის, და არ ადასტურებს პერსონალის ჩართულობას, ისევე როგორც პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების რეგულაციების, მეთოდების, ზღვრების და ა.შ. ცოდნას. ამიტომ საჭიროა პერსონალის მეტი ჩართულობა და მხარდაჭერა. ამრიგად, ექსპერტთა ჯგუფი არ იზიარებს დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას და რეკომენდაცია უცვლელი რჩება.

**1.3. „გადაიხედოს პროგრამების სასწავლო გეგმის რუკები; რუკებზე დაყრდნობით, შემუშავდეს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა, შეფასების კონკრეტული პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდების მითითებით, რომლებიც დაზუსტებული უნდა იყოს თითოეული პროგრამისთვის, სპეციალობის სპეციფიკისა და მათი სამიზნე ნიშნულების გათვალისწინებით. უზრუნველყოფილ იქნას პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება. ამ პროცესში ტერმინოლოგია უკეთესად უნდა იყოს ასახული და მოწესრიგებული; გამოყენებული უნდა იყოს აუდიოვიზუალური ხელოვნებისთვის დამახასიათებელი ტერმინოლოგია, რადგან ახლა ის ზედმეტად ზოგადია;“**

**პასუხი:** მედიახელოვნების ფაკულტეტზე შემუშავებულია და დამტკიცებული დოკუმენტი „პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგია. სამიზნე ნიშნულები“ (2021 წლის 15 ოქტომბრი. ოქმი N44), რომელშიც აღწერილია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა. მედიახელოვნების ფაკულტეტზე სისტემატურად კეთდება თითოეული პროგრამისთვის სწავლის შედეგების შეფასების ანგარიში, განიხილება ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე და გაიცემა შესაბამისი რეკომენდაციები. დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებზე ჯგუფში მცირერიცხოვნებიდან გამომდინარე, თუნდაც 1 ან 2 სტუდენტის მაღალი/დაბალი შეფასება მნიშვნელოვნად ცვლის პროცენტულ მაჩვენებლებს და ეს გარემოება გათვალისწინებულია შედეგების შეფასების პროცესში. ყოველ სემესტრში ტარდება სტუდენტთა და პედაგოგთა გამოკითხვები. (დანართი 6)

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებას მართლაც ახორციელებს დაწესებულება და ანგარიშის ფარგლებში მოწონებულია საერთო მეთოდოლოგია და მიდგომები, ასევე ვალიარებთ დაწესებულების შრომას და ძალისხმევას. თუმცა, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ ეს რეკომენდაცია დაეხმარება დაწესებულებას გააუმჯობესოს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგია და განსაზღვროს შეფასების კონკრეტული მეთოდები, და არ გამოიყენოს საერთო სასწავლო კურსის შეფასება, რაც ხელს შეუწყობს დაწესებულებას უწყვეტი

განვითარების პროცესში. ეს ასევე არის აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნა, შესაბამისად, რეკომენდაცია უცვლელი რჩება.

**2.2 „რეკომენდებულია, შრომის ბაზრის საფუძვლიანი ემპირიული ანალიზის ჩატარება, რაც მიზნად ისახავს ზუსტად დადგინდეს ის რეკვიზიტები, რომლებიც საჭიროებენ დამსაქმებლების მიერ აღნიშნული დამატებითი სწავლების აუცილებლობას კურსდამთავრებულებისთვის. ამ ემპირიული კვლევის შემდეგ, სასწავლო კურსები უნდა დაკორექტირდეს, გამოვლენილი მოთხოვნების შესაბამისად. ეს ძალისხმევა უზრუნველყოფს კლასტერის კურსდამთავრებულებისთვის აუცილებელი ცოდნის სფეროების ყოვლისმომცველ დაფარვას, შრომის ბაზრისა და დამსაქმებლების მიერ გამოხატული კონკრეტული მოთხოვნების შესაბამისად;“**

**პასუხი:** მედიახელოვნება ხელოვნების შედარებით ახალი დარგია. ამ დარგის საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში დაიწყო 1997 წლიდან, ჯერ კიდევ იმ დროს, როდესაც ბაზარს ან კონკრეტულ დამსაქმებელს მკაფიოდ გააზრებულიც კი არ ჰქონდა საკუთარი მოთხოვნები. მაგრამ პროგრამების შემუშავება და მათი ეტაპობრივი განვითარება სწორედ დამსაქმებლის კვლევებს და შრომის ბაზრის სწრაფად ცვალებადი მოთხოვნების პერმანენტულ კვლევას ემყარება. მოხარული ვართ, რომ პატივცემულ ექსპერტებს ისევე, როგორც თსსა-ს, დამსაქმებლების მოთხოვნების კვლევა ინფორმაციის მიღების მნიშვნელოვან წყაროდ მიაჩნიათ. სააკრედიტაციო განაცხადში წარმოდგენილი გვაქვს დამსაქმებელთა ერთ ჯგუფთან ინტერვიუს შედეგები და ამ შედეგების საფუძველზე იქნა მიღებული მთელი რიგი გადაწყვეტილებები მოქმედი საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების მოდიფიცირების თაობაზე. დამსაქმებლებთან ინტერვიუს მსვლელობისას, ვფიქრობთ, ნათლად გამოვლინდა, რამდენად მჭიდრო ურთიერთობა გვაქვს მათთან და სისტემატიურად ვატარებთ მათ გამოკითხვას, როგორც ფორმალური კითხვარების, ასევე, უშუალო არაფორმალური გამოკითხვის გზით. ამავე მიზანს ემსახურება კურსდამთავრებულთა გამოკითხვაც, რომელიც, ასევე, ძალიან მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის, კონკრეტული კომპეტენციების შესახებ, რაც კურსდამთავრებულს კონკურენტუნარიანს ხდის და ეხმარება მას სათანადოდ დასაქმებაში. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩვენი დარგი ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად განვითარებადია, ამიტომ კურიკულუმის შემადგენელი სასწავლო კურსების მრავალფეროვნება და მათი მიზანმიმართულად არჩევა კურსდამთავრებულთა იმ კომპეტენციების განვითარებაზეა მიმართული, რომლებიც დღეს შრომის ბაზარზე განსაკუთრებით აქტუალურია. პოტენციურ

დამსაქმებლებთან გასაუბრების შედეგად, დადგინდა რომ, ისინი ძირითადად კმაყოფილები არიან მედიახელოვნების ფაკულტეტის კურსდამთავრებულთა პროფესიული ცოდნითა და გამომუშავებული უნარ-ჩვევებით. მით უფრო, რომ რამოდენიმე მათგანი ფაკულტეტის კურსდამთავრებული და წარმატებული პროფესიონალია. თითოეულმა მათგანმა გამოხატა სწავლის პროცესში პრაქტიკული უნარების გაძლიერების სურვილი, რაც მნიშვნელოვანია კონკრეტული საქმის შესასრულებლად. გაფორმდა ხელშეკრულებები (დანართი 7), რომელიც მიზნად ისახავს სამხატვრო აკადემიის მედიახელოვნების ფაკულტეტის საბაკალავრო საფეხურის დამამთავრებელი კურსის სტუდენტების პროფესიული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბების და დახვეწის მიზნით პრაქტიკის და სხვა მასთან დაკავშირებული ღონისძიებების ორგანიზებას. დოკუმენტის თანახმად, შეთანხმებული პირობებით, სამხატვრო აკადემიის მედიახელოვნების ფაკულტეტის საბაკალავრო საფეხურის სტუდენტები პრაქტიკას გაივლიან ყოველი სასწავლო წლის ბოლოს და თითოეულ ხელშეკრულებაში მითითებულია სტუდენტთა რაოდენობა, რომლებმაც უნდა გაიარონ პრაქტიკა შესაბამის ორგანიზაციაში. დამსაქმებელთა რეკომენდაციით მედიახელოვნება/ციფრული მედიის საბაკალავრო და სამასგისტრო, ასევე გრაფიკული დიზაინის და ფოტოგრაფიის საბაკალავრო პროგრამებზე დაემატა საგანი - ტიპოგრაფია, ტიპოგრაფიის სალექციო კურსი მოიცავს, როგორც თეორიულ ისე პრაქტიკულ ნაწილს, სტუდენტი გაეცნობა როგორ მუშაობს შრიფტი საკომუნიკაციო დიზაინში, რა დატვირთვა აქვს მას და რა უნდა იყოს გათვალისწინებული შრიფტის შერჩევისა თუ მისი სხვადასხვა სივრცეში გამოყენებისას, სტუდენტები გაეცნობიან ტიპოგრაფიის განვითარების ეტაპებს იეროგლიფებიდან დღემდე, ქართული ტიპოგრაფიის ისტორიას და შეძლებენ შრიფტის გარნიტურის ციფრული ვერსიის შექმნას. კლასტერში შემავალი პროგრამები პრაქტიკულად ახალია/მოდიფიცირებული, მაგრამ მათ საფუძველს ამჟამად მოქმედი პროგრამები შეადგენს. აღნიშნული პროგრამების კურსდამთავრებულთა და სტუდენტთა დასაქმების საკმაოდ მაღალი მაჩვენებელი (დასაქმებულთა პრაქტიკულად 100% კვალიფიკაციის შესაბამისადაა დასაქმებული), ჩვენი აზრით, ირიბად მიუთითებს იმაზე, რომ თსსა მედიახელოვნების ფაკულტეტის მიერ სწორად ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამების პერიოდული მონიტორინგი და შრომის ბაზრის თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინება განათლების სხვადასხვა საფეხურის კურიკულუმებში.

ჯგუფმა მიიღო დაწესებულების განმარტება, თუმცა გადაწყვიტა არ შეცვალოს ეს რეკომენდაცია. დადებითად აღინიშნა, რომ ზოგიერთი დამსაქმებელი ძალიან ახლო კავშირს გრძნობდა

ზოგიერთ კურსთან ან პროგრამებთან და იცოდა, რომ მათ რჩევებს მხედველობაში მიიღებდნენ, თუმცა უმრავლესობამ ეს არ დაადასტურა. ანალოგიურად, პროგრამის კოორდინატორებმა და მასწავლებლებმა არ იცოდნენ კურსდამთავრებულების ან დამსაქმებლების საჭიროებებისა და რჩევების შესახებ. ეს სფერო სისტემატურად უნდა იფარებოდეს დამსაქმებლების (და შესაძლოა კურსდამთავრებულების) უკუკავშირის საფუძვლიანად დანერგილი სისტემის მეშვეობით, რომელიც მჭიდროდ უკავშირდება კურიკულუმების (ხელახალ) შემუშავებას სწავლების მეთოდების, სწავლების ინსტრუმენტების, თემებისა და კომპეტენციების თვალსაზრისით. ის, როგორც წესი, მოიცავს სამოქმედო გეგმებს და ამ ცვლილებების შემდგომ დაკვირვებას და მათი წარმატება რეალურად აქცევს კურსდამთავრებულთა კომპეტენციებს რელევანტურს დასაქმებისთვის.

### **3.1. „საერთაშორისო მობილობა უნდა გახდეს უფრო აღიარებადი და მეტად სისტემატური (განსაკუთრებით, ერასმუსის მხარდაჭერით) სტუდენტებისთვის;“**

**პასუხი:** ინსტიტუციური თანამშრომლობის ინიცირება, ჩამოყალიბება და გაფართოება საერთაშორისო თანამეგობრობასთან, ცოცხალი განვითარებადი პროცესია. ამ კუთხით მედიახელოვნების ფაკულტეტი მაქსიმალურად არის ჩართული საგანმანათლებლო ინტერნაციონალიზაციის დღის წესრიგში, რომლის გადრმავებასა და განვითარებაში მზარდი დინამიკა შეინიშნება. მედიახელოვნების ფაკულტეტის ბაკალვრის და სამაგისტრო საფეხურის სტუდენტები, 2019 სასწავლო წლიდან დღემდე იღებენ მონაწილეობას საშემოდგომო და საგაზაფხულო სემეტრების ERASMUS+ მობილობის გაცვლით პროგრამებში ევროპის პარტნიორ სხვადასხვა უნივერსიტეტებში. მედიახელოვნების ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი 2018 წლიდან მონაწილეობს ERASMUS+ მობილობის გაცვლით პროგრამებში. 2018 წლიდან დღემდე პარტნიორი უნივერსიტეტების სია ყოველ წელს იზრდება და გამოიყურება შემდეგნაირად: FH JOANNEUM გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტი, გრაცი, ავსტრია - FH Joanneum University of Applied Sciences - Graz, Austria; ბალეარის კუნძულების ხელოვნების უმაღლესი სკოლა, პალმა დე მაიორკა, ესპანეთი - Escola d'Art i Superior de Disseny de les Illes Balears, Palma de Mallorca, Spain; პოლონეთის, გდანსკის სახვითი ხელოვნების აკადემია - Academy of Fine Arts in Gdańsk, Poland; ავსტრიის კრემსის უნივერსიტეტი - Danube University Krems, Austria; ავსტრიის, ზალცბურგის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტი - FH Joanneum University of Applied Sciences - Salzburg, Austria; ესპანეთის, კასტელონის ხელოვნების უმაღლესი სკოლა - Escuela de Arte y Superior de Diseño de Castellón; დელ ბიანკოს ფონდი, ფლორენცია, იტალია - Romualdo Del Bianco Foundation,

Florence, Italy; აზერბაიჯანის ნატიფი ხელოვნების აკადემია, ბაქო - Azerbaijan Academy of Fine Art, Baku; ფლორენციის უნივერსიტეტი, იტალია - Florence University, Italy; ჩეხეთის, ოსტრავას უნივერსიტეტი - University of Ostrava, Czech Republic; პრაღის სასცენო ხელოვნების აკადემია - Academy of Performing Arts in Prague (AMU), Czech Republic; ჩვენი მიზანია, რომ მედიახელოვნების ფაკულტეტის კურსდამთავრებულებმა შეძლონ მსოფლიო გლობალიზაციის პირობებში ცხოვრება და მუშაობა.

აკადემიამ ვერც დოკუმენტებში და ვერც გასაუბრებების დროს ვერ წარმოადგინა, თუ როგორ უნდა გახადოს E+ პროგრამა და აკადემიური მობილობის კულტურა სტუდენტებისთვის უფრო მიმზიდველი და განსახორციელებლად რეალისტური. დოკუმენტაციაში წარმოდგენილი იყო პარტნიორი უნივერსიტეტების სია, თუმცა სტუდენტებთან გასაუბრებების დროს ძალიან დაბალი ინფორმირებულობა გამოვლინდა საერთაშორისო მობილობის მნიშვნელობის შესახებ; ამასთან ხელმძღვანელობის ან ადმინისტრაციის მხრიდან არანაირი ინიციატივა არ მოდის, რომ არაფერი ვთქვათ რაიმე შემუშავებულ სტრატეგიაზე. მიუხედავად იმისა, რომ მობილობის კულტურა, როგორც ჩანს, არსებობს პერსონალის ინდივიდუალურ დონეზე, ის არ არის გავრცელებული დაწესებულების მასშტაბით, ან შეფასებული პროგრამების ფარგლებში. შესაბამისად, რეკომენდაცია უცვლელი რჩება.

### **3.1 „უსდ-მ აქციოს კარიერული სერვისები/ცენტრი სტუდენტებისთვის კარგად ნაცნობ და პრაქტიკული ღირებულების მქონე ერთეულად.“**

**პასუხი:** კარიერული განვითარების სერვისის სამხატვრო აკადემიაში მოქმედებს უკვე 2014 წლიდან. ამ ხნის განმავლობაში ამ სამსახურმა ჩაატარა დასაქმების საკითხებთან დაკავშირებული რამდენიმე ფორუმი, შეახვედრა აკადემიის სტუდენტები პოტენციურ დამსაქმებლებს. სამსახურის მნიშვნელობის და ცნობადობის ასმაღლებლად ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში იმართება სტუდენტებთან საინფორმაციო ხასიათის შეხვედრა, რომლებზეც სტუდენტები ეცნობიან კარიერული განვითარებისთვის აუცილებელი სერვისების მთელ სპექტრს, მაგალითად, პოტენციური დასაქმების ბაზებს, დამსაქმებლების/შრომის ბაზრის ტიპიურ მოთხოვნათა ჩამონათვალს თითოეული ფაკულტეტის/სპეციალობის თავისებურებების გათვალისწინებით, საკონსულტაციო მომსახურების პაკეტს, რომელიც მოიცავს სამოტივაციო წერილის შედგენის, გასაუბრების ტექნიკას და სხვ. სამსახურის მიზანს წარმოადგენს თსსა სტუდენტურ თვითმმართველობასთან ერთად, 2023-2024 სასწავლო წელს ჩაატაროს თსსა ხუთივე ფაკულტეტის კურსდამთავრებულთა რამდენიმე შეხვედრა სტუდენტებთან, რომლებზეც

საუბარი იქნება დასაქმების პროცესში მიღებულ გამოცდილებაზე და სტუდენტები მიიღებენ პრაქტიკულ რჩევებს სახელოვნებო შრომის ბაზრის რამდენიმე სფეროში დასაქმებული კურსდამთავრებულებისგან. ამგვარი შეხვედრების სიხშირე და უშუალოდ დასაქმებული კურსდამთავრებულებისგან მიღებული რჩევები სტუდენტებს საკუთარი კარიერული წინსვლის სწორად დაგეგმვის და ამ მიზნით თსსა საკარიერო განვითარების სერვისის ეფექტურად გამოყენების შესაძლებლობას მისცემს. ექსპერტების ვიზიტის შემდეგ კარიერული განვითარების სამსახურმა დაანერგა ასეთი სიახლე: საქართველოში დასაქმების ლიდერი კომპანია - HR.GE-სა და თსსა-ს შორის გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში, სტუდენტთა დასაქმების ხელშეწყობის მიზნით, აკადემიის სტუდენტურ პორტალზე განთავსდა:

• HR.GE-ს საიტზე არსებული, სტუდენტებისთვის შესაფერისი აქტიური ვაკანსიები (სისტემატიური განახლებით).

• აქტიური CV ყუთები.

სტუდენტი იღებს შემდეგ სარგებელს:

- შესაძლებლობა თვალი ადევნოს სტუდენტებისთვის შესაბამის ვაკანსიებს;
- CV-ის შექმნის შესაძლებლობა HR.GE-ს საიტზე, რათა გახადონ საკუთარი პროფილი ხელმისაწვდომი დაინტერესებული კომპანიებისთვის;
- შესაძლებლობა მარტივად დაუტოვონ CV სასურველ კომპანიას CV ყუთში, იმ შემთხვევაშიც კი თუ კომპანიას არ აქვს მიმდინარე აქტიური ვაკანსიები.

(დანართი 8). კარიერული განვითარების სამსახურთან ერთად მედიახელოვნების ფაკულტეტის ადმინისტრაცია სისტემატურად იღებს სხვადასხვა კორპორაციებისა თუ ინდივიდუალური პირებისგან თხოვნით, მივაწოდოთ ინფორმაცია იმ სტუდენტსა ან/და კურსდამთავრებულზე, რომელსაც გრაფიკული დიზაინერის, ვებ დიზაინერის, კომუნიკაციის და რეკლამის დიზაინერის, 3D არტისტის პოზიციაზე დასაქმებისთვის შესაბამისი კომპეტენციები გააჩნიათ.

დასაფასებელია, რომ დაწესებულებამ ამხელა ძალისხმევა გაიღო ამ სფეროში და ჯგუფი ითვალისწინებს დამატებით მოწოდებულ ინფორმაციას და ზემოთ შეჯამებულ არგუმენტებს. თუმცა, რეკომენდაცია ეხება იმას, როგორ ხდება კარიერული განვითარების სერვისები რეალურად ხილვადი და ხელმისაწვდომი ყველა სტუდენტისთვის და რა სტრატეგიებით ხორციელდება მათი თანაბარი პოპულარიზაცია. ამრიგად, რეკომენდაცია უცვლელი რჩება, რადგან ხელოვნების განათლების სფეროში ამ მნიშვნელოვან ასპექტს თანმიმდევრული განხილვა



და პროაქტიული განვითარება სჭირდება, და უბრალო რჩევა, ალბათ, ვერ შეუწყობს ხელს მის სათანადო განვითარებას.

### **3.2 „დაბალანსდეს ხელმძღვანელობის დატვირთვა მოწვეულ და დასაქმებულ პერსონალს შორის და ორივე მხარისთვის დაინერგოს შესაბამისი წახალისების მექანიზმები.“**

**პასუხი:** დოქტორანტურის დებულებაში, სამაგისტრო ნაშრომის შემუშავების ინსტრუქციაში და საბაკალავრო ნაშრომის შემუშავების ინსტრუქციაში გაწერილია ხელმძღვანელის და თანახელმძღვანელის დატვირთვა. ინგლისურენოვან სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებზე გათვალისწინებულია განსხვავებული სახელფასო განაკვეთი.

ჯგუფმა ეს რეკომენდაცია დააფუძნა გასაუბრებებზე, რომელზეც პერსონალი, რომელიც აღჭურვილია მენეჯმენტის ნდობით, დიდწილად აღნიშნავდა საკითხებს სამუშაოს არათანაბარი განაწილებისა და წახალისების ნაკლებობის შესახებ. ამიტომ რეკომენდაცია უცვლელი რჩება.

### **2.4 „დაინერგოს გამჭვირვალე და თანაბრად დაცული კრიტერიუმები საბოლოო ნაშრომის შესაფასებლად გამოცდებზე, თუმცა განსაკუთრებით საფინანსო ნაშრომებზე, რაც მცირედ ეხება სამაგისტრო დისერტაციებს, მაგრამ დიდწილად და მნიშვნელოვნად ეხება სადოქტორო ნაშრომებს.“**

**პასუხი:** საბოლოო ნაშრომის დაცვის შეფასების პროცედურა და კრიტერიუმები აღწერილია სამაგისტრო და სადოქტორო ქართულენოვან და ინგლისურენოვან პროგრამებში, ასევე შესაბამის დებულებებში. ინტერვიუების დროს მოთხოვნილ იქნა საკვალიფიკაციო კომისიის სხდომის ოქმი, რომელიც მყისიერად იქნა მიწოდებული. პროცედურების ამსახველი ვიზუალური მასალა მრავლად არის განთავსებული თსსა ვებ გვერდზე. როგორც საკვალიფიკაციო ნაშრომების დაცვის პროცედურა, ასევე საკურსო პროექტების ჩვენება მიმდინარეობს live რეჟიმში (დაინერგა პანდემიის პერიოდში და შეიძლება ჩაითვალოს საუკეთესო მიგნებად. სტუდენტის ყოველსემესტრული ინდივიდუალური საკურსო ნაშრომები ქმნის მის სასწავლო პორტფოლიოს, ხელმისაწვდომია ნებისმიერი დამთვალეიერებლისთვის, დაცულია ავტორის უფლებები [https://drive.google.com/drive/folders/1ms0Lt3qL6q\\_VGHMC4fjE8ATyURhPFtqZ](https://drive.google.com/drive/folders/1ms0Lt3qL6q_VGHMC4fjE8ATyURhPFtqZ))

ეს რეკომენდაცია რჩება, რადგან იგი ეფუძნება გასაუბრებებს სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან, რომლებიც თვლიდნენ, რომ ეს კრიტერიუმები არ იყო გამჭვირვალე და თანაბრად დაცული, რაც გასარკვევია, მიუხედავად იმისა, რომ ისინი შეიძლება ფორმალურად

არსებობდეს. ზოგიერთის აზრით, ზეპირი გამოცდები ყველა სტუდენტისთვის ერთნაირი კრიტერიუმებით არ ფასდებოდა.

**2.4 „რეკომენდებულია, შეფასების ფორმების გადახედვა და შეცვლა ისე, რომ ისინი შესაბამისობაში იყოს საგნების სპეციფიკას;“**

**პასუხი:** შეფასების ფორმებში გათვალისწინებულია კლასტერში წარმოდგენილი თითოეული პროგრამის კურიკულუმის საგნების სპეციფიკა ვიზუალური კომუნიკაცია/მედიახელოვნების დარგობრივ მახასიათებელზე დაყრდნობით.

აღმოჩნდა, რომ კურსის დონეზე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური არ იყო საკმარისად მხარდამჭერი. ამრიგად, რეკომენდაცია უცვლელი რჩება, რადგან სწორედ ეს არის კურსების ფაქტობრივი აკადემიური შინაარსისა და მათი განხორციელების გზების გაუმჯობესებისა და შესაბამისობაში მოყვანის მთავარი გზა.

**2.4 „ზოგადად, რეკომენდებულია, რომ განხილული კლასტერის პროგრამებში (მაგ., საბაკალავრო, მაგრამ ასევე სამაგისტრო) შემცირდეს იმ წერილობითი ტესტების საერთო რაოდენობა და წილი, რომლებიც დამოკიდებულია დისკურსიულ მეთოდებსა და ინსტრუმენტებზე, და მეტი ყურადღება დაეთმოს პრაქტიკული ცოდნისა და კომპეტენციების შეფასებას, რაც საკვანძოა შემოქმედებითი აკადემიური დისციპლინებისთვის;“**

**პასუხი:** მედიახელოვნების ფაკულტეტის პროგრამებში სპეციალობის რამოდენიმე სავალდებულო საგანში (2D რასტრული გრაფიკა, 2D ვექტორული გრაფიკა, აუდიო დიზაინი...) და რამდენიმე არჩევით დისციპლინაში (Blender 3D მოდელირება...) შეფასების კრიტერიუმებშია 30-50% -ტესტი, დანარჩენი - პრაქტიკული დავალების შეფასება. მხოლოდ თეორიულ არჩევით დისციპლინის შეფასების კრიტერიუმებშია წერილობითი ტესტი. საერთო რაოდენობის წილი მცირეა, შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ პროგრამის სასწავლო კურსების განსაზღვრა, უნივერსიტეტის ავტონომიურობისა და აკადემიური თავისუფლების ფარგლებში უსდ-ს უფლებაა, რაც ქმნის კიდევ საგანმანათლებლო პროგრამის უნიკალურობას, ცახდია, იმ აუცილებელი პირობის გათვალისწინებით, რომ პროგრამა განათლების კონკრეტული საფეხურის შესაბამის კვალიფიკაციაზე გადის.

ჯგუფი იღებს დასაბუთებას და ახალ მონაცემებს დაწესებულების პასუხის ფარგლებში და ეს რეკომენდაცია გადააქვს რჩევებში.

4.1 „შემცირდეს პროგრამის მართვაში ერთპიროვნულობის რისკი და განიტვირთოს ფაკულტეტის დეკანის თანამდებობა (რომელიც ასევე მოქმედებს როგორც სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელი და ფაქტობრივად, ასევე ჩართულია აქ განხილული სხვა პროგრამების მართვაში). ეს საკითხი სასწრაფოდ უნდა მოგვარდეს ისე, რომ პროგრამის ხელმძღვანელებმა, რომლებიც ამჟამად ნომინირებულნი არიან, მაგრამ არ აქვთ რეალურად უფლებამოსილება (ან ცოდნა, პროცესების კომპეტენცია, სტუდენტების შერჩევა, პროგრამის განახლება, დამსაქმებლებთან კონტაქტი და ა.შ.) რეალურად იზრუნონ თავიანთ პროგრამებზე.“

**პასუხი:** გაუგებარია, რაში გამოიხატება ერთპიროვნულობა ფაკულტეტის დეკანის, რომელიც არის პროფესორი, რაც საქართველოს კანონით პირდაპირი მოვალეობაა. პროფესორის (აფილირებული) თანამდებობის დასაკავებლად, საჭიროა, დარგის ხედვა და სასწავლო პროგრამის/პროგრამების (საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო) მომზადება. ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი ირჩევს ფაკულტეტის დეკანს, რომელიც ფაკულტეტის საბჭოს ხელმძღვანელობს (კანონით არის გაწერილი). თსსა პროფესორი თსსა აკადემიური თანამდებობების დასაკავებელი კონკურსის ჩატარების წესი და პირობები განისაზღვრება „უმალესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის და თსსა წესდების შესაბამისად. ვაკანტური აკადემიური თანამდებობის დასაკავებელი კონკურსის მიზანია შესაბამის ვაკანტურ თანამდებობაზე რეგისტრირებულ პრეტენდენტთაგან საუკეთესოს გამოვლენა და მისი აკადემიურ თანამდებობაზე არჩევა ღია და სამართლიანი კონკურსის წესით. პროფესორობის კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი დარგის, სპეციალობისა და მიმართულების განვითარების კონცეფცია პროგრამა/პროგრამები, მიმართულების ხედვა დარგის პრიორიტეტებთან/ დისციპლინებთან მიმართებაში) (დანართი 4, დანართი 16).

პასუხის მიხედვით ჯგუფი ასკვნის, რომ ეს მნიშვნელოვანი რეკომენდაცია არასწორად იქნა განმარტებული, ამიტომ იგი უცვლელი რჩება. ჯგუფის კონსტრუქციული კრიტიკა მიზნად ისახავდა პროგრამის ზედმეტი ცალსახა აქცენტის შესუსტებას და ფაკულტეტის დეკანის პასუხისმგებლობის შემსუბუქებას, რომელიც იმავდროულად სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელია და აქტიურად არის ჩართული ფაკულტეტის სხვა პროგრამების დაკვირვებაში. ამას გარდა დეკანი ასრულებს დიდი მოცულობის პედაგოგიურ და ხელმძღვანელობის დატვირთვას, რაც აშკარად სამუშაოს გადატვირთვა და პასუხისმგებლობების გადაჭარბებაა. აუცილებელია ამ საკითხის დაუყოვნებლივ განხილვა, რადგან ეს ეხება ამჟამად დანიშნულ პროგრამის ხელმძღვანელებს, რომლებსაც, როგორც გაირკვა, არ გააჩნიათ საჭირო

უფლებამოსილება, ცოდნა, პროცედურული ექსპერტიზა, არ არიან ჩართული სტუდენტების შერჩევაში, პროგრამების განახლებაში და, რაც მთავარია, დამსაქმებლებთან ურთიერთობაში. ამ საკითხის განხილვა მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ დაწესებულებაში პროგრამის მართვასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობები სათანადოდ იყოს განაწილებული და ხელმძღვანელები ფლობენ იმ შესაძლებლობებსა და პასუხისმგებლობებს, რომლებიც აუცილებელია პროგრამების ეფექტურად მართვისთვის.

**4.1 „მასწავლებლებს, როგორც დასაქმებულს, ასევე მოწვეულს, განემართოთ, პროფესიული/აკადემიური კვალიფიკაციის მოთხოვნები აბილიტაციისთვის და უსდ-მ მათ შესთავაზოს დახმარება კარიერული პროფილის განვითარებაში ამ მოთხოვნების შესაბამისად;“**

**პასუხი:** ამ რეკომენდაციაში, სავარაუდოდ, აკადემიური და მოწვეული პერსონალი იგულისხმება. აკადემიური პერსონალი ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ მონაწილეობას იღებს ვაკანტური აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში. კონკურსი ტარდება ფაკულტეტის მიერ დეტალურად გაწერილი საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად (დანართი 4). ამდენად, აკადემიური პერსონალისთვის „პროფესიული/აკადემიური კვალიფიკაციის მოთხოვნები“ იმთავითვე ცნობილია. მოწვეული პერსონალის შრომით ხელშეკრულებაში ასევე დეტალურად გაწერილია, მათი სამუშაოს დატვირთვა. ზოგადად, პედაგოგიური პერსონალის კმაყოფილების კვლევა სისტემატიურად ტარდება. უსდ ამ კვლევის საფუძველზე ადგენს მათ საჭიროებებს და გეგმავს შესაბამის აქტივობებს (დანართი 9). 2023 წლის ზაფხულში ჩატარებული კვლევის შედეგების თანახმად უკვე დაგეგმილია რამდენიმე ტრენინგის ჩატარება, მათ შორის: საოფისე კომპიუტერული პროგრამების ტრენინგი - MS Word, MS Excel, ინგლისური ენის სასწავლო კურსი (ორი დონე) და სხვ. ტრენინგები ჩატარდება თსსა უწყვეტი განათლების ცენტრის ბაზაზე.

რეკომენდაცია გაკეთდა იმის გამო, რომ გასაუბრების დროს გაირკვა, რომ რამდენიმე პედაგოგმა არ იცოდა მათი დასაქმების ამ ასპექტის შესახებ, ან სათანადოდ ვერ გამოავლინა შესაბამისი სამართლებრივი ჩარჩოებისა და პროტოკოლების ცოდნა. თუმცა, პანელმა მიიღო დაწესებულების განმარტებები და გადაწყვიტა დატოვოს ეს რეკომენდაცია რჩევის სახით.

**4.3 „ინვესტიცია ჩაიდოს მასწავლებელთა მუდმივ პროფესიულ განვითარებაში. მიეწოდოთ მათ განახლებული ინფორმაცია უახლეს კვლევებსა და განათლების საუკეთესო პრაქტიკებზე.“**

**პასუხი:** ინტერვიუს დროს არ იყო მოთხოვნილი და ეხლა წარმოგიდგენთ დანართის სახით უსდ-ს მიერ თსსა მიერ აკადემიური პერსონალის ინგლისურ ენაში გადამზადების კურსის

დამადასტურებელ დოკუმენტს, რომელიც უსდ-ს მიერ ამჯერადაც დაგეგმილია (შესრულდება იანვარში) (დანართი 10).

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტი არ არის დაკავშირებული რეკომენდაციასთან. რეკომენდაცია ძალაში რჩება.

**4.3 „დაინერგოს წახალისების მექანიზმი მოწვეული პერსონალის ამჟამად არაანაზღაურებადი სამუშაოს დასაჯილდოვებლად, განსაკუთრებით მათ ადმინისტრაციულ და ხელმძღვანელობით საქმიანობაში.“**

**პასუხი:** მოწვეული პერსონალი პროგრამების განხორციელებაში ჩართულია და მათი ანაზღაურება საათობრივი გამომუშავების შესაბამისად ხდება, თუმცა რაც შეეხება უცხოელ კოლეგებს, აქ არ გვაქვს სამართლებრივი ფორმა სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლის მხრიდან წინასწარი წახალისების მექანიზმის, პროგრამის განხორციელებისას გაფორმდება ხელშეკრულება სახელფასო ანაზღაურებით.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტი ვერ ჭრის დიდი მოცულობის არაანაზღაურებადი სამუშაოს პრობლემას, რომელიც აღინიშნა საქართველოდან (არა უცხოეთიდან) გარე პერსონალთან გასაუბრების დროს . შესაბამისად, რეკომენდაცია ძალაში რჩება.

**4.4 „აუცილებელია ტექნიკური ბაზის გაძლიერება, რაც პირდაპირ კავშირშია თანხების მოზიდვასთან.“**

**პასუხი:** ტექნიკური ბაზა განახლების პროცესშია, მიმდინარეობს ტექნიკის ეტაპობრივი შესყიდვა, თუმცა ეს რეკომენდაცია ყოველთვის რელევანტურია, ტექნიკა/ტექნოლოგიის სწრაფი ცვლილებების გათვალისწინებით (დანართი 11).

ექსპერტთა ჯგუფი აფასებს არსებულ ტექნიკურ ბაზას, როგორც წარმოდგენილი იყო ვიზიტის დროს, შესაბამისად, ეს რეკომენდაცია ძალაშია და უცვლელი რჩება. ჯგუფი უმთავრესად მიიჩნევს თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი აუდიტორიის არსებობას, როგორც 2024 წლის საგაზაფხულო სემესტრის დასაწყებად, და მით უმეტეს, აკრედიტაციისთვის განხილული პროგრამებისთვის. ამ გაუმჯობესების გარეშე შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს სასწავლო პროცესის ხარისხზე. ვიზიტის დროს ჯგუფმა დააფიქსირა, რომ პრაქტიკული გაკვეთილების ჩასატარებლად საჭიროა შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფით და ტექნიკით აღჭურვილი ოთახები, შესაბამისი ტექნიკური მხარდაჭერის ჩათვლით. მოსალოდნელია, რომ ასეთი მხარდაჭერის არარსებობა საზიანო გავლენას მოახდენს სასწავლო პროცესზე, როდესაც ყველა პროგრამა (აქ განხილვის პროცესშია) სრულად ამუშავდება. კერძოდ, შვიდი კომპიუტერით მოთავსებულ აუდიტორიაში პრაქტიკული მეცადინეობა ჩატარდა თხუთმეტ სტუდენტს, რაც არ არის საკმარისი პრაქტიკაზე დაფუძნებული საბაკალავრო პროგრამებისთვის და სამაგისტრო

პროგრამების ნაწილებისთვის. სტუდენტებისთვის განკუთვნილი კომპიუტერული ტექნიკა ვერ აკმაყოფილებდა თანამედროვე, დასაქმებასთან დაკავშირებული (პროფესიული) პროგრამული უზრუნველყოფის მოთხოვნებს, რითაც აფერხებს სასწავლო პროცესის შეუფერხებლად შესრულებას და ხელს უშლის პროგრამის მიზნების მიღწევას.

**4.4 „უხდ ამბიციურად მიუდგეს სასწავლო სივრცეების დასრულებას და უზრუნველყოს მხოლოდ სტუდენტური სამუშაოსთვის განკუთვნილი ადგილი (სტუდია) მინიმუმ მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტებისთვის.“**

**პასუხი:** მედიახელოვნების ფაკულტეტს გააჩნია ამბიციური მიდგომა უზრუნველყოს მატერიალური ტექნიკით მის მფლობელობაში განკუთვნილი სტუდიების, ოთახების და კლასების მოწყობა, როგორც სამაგისტრო, ასევე საბაკალვრო, სადოქტორო საფეხურისთვის სტუდიები. მედიახელოვნების ფაკულტეტის სივრცე მთლიანად გარემონტებულია, აღჭურვილი საკლასო ოთახებისთვის აუცილებელი ინვენტარით, კეთილმოწყობილია სტუდენტებისთვის და აკადემიური პერსონალისთვის სანიტარული სივრცეები, მუდმივი ინტერნეტით, ტრადიციული შემოქმედებითი სახელოსნოებით (ხატვა, ფერწერა, პლასტიკა) და საგამოფენო სივრცით, სპეციფიური განათებებით. რაც შეეხება მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, შთამბეჭდავი შესყიდვები ხორციელდება ეტაპობრივად, თუმცა ამ რეკომენდაციას ვიზიარებთ (დანართი 11, დანართი 12).

ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტის დროს შეაფასა წარმოდგენილი სიტუაცია და ვერ აღმოაჩინა ისეთი სივრცე, რომელიც ექსკლუზიურად შეფასებული პროგრამებისთვის (ციფრული/ მედია ხელოვნების სტუდენტებს სჭირდებათ კონკრეტული სივრცეები და აღჭურვილობა, რომელიც შეიძლება მხოლოდ მცირედ იყოს გაზიარებული სხვა პროგრამების სტუდენტებთან) არის გამოყოფილი; ამგვარად, ეს რეკომენდაცია ძალაშია და უცვლელი რჩება, და დაწესებულებას შეუძლია გამოიყენოს იგი დამატებითი ფართების და/ან სახსრების შესაძენად.

**4.5 „უნდა გადაიხედოს ყველა პროგრამის საბიუჯეტო ხაზი, რათა უზრუნველყოფილი იყოს, რომ ბიუჯეტი მოიცავდეს კვლევითი საქმიანობის განვითარებისა და პროგრამების საერთო განვითარებისათვის საჭირო ხარჯებს, მაგრამ განსაკუთრებით აღჭურვილობისთვის განკუთვნილ ხარჯებს. საჭიროა სტრატეგიული მიდგომა.“**

**პასუხი:** ვიზიარებთ რეკომენდაციას, იხილეთ მედიახელოვნების ფაკულტეტის „სტრატეგიული განვითარების გეგმა (დანართი 12).

შესაბამისად, რეკომენდაცია რჩება უცვლელად.

4.5 „უსდ-ს მენეჯმენტმა და განსაკუთრებით პროგრამის ხელმძღვანელებმა უნდა წარმოადგინონ უფრო პროაქტიული მიდგომა თანხების მოსაპოვებლად როგორც აღჭურვილობის შესაძენად, ასევე სტუდენტების ინდივიდუალური სივრცის განახლებისთვის; მათ თანდათან უნდა გადალახონ დამოკიდებულება სახელმწიფო დაფინანსებასა და არარეგულარულ ერთჯერად გრანტებზე აშშ-ს საელჩოსგან (ან ევროკავშირის იშვიათი პროექტებიდან) და უფრო სტრატეგიულად მოაგვარონ არასაკმარისი აღჭურვილობის მწვავე საკითხი.“

**პასუხი:** ჩვენი აზრით, ეს კომპონენტი რჩევის კატეგორიის არის, ვინაიდან თსსა არის სახელმწიფო სახელოვნებო უნივერსიტეტი, რომელსაც ორი უმაღლესი ორგანო - განათლების სამინისტრო და კულტურის სამინისტრო უზრუნველყოფს ფინანსურად, მათ შორის კონკურსებით. თუმცა, კვლევებისთვის შეგვაქვს ასევე რუსთაველის ფონდში, მაგალითად, დაფინანსებულია დოქტორანტის კვლევითი გრანტი, რომელიც აქტუალურ საკითხს, კალაუბნის 3D ვირტუალური რეკონსტრუქციის პროექტია - „ძველი თბილისის ისტორიული სახის ციფრული რესტავრაცია და რეკონსტრუქცია ვირტუალური რეალობის სისტემაში“. დაფინანსდა უახლესი დრონით, ვირტუალური სათვალთ, კომპიუტერული ტექნიკით (დანართი 13).

ჯგუფი ითვალისწინებს დაწესებულების ახსნა-განმარტებას და შესაბამისად ცვლის რეკომენდაციას რჩევად.

5.1 „გაიზარდოს პროგრამის პერსონალის თანაბრად ჩართულობის დონე ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებში და მათი თანამშრომლობა ხარისხის უზრუნველყოფის ოფისთან, რადგან ჩანს რომ, ახალგაზრდა პერსონალი, ინფორმირებულია და მოტივირებულია ამისთვის.“

**პასუხი:** მედიახელოვნების ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების მოდიფიცირებისა და ახალი პროგრამების შემუშავების, ასევე, თვითშეფასების პროცესში ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის, ისევე, როგორც სტუდენტების, კურსდამთავრებულების და მრავალრიცხოვანი დამსაქმებლის ჩართულობა იყო საგრძნობლად მაღალი (დანართი 5). პროგრამებში განსახორციელებელი ცვლილებების საფუძველი მიმდინარე გამოკითხვები, შედეგების გაცნობა და ანალიზია. ხარისხის უზრუნველყოფის ამ უწყვეტად მიმდინარე პროცესში მონაწილეობამ უკეთ დაანახა და გააცნობიერებინა აკადემიურ პერსონალს მიზეზ-შედეგობრივი კავშირი ხარისხის უზრუნველყოფის სხვადასხვა მექანიზმსა და პრაქტიკულად მისაღებ გადაწყვეტილებებს შორის, რომლებიც პროგრამების განვითარებაზეა ორიენტირებული. სტანდარტის დარგობრივი მახასიათებლის შემუშავების ჯგუფებში აქტიურად იყვნენ ჩართულები ამ კლასტერის, შესაბამისად მედიახელოვნების ფაკულტეტის სამი ახალგაზრდა

ასოცირებული პროფესორი და ორი სრული პროფესორი, (დანართი 1) „აუდიოვიზუალური მეთოდები და მედიაპროდუქცია/წარმოების“ დეტალური სფეროს ორივე დარგობრივ სტანდარტზე). ფაკულტეტის არაერთი ახალგაზრდა თანამშრომელი, წარსულში ამავე პროგრამების კურსდამთავრებულები არიან აკრედიტაციის ექსპერტიები შესაბამის დარგებში.

მოხარული ვართ, რომ მათი დაინტერესება და კომპეტენცია, პროგრამების შემუშავებაში მათი აქტიური და ეფექტური მონაწილეობა ექსპერტებმაც აღნიშნეს.. თსსა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური გააგრძელებს მუშაობას აკადემიური და მოწვეული პერსონალის კიდევ უფრო აქტიურად ჩართვის კუთხით, რაც ზოგადად, ხარისხის კულტურის ამაღლების მტკიცე წინაპირობას ქმნის.

ექსპერტთა ჯგუფი დადებითად აფასებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ძალისხმევას და მათ მიერ გაწეულ სამუშაოს, მათ შორის დაწესებულებაში ხარისხის კულტურის ამაღლების პროცესში პერსონალის ჩართულობასთან დაკავშირებით. თუმცა, როგორც დაწესებულებაც თანხმდება, ეს პროცესი უწყვეტია და საჭიროებს შემდგომ გაუმჯობესებას, ასევე თანმიმდევრულ (გარე) შეფასებას. ამიტომ, რეკომენდაცია ძალაში რჩება.

**5.3 „რეკომენდებულია, გამოკითხვის კითხვარების საფუძვლიანი სისტემატიზაცია და IT მხარდაჭერა მომხმარებლის გამოცდილებისა და ფუნქციონალურობის თვალსაზრისით, ისევე როგორც სტუდენტებს შორის გამოკითხვების თანმიმდევრული პოპულარიზაცია, რათა მონაცემები (რომელზეც ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ასე ძლიერ არის დამოკიდებული) იყოს შესაბამისი და თანმიმდევრული.“**

არ იყო მიღებული პასუხი, შესაბამისად, რეკომენდაცია უცვლელად რჩება.

**5.3 „რეკომენდებულია, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განხორციელების შედეგების საფუძვლიანი და სისტემატური ანალიზი ინდივიდუალური პროგრამისა და სასწავლო კურსის დონეზე. მიგნებები უნდა განხორციელდეს ციკლურად, რათა გაუმჯობესდეს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ხარისხის სრულად შეკრული ციკლით.“**

**პასუხი:** 2019-2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრიდან პერსონალის და სტუდენტთა გამოკითხვის სისტემა სრულად ელექტრონულ ფორმატში მიმდინარეობს. კითხვარები იდება თსსა ელექტრონულ ბაზაში, გამოკითხვა ანონიმურია. სტუდენტთა გამოკითხვა სავალდებულო ხასიათს ატარებს, სხვაგვარად სტუდენტი ვერ შედის საკუთარი პროფილის სანახავად. აღნიშნული გადაწყვეტილება გამოკითხვაში სტუდენტთა მაქსიმალური რაოდენობის ჩართვის სურვილით არის ნაკარნახევი. როგორც წესი, სტუდენტთა გამოკითხვის შედეგების ანალიზში



ჩართულია ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, აკადემიური პერსონალი და დეკანატის ადმინისტრაციული პერსონალი. გამოკითხვის შედეგების ანალიზი და შემუშავებული რეკომენდაციები განიხილება ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე. საბჭოს შემადგენლობაში არიან სტუდენტები. ფაკულტეტის საბჭოს მიერ განხილულ და დამტკიცებულ რეკომენდაციებს საბჭოს წევრი სტუდენტები აცნობენ ფაკულტეტის ყველა პროგრამის სტუდენტებს. ამგვარად, სტუდენტები იღებენ უკუკავშირს და ნებისმიერ დროს აქვთ შესაძლებლობა გადაამოწონ მათ მიერ დაფიქსირებული პრობლემების გადასაჭრელად შემუშავებული რეკომენდაციების შესრულების ეფექტურობა. სააკრედიტაციო განაცხადშიც და ვიზიტის დროს მოთხოვნილ მასალებშიც წარმოდგენილი გვქონდა, მაგალითად, თითოეული სასწავლო კურსის შესახებ ჩატარებული გამოკითხვების ნიმუში, რომელიც ტარდება ყოველი სემესტრის დასრულების შემდეგ. ეს გვამღევეს მნიშვნელოვან ინფორმაციას სალექციო კურსის შინაარსის, მოცულობის, ლექტორის პედაგოგიური მიდგომების, შეფასების ობიექტურობის, სასწავლო პროცესის ორგანიზების და სხვა ასპექტების თაობაზე (დანართი 14) სასწავლო წლის განმავლობაში ტარდება სტუდენტთა გამოკითხვა სასწავლო გარემოს, მატერიალური ბაზების, ტექნიკური აღჭურვილობის, სასწავლო რესურსების ხელმისაწვდომობის, საერთაშორისო მობილობის, კარიერული განვითარების სერვისის, სტუდენტთა მხარდამჭერი სერვისების და სხვა ამგვარ საკითხებთან დაკავშირებით. მაგალითად, ექსპერტებმა სტუდენტებთან ინტერვიუებზე დაყრდნობით მოგვცეს რეკომენდაცია, რომ უსდ-მ იზრუნოს მატერიალური ბაზის, კომპიუტერული ტექნიკის განახლებაზე. ვიზიტის მსვლელობისას ჩვენ წარვუდგინეთ თსსა ადმინისტრაციის მიერ გამოცხადებული ტენდერის დოკუმენტაცია და კომპიუტერული ტექნიკის სპეციფიკაცია, რომელიც შედგა ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის და სტუდენტების გამოკითხვის შედეგებზე დაყრდნობით (დანართი 11). თსსა ხარისხის სამსახური სისტემატურად ატარებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვას მათი კმაყოფილების და პროფესიული განვითარების საჭიროებების დადგენის მიზნით (დანართი 9). ამგვარ კვლევებზე დაყრდნობით თსსა ხარისხის სამსახური გეგმავს პედაგოგებისთვის სასურველი ტრენინგების გრაფიკს თსსა უწყვეტი განათლების ცენტრის ბაზაზე. მაგალითად, ამჟამად დაგეგმილია საოფისე კომპიუტერული პროგრამების ტრენინგი და მოკლევადიანი სასწავლო კურსი ინგლისურ ენაში პედაგოგებისთვის. ამდენად, თსსა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მუშაობა სწორედ იმ პრინციპს ეფუძნება, რომელიც პატივცემულ ექსპერტებს ზემოთმოყვანილ რეკომენდაციაში აქვთ ჩამოყალიბებული. დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის უმთავრესი პრინციპები, სისტემა, მექანიზმები პასუხისმგებელი

პირები ასახულია დოკუმენტში „თსსა ხარისხის პოლიტიკა“ (დანართი 15), ხარისხის უზრუნველყოფა მუდმივად განვითარებადი პროცესია, რომელიც გამუდმებით იხვეწება და მიზნად ისახავს სულ უფრო ფართო აკადემიური პერსონალის, სტუდენტების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართვას ამ პროცესში. მიმდინარე ეტაპზე, ჩვენი შეფასებით, გაცილებით გაღრმავდა და გამრავალფეროვნდა დამსაქმებლების უშუალო მონაწილეობა პროგრამების განვითარების საქმეში, რაც, ჩვენდა სასიხარულოდ, დასკვნის პროექტშიც არის აღნიშნული. თსსა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მთელ დაგროვილ გამოცდილებას გამოიყენებს წინამდებარე კლასტერში შემავალი საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგის და განვითარების უზრუნველსაყოფად მიმავალშიც.

ექსპერტთა ჯგუფი კიდევ ერთხელ ითვალისწინებს და პრინციპში ეთანხმება დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციაში მოწოდებულ ყველა ინფორმაციას, მათ შორის იმ ფაქტს, რომ გამოკითხვები სისტემატურად ტარდება და მათი შედეგები განიხილება და გამოიყენება პროგრამების გასაუმჯობესებლად. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ სასწავლო კურსები ფასდება გამოკითხვების ფარგლებში, ჯგუფისთვის წარდგენილი გამოკითხვების ანალიზი განხორციელდა ფაკულტეტის ან პროგრამის დონეზე. აქედან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფს მაინც მიაჩნია, რომ ინდივიდუალური სასწავლო კურსების დონეზე ჩატარებული გაღრმავებული ანალიზი გააუმჯობესებს არსებულ პრაქტიკას და კიდევ უფრო განავითარებს ხარისხს. შესაბამისად, ეს რეკომენდაცია რჩება უცვლელად.

#### **პროგრამა 1. ფოტოხელოვნება, საბაკალავრო პროგრამა:**

**1.1 „ფოტოხელოვნების პროგრამის მიზნები უნდა იყოს უფრო მკაფიოდ განსაზღვრული, რათა დაუკავშირდეს ცალკეული კურსის მიზნებსა და შედეგებს, ასევე შეესაბამებოდეს იმას, რაც რეალურად სჭირდებათ დამსაქმებლებს;“**

**პასუხი:** პროგრამის ძირითადი ხაზი არის საბაკალავრო საფეხურის ფოტოხელოვანის ინდივიდუალური შემოქმედებითი კუთხით აღზრდის პერსპექტივა, ფოტოს ჟანრების შესწავლა და გარკვევა თსს აკადემიის სპეციფიკის გათვალისწინებით, რაც რასაკვირველია, არ უშლის ხელს მის დასაქმებას სარეკლამო ინდუსტრიაში. მაღალი შემოქმედებითი უნარების ფოტოხელოვანი ყოველთვის სასურველია დამსაქმებლისთვის.

ჯგუფმა დაადგინა, რომ მოცემული პროგრამიდან გამოსული ფოტოგრაფების დასაქმების რეალობა დიდად შეესაბამება შემოქმედებითი სფეროს სექტორებს, რომელთა შორის დომინანტურია

სარეკლამო სფერო. გარდა ამისა, ეს რეკომენდაცია ასევე უცვლელი რჩება იმის გამო, რომ საჭიროა ინდივიდუალური კურსის მიზნებისა და შედეგების მეტად ინტეგრირება პროგრამის მიზნებთან და პირიქით - თუ ეს აზუსტებს მოცემულ რეკომენდაციას.

#### **1.1 „უნდა დაზუსტდეს შიდა შესაბამისობა და ტექნოლოგიებსა და მეთოდებზე რეალური მითითება (იხ. ანალიზი);“**

**პასუხი:** ფოტოხელოვნების პროგრამის აგებულება ეთანადება კლასტერში წარმოდგენილი პროგრამების კურიკულუმის სტრუქტურას და იზიარებს ვიზუალური კომუნიკაცია/მედიახელოვნების დარგობრივ მახასიათებელში მოცემულ სფეროს აღმწერს, კერძოდ, რომ ფოტოხელოვნება, როგორც შემოქმედება არის ვიზუალური ხერხების გამოყენების პრაქტიკა ინფორმაციისა და სხვადასხვა იდეების კომუნიკაციის მიზნით, ტრადიციული და ახალი მედია საშუალებებით.

ეს რეკომენდაცია უცვლელი რჩება, რადგან პასუხი რეალურად არ უკავშირდება ინდივიდუალური ტექნოლოგიებისა და ტექნიკის წარმოდგენილ ანალიზს.

#### **1.4 „პროგრამას უნდა დაემატოს ფოტოგრაფიის ისტორია და ხელოვნება;“**

**პასუხი:** მოგახსენებთ რეკომენდაციის საფუძველს ანალიზის ნაწილიდან. მხოლოდ სტუდენტების კონკრეტულ შეფასებას ვერ დაეყრდნობა სააკადემიო დისციპლინების სავალდებულო მოდული, რომელიც ყველა ფაკულტეტის სტუდენტისთვის არის საერთო. ასეთია „ქართული ხელოვნების ისტორიის“ და „მსოფლიო ხელოვნების ისტორიის“ კურსი, რომელიც 12 კრედიტია. თეორიულ დისციპლინებს სტუდენტს და პროგრამის განმახორციელებელიც ირჩევს თეორიის და ისტორიის ფაკულტეტის მრავალი დისციპლინით წარმოდგენილი მენიუდან, რაც აადვილებს საგნების არჩევითობას. ამჟამად პროგრამის სავალდებულო საგანი „კონოს ისტორია“, ასევე სტუდენტების უმრავლესობამ აირჩია, თუმცა შესაძლებელია კურსის მოდიფიცირება(ვესაუბრეთ წამყვან პედაგოგს) ფოტოგრაფიის ისტორიის გაძლიერებით. სპეციალობების მრავალფეროვანი მიმართულებებისთვის, არჩევითი დისციპლინების ფართო მენიუ სთავაზობს სტუდენტს მიიღოს სასურველი ცოდნა. გარდა ამისა, მრავლობითი ვორქშოფები და სტუდიური განათლება ფოტოხელოვნებს ბაკალავრის ისტორიის შესწავლის და დისკუსიის და ანალიზის კარგი შესაძლებლობას აძლევს.

ეს კონკრეტული რეკომენდაცია უცვლელი რჩება: თუ სამხატვრო აკადემია (და განსაკუთრებით ცენტრალური ეროვნული აკადემია) აცხადებს, რომ მოამზადებს ზოგადად ფოტოგრაფს ბაკალავრიატის დონეზე, ასეთმა სტუდენტმა უნდა იცოდეს ფოტოგრაფიის ისტორია - მისი ძირითადი პიროვნებები, ტენდენციები, განვითარების გზები, მიმართულებები და ა.შ. ფოტოგრაფია, კინო და სახვითი ხელოვნება განსხვავებულია, მათ ახასიათებთ განსხვავებული ისტორიები და თეორიები, რომლებიც საფუძვლად უდევს მათ (განსაკუთრებით, აკადემიურ) კონტექსტს, ამიტომ ისინი უნდა ისწავლებოდეს სფეროს სპეციფიკის მიხედვით.

#### **1.4 „რეკომენდებულია, პროგრამის საგნების ბადე გადაიხედოს და შევიდეს მასში ცვლილებები, პროგრამის სწავლის შედეგებისა და ამოცანების გათვალისწინებით.“**

**პასუხი:** განმახორციელებლების ხედვა დაეყრდნო ორ ძირითად საკითხს - საბაკალავრო პროგრამებში ეს ძირითადი პრინციპების და ტექნიკური მახასიათებლების ზოგადი, ფართო ცოდნაა და ხელოვნებაში საავტორო იდეების, ინდივიდუალური ნიჭიერების განვითარების ფონზე ჟანრობრივი მრავალფეროვნების შესწავლა, მომავალი კარიერის დასაგეგმად. საგნების ბადეში ცვლილებები მიზნებსი და ამოცანები შედეგებზეა ორიენტირებული.

ვინაიდან ეს არის საკმაოდ ზოგადი რეკომენდაცია, რომელიც უნდა შენარჩუნდეს ხარისხის უზრუნველყოფის მიერ პროგრამის განხილვისა და განახლების მთელი ციკლის განმავლობაში, და პროგრამებში წარმოდგენილი დარგის სირთულის გათვალისწინებით, ჯგუფი მიიჩნევს, რომ რეკომენდაცია უცვლელი უნდა დარჩეს.

#### **1.4 „რეკომენდებულია, გადაიხედოს და დაკონკრეტდეს შემდგომი საგნების სწავლის შედეგები, მიზნები და შინაარსი: „თავისუფალი პროექტი“, „თავისუფალი პროექტი/თემატური“;**

**პასუხი:** თავისუფალი პროექტი მნიშვნელოვანია სტუდენტთა ინდივიდუალური მხატვრულ-შემოქმედებითი უნარების განსავითარებლად. თავისუფალ პროექტში იგულისხმება ფოტოს ჟანრობრივი თავისუფლება (მაგ. დოკუმენტური ფოტო, მხატვრული ფოტოგრაფია, სტუდიური/დადგმული ფოტოგრაფია, სარეკლამო ფოტოგრაფია და ა.შ). ასევე, აპარატის და მოწყობილობის შერჩევის თავისუფლება, შემოქმედებითი თავისუფლება. სასურველია, რეკომენდაციაში კონკრეტულად იყოს განსაზღვრული, კურიკულუმის რომელ კომპონენტებს შორის არ არის თანხვედრა, მაგალითად, მიზანს არ შეესაბამება შინაარსი და სწავლის შედეგი; ან შინაარსი ვერ უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. ასეთ შემთხვევაში ბევრად უფრო კონსტრუქციული იქნებოდა ამ კომპონენტების დადარება, მათი ხელახლა გაანალიზება და

კონკრეტული გადაწყვეტილების მიღება. ამჟამად არსებული სასწავლო კურსები : თავისუფალი პროექტი“ და „თავისუფალი პროექტი/თემატური“ სწორედ შემოქმედებითია.

ჯგუფი ეთანხმება ახსნას და მისი რეკომენდაციით, იგი უნდა განხორციელდეს იმ მიზნებსა და შედეგებში, რომლებიც ეხება სტუდენტის პასუხისმგებლობას, ერთის მხრივ, და პედაგოგის პასუხისმგებლობას, მეორეს მხრივ, რაც გამომდინარეობს იმ ფაქტებიდან, რომ ინსტრუმენტებს და მეთოდებს თავისუფლად ირჩევენ. ჯგუფმა გადაწყვიტა, რომ ეს რეკომენდაცია **გადავიდეს რჩევაში**.

**1.4 „რეკომენდებულია, დამსაქმებლები იყვნენ სათანადოდ ინფორმირებულები და მონაწილეობა მიიღონ პროგრამის შემუშავებაში;“**

**პასუხი:** ფოტოხელოვნების პროგრამის დამსაქმებლები ინფორმირებულნი იყვნენ და მონაწილეობას იღებდნენ პროგრამის შემუშავებისას. პროგრამა გადის რეაკრედიტაციას და რეალური შედეგები ცნობილია. აქვე უნდა ითქვას, ამ დარგში ჩვენ ქვეყანაში ყველაზე წარმატებული ფოტოხელოვანები, როგორც წესი მოყვარულები არიან, ვინაიდან ეს დარგი საქართველოში მხოლოდ საგანმანათლებლო რეფორმის დროს აღმოცენდა (2005 წელი თსსა) და ექსპერტების მიგნება, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სახვითი დისციპლინების ცოდნას ამ დარგში, სრულებით რელევანტურია.

ჯგუფი ითვალისწინებს პასუხს, თუმცა ხაზს უსვამს, რომ გასაუბრებების დროს დამსაქმებლებმა არ დატოვეს პროგრამის განახლებაში შესაბამისი და მნიშვნელოვანი ჩართულობის შთაბეჭდილება. რეკომენდაცია უცვლელი რჩება.

**1.4 „რეკომენდებულია, რომ ჩამოთვლილი საგნები გადავიდეს არჩევით განყოფილებაში: „საგამომცემლო დიზაინი“, „შესავალი ადვერტოლოგიაში“, „ადვერტოლოგიის საფუძვლები“, „კომპოზიცია და რეკლამა ექსტერიერში“, „კომპოზიცია და რეკლამა ინტერიერში“; ("Publishing Design", "Introduction to Advertology", "Fundamentals of Advertology", "Composition and Advertising in Exterior", "Composition and Advertising in Interior");“**

**პასუხი:** მიგვაჩნია, რომ პროგრამის სასწავლო კურსების განსაზღვრა, უნივერსიტეტის ავტონომიურობისა და აკადემიური თავისუფლების ფარგლებში უსდ-ს უფლებაა, რაც ქმნის/შეადგენს კიდევ საგანმანათლებლო პროგრამის უნიკალურობას, ცახდია, იმ აუცილებელი პირობის გათვალისწინებით, რომ პროგრამა განათლების კონკრეტული საფეხურის , ამ შემთხვევაში ბაკალავრის კვალიფიკაციაზე გადის.

ჯგუფი თანხმდება და წყვეტს, რომ რეკომენდაცია **გადავიდეს რჩევებში.**

**1.5 „საკურსოს“ და „პორტფოლიოს“ სილაბუსი უნდა გადაიხედოს, რადგან ისინი ნაწილობრივ არათანმიმდევრულია მიზნებისა და მუშაობის მეთოდების თვალსაზრისით;**

**პასუხი:** დავაზუსტებთ, რეკომენდაციაში მითითებული სასწავლო კურსის დასახელება გახლავთ „საკურსო ნამუშევარი (პროექტი 1)“ და „საკურსო ნამუშევარი (პროექტი 2)“. სილაბუსის შინაარსობრივ ნაწილში მკაფიოდ არის მითითებული დავალებები, რომელთა შესრულებით მიიღწევა სწავლის შედეგი. საგანი „პორტფოლიოს“ შემთხვევაში, დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით, სტუდენტი ირჩევს სასურველ პლატფორმას ნამუშევრების განსათავსებლად, რომლის საშუალებითაც აზიარებს თავის პორტფოლიოს ფართო აუდიტორიის წინაშე, ცხადია პედაგოგთან ერთად სტუდიურად. შედეგად, მან იცის, რომელი პლატფორმაა მისთვის უპირატესი, იცის, როგორ შეარჩიოს კონტენტი, სწავლობს როგორ გაშალოს სთორი და აღწეროს კონცეფცია.

ჯგუფი ითვალისწინებს პასუხს, თუმცა სურს ხაზი გაუსვას, რომ ეს ორი გადამწყვეტი კურსი საფუძვლიანად უნდა გადაიხედოს, რათა შეესაბამებოდეს საკუთარ თავს, ერთმანეთს და სასწავლო გეგმას. ეს არის კურსები, რომლებსაც ავტონომიურ შემოქმედებით პროფილში ძირითადი კომპეტენციები შემოაქვთ. რეკომენდაცია უცვლელი რჩება.

**1.5 „რეკომენდებულია, უზრუნველყოფილ იყოს სილაბუსები შემდეგი კურსებისთვის, რომლებიც ვერ მოიძებნა დოკუმენტაციაში: „საკურსო სამუშაო (პროექტი 1)“, „საკურსო სამუშაო (პროექტი 2)“, „პრაქტიკა, პრაქტიკა (სტაჟირება)“;**

**პასუხი:** სასწავლო კურსების დასათაურება არასწორადაა მითითებული. რეალურად მათი დასათაურებაა: „საკურსო სამუშაო (პროექტი 1)“, „პრაქტიკა“, „პრაქტიკა(სტაჟირება)“, „საკურსო სამუშაო (პროექტი 2)“. ექსპერტთა ვიზიტის მსვლელობისას ტექნიკური ხარვეზის გამო რამდენიმე სილაბუსი დამატებითი მასალის სახით იქნა მოთხოვილი, რადგან სააკრედიტაციო მასალაში არსებული სილაბუსები ხელმისაწვდომი არ აღმოჩნდა. დამატებით მოთხოვილი დოკუმენტაცია მყისიერად იქნა მიწოდებული ექსპერტებისთვის. რეკომენდაციაში მითითებული სილაბუსები არ იქნა მოთხოვილი (დანართი 17).

ჯგუფი მადლობას უხდის უსდ-ს განმარტებისთვის და **იღებს რეკომენდაციას დასკვნიდან.**

**1.5 „რეკომენდებულია, სილაბუსების შინაარსისა და ამოცანების გადახედვა და შეფასების ფორმების შეცვლა ისე, რომ ისინი შეესაბამებოდეს საგნების სპეციფიკას;“**

**პასუხი:** კარგი იქნებოდა კონკრეტული მითითება, რომელ სასწავლო კურსებზეა საუბარი რეკომენდაციაში და, შესაბამისად, რომელ მათგანში უნდა შეიცვალოს შინაარსი, ამოცანები და შეფასების ფორმები ამავე სასწავლო კურსების სპეციფიკის გათვალისწინებით. ამ სახით რეკომენდაცია ზედმეტად ზოგად ხასიათს ატარებს და არ გვაძლევს საშუალებას სიღმისეულად გავიაზროთ რეკომენდაცია. მსგავსი რეკომენდაცია ხშირად გვხვდება.

ჯგუფმა ხელახლა შეისწავლა ეს მონაცემები ანალიზის ჩათვლით და შეთანხმდა, რომ **ამოიღოს რეკომენდაცია დასკვნიდან.**

**1.5 „რეკომენდებულია, სილაბუსებში არსებული წინაპირობები შეესაბამებოდეს კურსის მიზნებსა და სწავლის შედეგებს;“**

**პასუხი:** პროგრამის ხელმძღვანელის და სასწავლო კურსების პედაგოგების მიერ გარკვეულ სილაბუსებში გათვალისწინებულია დაშვების წინაპირობა. სამწუხაროდ, რეკომენდაციაში კონკრეტულად არ არის მითითებული, რომელი სასწავლო კურსები საჭიროებს გადახედვას წინაპირობების დამატების კუთხით. სილაბუსების გადახედვას და შესწორებას არ ვეწინააღმდეგებით.

ჯგუფმა ხელახლა შეისწავლა ეს მონაცემები ანალიზის ჩათვლით და შეთანხმდა, რომ **ამოიღოს რეკომენდაცია დასკვნიდან.**

**1.5 „რეკომენდებულია, მოძველებული სავალდებულო ლიტერატურის ახლით ჩანაცვლება;“**

**პასუხი:** სასწავლო რესურსის განახლება მუდმივი პროცესია და, რასაკვირველია, თსსა ზრუნავს ახალი სამეცნიერო ლიტერატურის შეძენასა და რესურსების გამრავალფეროვნებაზე. თუმცა, გვსურს აღვნიშნოთ, რომ ფოტოგრაფია, როგორც ვიზუალური ხელოვნების ნაწილი და მასში შემავალი ქრესტომატიული ნიმუშები, არ ძველდება დროსთან მიმართებაში. ამ ვიზუალური მასალის გამოყენება გარდაუვალია სახელოვნებო სფეროს საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო კურსებში. ამ სახით რეკომენდაცია ძალიან ზოგადია და ასევე რჩევის ხასიათს ატარებდეს პროგრამის განვითარების მიზნით.

ვინაიდან ეს არის საკმაოდ ზოგადი რეკომენდაცია, რომელიც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია კურსების მთელი მოწყობისთვის, ჯგუფი მიიჩნევს, რომ რეკომენდაცია უცვლელი რჩება.

**1.5 „სავალდებულო ლიტერატურაში რეკომენდებულია ქართულენოვანი წყაროების ჩართვა;“**

**პასუხი:** ფოტოხელოვნების კურსის განმახორციელებლები თვითონ არიან ქართულენოვანი ლიტერატურის ავტორებიც, ვიზიტის დროს წარმოდგენილი იყო ბატონი იური მეჩითოვის ოთხი წიგნი, რომლებიც სასწავლო კურსების სავალდებულო რესურსს წარმოადგენს.

ჯგუფი აღიარებს, რომ ბ-ნი იური მეჩითოვი (ამ მიმოხილვაში წარმოდგენილია 1 სახელმძღვანელო და 3 წიგნი- ალბომი ქართული ფოტოგრაფიის შესახებ), პროგრამისა და წიგნის ავტორი, არის დიდი ხელოვანი და ასევე პროგრამის წამყვანი; მაგრამ არა ერთადერთი ქართულ კულტურულ სივრცეში და განსაკუთრებით საერთაშორისო დონეზე. ფოტოგრაფიის დარგი სწრაფად ვითარდება, არსებობს უამრავი ავტორი, როგორც ფოტოგრაფები, ისე ოპერატორები, რომლებიც წერენ (ორიგინალში, ან ქართულად ითარგმნებებიან) მსოფლიო ფოტოგრაფიის ისტორიის, მისი სპეციფიკისა და ტენდენციების შესახებ; ამრიგად, უზრუნველყოფილი იქნება რესურსების სიმრავლე. გარდა ამისა, იმისთვის, რომ ფოტოგრაფია ვერტიკალურად ისწავლებოდეს მაგისტრატურის და დოქტორანტურის საფეხურებზე, ქართულ- და ინგლისურენოვანი მასალები წარმოდგენილი უნდა იყოს შესაბამისი მრავალფეროვნებითა და რაოდენობით. შესაბამისად, რეკომენდაცია უცვლელი რჩება.

#### **1.5 „დამხმარე ლიტერატურაში რეკომენდებულია უცხოენოვანი წყაროების მითითება;“**

**პასუხი:** სასურველია, დაზუსტდეს, რომელ სილაბუსს გულისხმობენ პატივცემული ექსპერტები, რადგან ამ სახით რეკომენდაცია ძალიან ზოგადია და ასევე რჩევის შინაარსს ატარებს.

ვინაიდან ეს არის საკმაოდ ზოგადი რეკომენდაცია, რომელიც ძალზედ მნიშვნელოვანია მთლიანი კურსისთვის, და შემდგომში ყველა სილაბუსის ლიტერატურა უნდა გადაიხედოს, ჯგუფი მიიჩნევს, რომ რეკომენდაცია უცვლელი რჩება.

#### **1.5 „პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველსაყოფად, რეკომენდებულია, ინგლისური ენის ცოდნა, როგორც წინაპირობა იმ საგნებისთვის, რომლებსაც არ გააჩნიათ ქართულენოვანი წყაროები;“**

**პასუხი:** ეროვნულ გამოცდებში აბიტურიენტი აბარებს გამოცდას უცხო ენაში, რაც მას საშუალებას აძლევს წინაპირობის გარეშე გაეცნოს მსგავს ლიტერატურას. ამასთანავე პროგრამებში სავალდებულოდ არის გაწერილი ინგლისური ენის 12 კრედიტი, ცხადია, სტუდენტს აქვს საშუალება ინდივიდუალურად აიმაღლოს ენის ცოდნის დონე თსს აკადემიის უწყვეტი განათლების ცენტრის საშუალებით. გარდა ამისა, თსსა პოლიტიკა სასწავლო რესურსების



გამრავალფეროვნების და ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, მდგომარეობს როგორც ორიგინალური, საავტორო ქართულენოვანი სახელმძღვანელოების შექმნისა და გამოცემის ფინანსურად მხარდაჭერაში, ასევე, ქართულენოვანი რიდერების შემუშავებაში, რომელიც სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომი იქნება თსსა ბიბლიოთეკაში.

რეკომენდაცია უცვლელი რჩება, რადგან ჯგუფი მიიჩნევს, რომ მის შესაცვლელად ახალი მონაცემები არ იყო წარმოდგენილი. ინგლისური ენის შემსწავლელი კურსები არ შეიძლება იყოს დამოკიდებული მხოლოდ ქართულენოვან ლიტერატურაზე. ეს არის ყველაზე სერიოზულად გასათვალისწინებელი საკითხი, რადგან ნებისმიერი უცხოელი, არაქართველი სტუდენტი არაპრივილეგიურულ სიტუაციაში აღმოჩნდება.

**1.5 „რეკომენდებულია, სალექციო ბადის შინაარსის გადახედვა სილაბუსებში: „თავისუფალი პროექტი“, „თავისუფალი პროექტი/თემატური“, „სარეკლამო და საიმიჯო ფოტოგრაფია“, რათა თავიდან იქნას აცილებული შინაარსის გამეორება და დუბლირება;“**

**პასუხი:** სახვითი უნარების განსავითარებლად ერთი და იგივე შინაარსის ამოცანის სხვადასხვა გზით სხვადასხვა ჟანრისთვის გამოყენება კრეატიული სავარჯიშოა, რაც უვითარებს და ამალვებს ფოტოხელვანის შემოქმედებით თვალსაწიერს.

ჯგუფი აღიარებს, რომ ეს განმარტება მიუთითებს გაუმჯობესების დადებით მიმართულებაზე და, შესაბამისად, რჩევა რჩება იმისთვის, რომ ეს გაუმჯობესება რაც შეიძლება მალე.

**1.5 „რეკომენდებულია სალექციო ბადის შინაარსი, მიზნები და შედეგები გადაიხედოს შემდეგ სილაბუსებში: „ციფრული ბეჭდვა“, „საგამომცემლო დიზაინი“, „კომპოზიცია და რეკლამა ინტერიერში“, „კომპოზიცია და რეკლამა ექსტერიერში“;“**

**პასუხი:** „კომპოზიცია და რეკლამა ინტერიერში“ და „კომპოზიცია და რეკლამა ექსტერიერში“ არის საბაკალავრო საფეხურის შემოქმედებითი-საბაზისო მიმართულების სავალდებულო დისციპლინები და ზოგადსაფაკულტეტო საგნებს წარმოადგენს. ამასთან სასწავლო კურსი „ციფრული ბეჭდვა“ ამ პროგრამაში არ ისწავლება. თითოეული დისციპლინის სწავლის მეთოდიც და შედეგიც ინდივიდუალური პროექტების მომზადების სპეციფიკას პასუხობს.

ჯგუფმა ხელახლა შეისწავლა ეს მონაცემები ანალიზის ჩათვლით და შეთანხმდა, რომ **ამოიღოს რეკომენდაცია დასკვნიდან**.

1.5 „რეკომენდებულია, სწავლის შედეგები დაზუსტდეს შემდეგ სილაბუსებში: „განათება შიდა და გარე სივრცეში“ და „დადგმული ფოტოგრაფია“;

**პასუხი:** აღნიშნული სასწავლო კურსები „ფოტოხელოვნების“ საბაკალავრო პროგრამის ძირითად კონცეფციას ეფუძნება და მიზნად ისახავს არა მხოლოდ ტექნიკურად კვალიფიკაციის მქონე ფოტოგრაფის, არამედ ფოტოხელოვანის აღზრდას. ამდენად საბაკალავრო დონეზე, სასწავლო კურსების სწავლის შედეგებში, ისევე, როგორც თავად სილაბუსებში თანმიმდევრულად გაშლილია ექსპერიმენტულ დისციპლინათა გავლის შედეგად მისაღწევი კომპეტენციები.

ჯგუფმა ხელახლა შეისწავლა ეს მონაცემები ანალიზის ჩათვლით და შეთანხმდა, რომ **ამოიღოს რეკომენდაცია დასკვნიდან.**

**პროგრამა 2. გრაფიკული დიზაინი, საბაკალავრო პროგრამა:**

4.4 „ტექნიკური ბაზის განახლება ან გარე სტუდიური მხარდაჭერა/ჩართვა რეალური პრაქტიკული გამოცდილების მისაღებად;“

**პასუხი:** ტექნიკური ბაზა განახლების პროცესშია, მიმდინარეობს ტექნიკის ეტაპობრივი შესყიდვა, რაც შეეხება სტუდიურ მხარდაჭერას, ჩვენ გავაფორმეთ მემორანდუმები სხვადასხვა დიზაინ სტუდიებთან, სარეკლამო სააგენტოებთან და ვაპირებთ მათთან მჭიდრო თანამშრომლობას.

„გრაფიკული დიზაინის“ საბაკალავრო პროგრამის შეფასება ასეთია: 1 სტანდარტი-მეტწილად შესაბამისობაშია, 2 სტანდარტი -მეტწილად შესაბამისობაშია, 3 სტანდარტი- მეტწილად შესაბამისობაშია, 4 სტანდარტი- მეტწილად შესაბამისობაშია, 5 სტანდარტი- მეტწილად შესაბამისობაშია. ჩვენს მიერ ზემოთ, კლასტერულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით წარმოდგენილი არგუმენტების გაზიარების შემთხვევაში, „გრაფიკული დიზაინის პროგრამის“ შეფასება 1, 3 და 4 სტანდარტებთან მიმართებით უნდა იყოს შესაბამისობაშია.

ვინაიდან ეს რეკომენდაცია ეხება ვიზიტის დროს დაფიქსირებულ სიტუაციას, ის უცვლელი რჩება. მოთხოვნების დაკმაყოფილება შესაძლებელია მხოლოდ თანმიმდევრული სტრატეგიული ინვესტიციით.

**პროგრამა 3. მედიახელოვნება/ციფრული მედია, საბაკალავრო პროგრამა:**

1.4 „უნდა არსებობდეს მკაფიო განსხვავება მედიახელოვნების სფეროში არსებულ კომპეტენციებს შორის, მაგ., მედიახელოვნებაში ანიმაციის გამოყენებისა და ანიმაციის რეჟისორობის შესაძლებლობებს შორის. ეს არის ორი სრულიად განსხვავებული პროფესია და განსხვავებული კომპეტენცია“.

**პასუხი:** კატეგორიული რეკომენდაციები და მერე ბუნდოვანი მოთხოვნა ართულებს ამ რეკომენდაციის არსობრივ გააზრებას. საკითხის პირველ ნაწილს სრულიად ვიზიარებთ და ასეთივე კატეგორიულობით და გააზრებულად შეიქმნა მედიახელოვნება/ციფრული მედიის საბაკალავრო პროგრამის მოდული. კარგად გვესმის, ორი სრულიად განსხვავებული პროფესიის კომპეტენციები და ჩვენი მოდულის ფოკუსი ანიმაციის გამოყენებაა მულტიმედიაურ სფეროებში. თუ ამ მსჯელობას მივყვებით, გამოდის, რომ როგორც პანელს, ასევე პროგრამის განმახორციელებლებს ერთნაირად ესმით განსხვავება მედიახელოვნების სფეროს კვალიფიკაციაზე გაყვანა დარგობრივი მახასიათებლის შესაბამისად. რჩება კითხვა, რა სახის რეკომენდაციაა ეს? რას გვთავაზობენ ექსპერტები? ჩვენთვის ანიმაციის შესაძლებლობის გამოყენება ხდება „ვიზუალური კომუნიკაციისა/მედიახელოვნების“ დარგობრივი მახასიათებლის გათვალისწინებით და გავიმეორებთ, რომ პრიორიტეტი არის მაღალი მხატვრული და ტექნოლოგიური უნარების სხვადასხვა ჟანრის (2D, ან 3D) ცოდნით აღჭურვილი ბაკალავრის აღზრდა. ანიმაციის მოდული მთლიანად ორიენტირებულია მულტიმედიის, აქაც მაგალითად გამოდგება ციფრული ინფოგრაფიკა, ისტორიული ფოტოს მინიმალისტური ანიმირება, მხატვრის ნახატის მინიმალური ანიმაციით გაცოცხლება, ან აბსტრაქტული კომპოზიციის მოძრაობაში წარმოდგენა, ხოლო 3D-ში შესაძლებელია ვირტუალური ამბის თხრობა,თამაშის დიზაინი, ან რაიმე სარეკლამო სივრცითი ვებ-მულტიმედიის პროდუქტის შექმნა.

ჯგუფი აღიარებს, რომ წარმოდგენილი განმარტებები შესაბამისია, ხოლო საკუთარი თავდაპირველი დასკვნები არასრული, ამიტომ იგი წყვეტს ამ [რეკომენდაციის ამოღებას](#).

**1.5 „გადაიხედოს შესაბამისი კურსები, რათა მათში შევიდეს პრაქტიკული სწავლის (შედეგების) კომპონენტი, რომელიც გაიყვანს სტუდენტებს სკოლის გარეთ, მაგალითად: განთავსება, სტუდიასა და სამუშაო ადგილებზე ვიზიტები, სამუშაოზე ფარული დაკვირვება და ა.შ., ან კლასში შევიდეს რეალური პროექტები. ამით სტუდენტებს მიეცემათ შესაძლებლობა, რეალურ კლიენტებთან ჰქონდეთ შეხება, ჯერ კიდევ კურსის დასრულებამდე“.**

**პასუხი:** პოტენციურ დამსაქმებლებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა სწავლის პროცესში პრაქტიკული უნარების გაძლიერების სურვილი, რაც მნიშვნელოვანია კონკრეტული საქმის შესასრულებლად. გაფორმდა ხელშეკრულებები სარეკლამო სააგენტოებთან, რომელიც მიზნად ისახავს სამხატვრო აკადემიის მედიახელოვნების ფაკულტეტის საბაკალავრო საფეხურის დამამთავრებელი კურსის სტუდენტების პროფესიული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბების და

დახვეწის მიზნით პრაქტიკის და სხვა მასთან დაკავშირებული ღონისძიებების ორგანიზებას. (დანართი 7) დოკუმენტის თანახმად, შეთანხმებული პირობებით, სამხატვრო აკადემიის მედიახელოვნების ფაკულტეტის საბაკალავრო საფეხურის სტუდენტები პრაქტიკას გაივლიან ყოველი სასწავლო წლის ბოლოს და თითოეულ ხელშეკრულებაში მითითებულია სტუდენტთა რაოდენობა, რომლებმაც უნდა გაიარონ პრაქტიკა შესაბამის ორგანიზაციაში. ასევე, ამ პროგრამის განხორციელების ფარგლებში ვგეგმავთ ვორკშოპებს და მასტერკლასებს, სადაც მოწვეული დარგის წამყვანი სპეციალისტები თავიან ცოდნას და გამოცდილებას გაუზიარებენ სტუდენტებს. პროგრამის ძირითად სპეციალობებში მომუშავე პედაგოგთა უმრავლესობა ინდუსტრიაში დასაქმებული პრაქტიკოსი დიზაინერები არიან, შესაბამისად მათი დახმარებით სტუდენტებს აქვთ წვდომა დარგის უახლეს ინფორმაციებთან და გამოწვევებთან. დანართად გიგზავნით კულტურის და სპორტის მინისტრის ბრძანებას N02/ 201, სადაც ერთი წლის მანძილზე შესრულდა 76 სტატიური და ანიმაციური ინფოგრაფიკები საერთაშორისო პროექტის - სსიპ “თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის” პროექტის “კულტურული მემკვიდრეობის წელი 2018” - გამარჯვებული პროექტი საქართველოდან გახდა ამ პროგრამის მაგისტრანტი (დანართი 20).

ჯგუფი აღიარებს, რომ ეს განმარტება მიუთითებს გაუმჯობესების დადებით მიმართულებაზე და, შესაბამისად, რჩევა რჩება იმისთვის, რომ ეს გაუმჯობესება რაც შეიძლება მალე და თანმიმდევრულად განხორციელდეს.

#### **4.4 „პროგრამაში ჩართული სტუდენტებისთვის საჭიროა ტექნიკური გადამზადება ე.წ. ახალი აღჭურვილობის გამოყენებაზე“.**

**პასუხი:** ბუნდოვანია რეკომენდაცია თუ რას ნიშნავს სტუდენტების ტექნიკური გადამზადება. ციფრულ ტექნოლოგიურ სფეროში, ისევე, როგორც ზოგადად ვიზუალურ ხელოვნებაში, პრაქტიკული და შემოქმედებითი გადამზადება სტუდენტური სწავლების პროცესში ერთდროულად იმართება, რამოდენიმე გაკვეთილი, შეიძლება საათია საჭირო, მაგალითად, რომელიმე სოფტის ინტერფეისის ცვლილების შესასწავლად. თუ იგულისხმება მაგალითად ახალი თაობის ვაკუუმის პლანშეტის, ან ფოტოკამერის შექმნა, ამას სპეციალური გადამზადების საჭიროება არ ახლავს თან. სტუდენტური სწავლების პროცესში ეს თავისთავად იგულისხმება.

ჯგუფი აღიარებს, რომ წარმოდგენილი განმარტებები შესაბამისია, ხოლო საკუთარი თავდაპირველი დასკვნები არასრული, ამიტომ იგი გადაწყვეტს ამ რეკომენდაციის ამოღებას.

პროგრამა 4. მედიახელოვნება/ციფრული მედია, სამაგისტრო პროგრამა (ქართულენოვანი):

1.2 აუდიოვიზუალური ხელოვნების ფარგლებში, დაემატოს ცოდნასთან დაკავშირებული შედეგების შესაბამისი სფეროები, რადგან სტუდენტს მომავალში მოუწევს ამ სფეროს სპეციალისტებთან ურთიერთობა. ამ სფეროთა დიაპაზონი მერყეობს აუდიოვიზუალური თეორიიდან ისტორიამდე, რაც შეიძლება განაწილდეს უფრო თანაბრად და უფრო სიღრმისეულად, კონკრეტულ თემებში, განსაკუთრებით თანამედროვე თემებში.

**პასუხი:** განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა დარგის 0211 აუდიოვიზუალური მეთოდები და მედიაპროდუქცია/წარმოება Audio-Visual Techniques and Media Production მულტიდისციპლინარულობის გამო შეიმუშავა ორი დარგობრივი მახასიათებელი: „აუდიოვიზუალური ხელოვნების“ („აუდიოვიზუალური ხელოვნება“, „კინო-ტელეხელოვნება“ და „აუდიოვიზუალური რეჟისურა (მხატვრული ფილმი, დოკუმენტური, კლიპი, ანიმაციური ფილმი, ხმის, ტელე)“) - ეს ვექტორი არ შეესაბამება თსსა ტრადიციულ ნიშას, ვინაიდან ის ასწლოვანი ისტორიით განისაზღვრა, თუმცა არ არის გამორიცხული მომავალში ამ მიმართულებით განვითარებაც. ამჯერად წარმოდგენილიო კლასტერული პროგრამები ეყრდნობა სფეროს მეორე ვექტორს-უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი „ვიზუალური კომუნიკაცია/ მედიახელოვნების“ („ვიზუალური კომუნიკაცია“, „მედიახელოვნება/ ციფრული მედია“, „მულტიმედია დიზაინი“, „გრაფიკული დიზაინი“ და „ბექედვითი მედია/ტიპოგრაფია“) ხოლო, მედიახელოვნების ფაკულტეტის სტრატეგია თსს აკადემიის ისტორიულ მისიათან და პროფილთან მიმართებაში, ეყრდნობა ვიზუალური ხერხებით მხატვრული შემოქმედების ციფრულ/ტექნოლოგიურ გადმოცემას, მათ შორის შემოქმედებითი ინდუსტრიისთვისაც. ეს ჩვენი აკადემიური თავისუფლების არჩევანია. <https://eqe.ge/ka/page/static/1026/khelovneba-humanitaruli-mecnierebebi>

დაწესებულების პასუხის მიხედვით, ჯგუფმა გადაწყვიტა რეკომენდაციის **ხელახალი ფორმულირება შემდეგნაირად:** *“ვინაიდან საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებულია, რომ კურსდამთავრებულთა დასაქმების სფერო მოიცავს თეატრს, კინოს, ტელეინდუსტრიას, სახვითი ხელოვნების შესწავლის პარალელურად აუცილებელია აუდიოვიზუალური სფეროს სპეციფიკის შესწავლის გაფართოება“.* დამატებით, ჯგუფი აცხადებს, რომ როგორც ექსპერტებმა, მისმა წევრებმა უნდა იმუშაონ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების შესაბამისად; 1 სტანდარტის ყველა ქვესტანდარტი დაკავშირებულია სასწავლო პროგრამებისა და სასწავლო გეგმების შინაარსის მიმოხილვასთან და შეფასებასთან, ასევე

არსებობს პროგრამის რუქები, რომელთა მიხედვითაც ფასდება და განისაზღვრება, რომელი კურსი აძლევს სტუდენტს ცოდნის კონკრეტულ დონეს ბლუმის ტაქსონომიის მიხედვით. თუმცა, ჯგუფი მიიჩნევს, რომ აკადემიური თავისუფლება, განსაზღვროს რა და როგორ ასწავლოს, არ უნდა დადგეს კითხვის ნიშნის ქვეშ – ისევე, როგორც ექსპერტების თავისუფლება გადაწყვიტონ, მიიღწევა თუ არა შედეგები მოცემული სასწავლო პროგრამით.

#### **1.4 „სამაგისტრო პროგრამაში შესწავლილი უნდა იყოს აუდიოვიზუალური რეჟისურის საფუძვლები და მონტაჟის ძირითადი პრინციპები, რათა სტუდენტმა მიიღოს სასურველი შედეგი და განივითაროს სასურველი უნარები“;**

**პასუხი:** სამაგისტრო პროგრამა მთლიანად პასუხობს „ვიზუალური კომუნიკაცია/ მედიახელოვნების“ დარგობრი მახასიათებელს. პროგრამის კურიკულუმი მაღალი საავტორო შემოქმედებითი მონაცემების მქონე მედიახელოვანს ზრდის ციფრული მედიის საშუალებებით. სამაგისტრო პროგრამებში სპეციალიზაცია ღრმავდება და პროგრამა ისეა აგებული, რომ კურსდამთავრებულს მისცეს ცოდნა და გამოუმუშაოს პრაქტიკული ოპერირების და კვლევის უნარები ვიზუალური კომუნიკაცია/ მედიახელოვნების დარგში. როგორც ავლნიშნეთ, სწავლის ფორმატი სტუდიურია, და რაც შეეხება საგანს „აუდიოვიზუალური რეჟისურის საფუძვლები“ თუ გულისხმობთ თეორიულ კურსს ჩვენ ვასწავლით „თანამედროვე ხელოვნების კურსს“, თუმცა თუ პრაქტიკულ რეჟისურის საფუძვლებს (არა კინო ინდუსტრიისთვის) გულისხმობთ, ისწავლება არჩევითი კომპიუტერული პროგრამები(Blender, Adobe Animate, Adobe Premier, Adobe After Effects, ) ეს არ არის ინტერფეისის შესწავლა, ეს არის პროექტირება კომპიუტერული პროგრამით, რომლის მიზანი და შედეგია ვიზუალური შემოქმედება - მაგალითად ღონისძიების ბრენდინგი ან Web მულტიმედია, ან მუზეუმის ვირტუალური ქონთენტი. აბიტურიენტი მაგისტრანტი აბარებს გამოცდას, სადაც ქმნის უკვე ვიზუალს „საყვარელ“ კომპიუტერულ პროგრამაში.

ჯგუფი ინარჩუნებს რეკომენდაციას ისე როგორც არის და პასუხად გვთავაზობს შემდეგ ახსნას: აუდიოვიზუალური ნაწარმოებების რეჟისურის და რედაქტირების ინსტრუქციების დანერგვის აუცილებლობის განხილვისას, ჩვენ ვეყრდნობით სასწავლო პროგრამაში გაწერილ პირობებს. აღსანიშნავია, რომ დარგის სპეციფიკის დოკუმენტი, რომელიც მოიცავს შედეგების ფართო მიმოხილვას, არ ასახავს კონკრეტულ საგნებს, რომლებიც საჭიროა განსაზღვრული შედეგების მისაღწევად. აკადემიის სადოქტორო სასწავლო პროგრამასთან დაკავშირებით, სტუდენტებს ევალუბათ ნაშრომის შექმნა, რომელიც შეიძლება წამოდგენილი იყოს ანიმაციური სიუჟეტის,



ვიდეოს, სარეკლამო მასალის ან რეკლამის სახით. აღსანიშნავია, რომ თუ სარეკლამო რგოლის შექმნისას სტუდენტი თანამშრომლობს რეჟისორთან, აუცილებელია რეჟისორის ჩართულობის დიად მითითება. უფრო მეტიც, სტუდენტებს აუცილებლად უნდა ჰქონდეთ აუდიოვიზუალური რეჟისურის ფუნდამენტური ცოდნა და ოსტატურად ჩაერთონ იმ მრავალფეროვანი ფორმების შექმნაში, რომლებიც ხაზს უსვამენ აუდიოვიზუალური ხელოვნების უფრო ფართო კონტექსტს. სასწავლო გეგმის სტრუქტურაზე დაკვირვებით აღვნიშნავთ შემდეგს: მაშინ, როცა რეჟისურის და ვიდეო მონტაჟის საფუძვლები ბაკალავრიატის საფეხურზე ისწავლება, მაგისტრატურაში ეს საგნები გამოტოვებულია. ეს ბადებს შესაბამის კითხვას - რატომ არის ასე? აღსანიშნავია, რომ პროგრამაზე დაშვების სავალდებულო მოთხოვნები არ არის შეზღუდული. შესაბამისად, პროგრამაში ჩარიცხვის უფლება აქვს ნებისმიერ კანდიდატს, რომელსაც აქვს ბაკალავრის ხარისხი ნებისმიერი უნივერსიტეტიდან და წარმატებით აქვს ჩაბარებული ენისა და სპეციალობის გამოცდები. თუმცა, ეს იწვევს გარკვეულ სირთულეს; მაგალითად, სტუდენტს, რომელსაც არ აქვს რეჟისურისა და ვიდეო მონტაჟის საკმარისი ცოდნა, მაგრამ ფლობს ცოდნას სხვა სფეროებში, შეიძლება გაუჭირდეს ვიზუალური სიუჟეტის აგება. ეს წარმოშობს სამაგისტრო დონეზე სარეჟისორო და ვიდეო მონტაჟის საბაზისო სწავლების აუცილებლობას. რაც შეეხება რჩევას თანამედროვე ხელოვნების კურსის დანერგვასთან დაკავშირებით, აუცილებელია განვმარტოთ, რომ ეს კურსი ამჟამად არ წარმოადგენს სასწავლო გეგმის ნაწილს და, უფრო მეტიც, ვერ ჩაანაცვლებს რეჟისურასა და ვიდეო მონტაჟს. ამრიგად, საჭიროა სასწავლო გეგმის ხელახალი შეფასება, რაც ხელს შეუწყობს ამ ნიუანსური პრობლემების გადაჭრას და უფრო ყოვლისმომცველი და თანმიმდევრული საგანმანათლებლო ჩარჩოს გაძლიერებას.

**1.5 „სილაბუსის დონეზე რეკომენდებულია, თეორიული ნაწილის გაძლიერება და კვლევის კომპონენტისთვის მეტი ყურადღების დათმობა“;**

კარგი იქნებოდა დაზუსტებულიყო კერძოდ, რომელ სილაბუსში არის გასაძლიერებელი თეორიული ნაწილი ან კვლევის კომპონენტი, ვინაიდან მსგავსი რეკომენდაცია დარგის მახასიათებლების გათვალისწინებით და შვიდი მახასიათებელი პროგრამის კურიკულუმის დისციპლინების ასახვით, უკვე განვიხილეთ, როგორც პედაგოგიური კვლევის საწყისების, ასევე, შემოქმედებითი პრაქტიკის პრეზენტაციის შესაძლებლობა კურსის მაგისტრანტების აუდიტორიის წინაშე.

ჯგუფი თვლის, რომ მათ უკვე გასცეს ზოგადი რეკომენდაცია პროგრამებში ამ ასპექტის შესახებ, თუმცა შეიძლება ეს შემდგომი განმარტებები შესაბამისად მიიჩნიონ, ამიტომ იგი **წყვეტს ამოიღოს ეს რეკომენდაცია.**

**4.2 „მედიახელოვნების სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელს დაემატოს დამატებითი ხელმძღვანელი, რომელსაც აქვს აუდიოვიზუალური და მედიახელოვნების კვალიფიკაცია და მედიახელოვნების აქტიური პროფესიული გამოცდილება ბოლო 5 წლის განმავლობაში“.**

**პასუხი:** სამაგისტრო ნაშრომის თემა და ხელმძღვანელი: მეოთხე სემესტრის დასაწყისში სტუდენტმა უნდა წარმოადგინოს სამაგისტრო ნაშრომის თემა, რომელსაც ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო და ამავე საბჭოზე სტუდენტს დაენიშნება ხელმძღვანელი. სამაგისტრო ნაშრომს ხელმძღვანელობს ფაკულტეტის სრული პროფესორი, ასოცირებული პროფესორი. ხელმძღვანელი ვალდებულია ზედამხედველობდეს მაგისტრანტის მუშაობის პროცესს და გაუწიოს მას სათანადო კონსულტაციები. ერთი პირი შეიძლება ხელმძღვანელობდეს ხუთ დიპლომანტს (სამომავლოდ საბჭო უფლებამოსილია ბრძანებით შეცვალოს და დაადგინოს სტუდენტთა რაოდენობა). ხელმძღვანელის გარდა სტუდენტს შესაძლებელია ჰყავდეს კონსულტანტები, რომლებიც სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისასა მაგისტრანტს კონსულტაციას უწევს თავის დარგში (ფსიქოლოგია, ადვერტოლოგია, პედაგოგიკა, ბიზნესი და მარკეტინგი, ფოტოგრაფია, აუდიო-ვიზუალიზაცია, ვიდეომონტაჟი და სხვა). ამონარიდი თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის მედიახელოვნების ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამისა და სადისერტაციო საბჭოს დებულებიდან: დოქტორანტს უნდა ჰყავდეს თანახელმძღვანელი, რომელიც შეიძლება იყოს პარტნიორი უნივერსიტეტის პროფესორი ან სამეცნიერო დაწესებულების მეცნიერი, ან შემოქმედი, რომელთანაც თსსა-ს დადებული აქვს ან დადებს თანამშრომლობის ხელშეკრულებას. 6.12. დოქტორანტს ენიშნება სამეცნიერო ხელმძღვანელი და თანახელმძღვანელი. დოქტორანტის საკვლევი თემის სამეცნიერო ხელმძღვანელისა და თანახელმძღვანელის კომპეტენციები შესაძლოა იყოს განსხვავებული, გამომდინარე მედიახელოვნების დარგის სპეციფიკიდან (მულტიდისციპლინარული). მაგალითად, ციფრული მედია და არქიტექტურა, ვიზუალური კომუნიკაცია და შემოქმედებითი ფსიქოლოგია, ხელოვნებათმცოდნეობა, მუზეუმოლოგია და ვირტუალური რეალობის დიზაინი და ა.შ.



ჯგუფმა გადაწყვიტა, რომ რეკომენდაცია უცვლელად დარჩეს, რადგან გაცემული პასუხი ეხება პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაციას და არა მის როლებს/ მოვალეობებს. პანელს მიაჩნია, რომ სამაგისტრო პროგრამას სჭირდება თანახელმძღვანელი მისი სირთულის, ზომისა და იმ გამოწვევების გამო, რომელთა წინაშეც ისინი უნდა აღმოჩნდნენ, განსაკუთრებით წინამდებარე მიმოხილვის საპასუხოდ: თანახელმძღვანელი, რომელსაც სტანდარტის მიხედვით აქვს ბოლო 5 წლის პრაქტიკული გამოცდილება მედიახელოვნების სფეროში, როგორც პედაგოგიურ საქმიანობაში, ასევე საგანმანათლებლო მენეჯმენტში, მათ შორის, ხარისხის უზრუნველყოფაში.

**პროგრამა 5. მედიახელოვნება/ციფრული მედია, სამაგისტრო პროგრამა (ინგლისურენოვანი):**

**1.2 „აუდიოვიზუალური ხელოვნების ფარგლებში, დაემატოს ცოდნასთან დაკავშირებული შედეგების შესაბამისი სფეროები, რადგან სტუდენტს მომავალში მოუწევს ამ სფეროს სპეციალისტებთან ურთიერთობა. ამ სფეროთა დიაპაზონი მერყეობს აუდიოვიზუალური თეორიიდან ისტორიამდე, რაც შეიძლება განაწილდეს უფრო თანაბრად და უფრო სიღრმისეულად, კონკრეტულ თემებში, განსაკუთრებით თანამედროვე თემებში“.**

**პასუხი:** მიმდინარე რეკომენდაციას არ ვეთანხმებით. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა დარგის 0211 აუდიოვიზუალური მეთოდები და მედიაპროდუქცია/წარმოება Audio-Visual Techniques and Media Production მულტიდისციპლინარულობის გამო შეიმუშავა ორი დარგობრივი მახასიათებელი: „აუდიოვიზუალური ხელოვნების“ („აუდიოვიზუალური ხელოვნება“, „კინო-ტელეხელოვნება“ და „აუდიოვიზუალური რეჟისურა (მხატვრული ფილმი, დოკუმენტური, კლიპი, ანიმაციური ფილმი, ხმის, ტელე)“) უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი „ვიზუალური კომუნიკაცია/ მედიახელოვნების“ „ვიზუალური კომუნიკაცია“, „მედიახელოვნება/ ციფრული მედია“, „მულტიმედია დიზაინი“, „გრაფიკული დიზაინი“ და „ბექდვითი მედია/ტიპოგრაფია“) უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი მიმდინარე კლასტერი, კლასტერში შემავალი პროგრამები და მედიახელოვნების ფაკულტეტის სტრატეგია თსს აკადემიის ისტორიულ მისიათა და პროფილთან მიმართებაში, ეყრდნობა ვიზუალური ხერხებით მხატვრული შემოქმედების ტრადიციულ და თანამედროვე მიმართულებებს. ინსპირაცია ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების შექმნაზე მე და ბატონ კარლ სტოკერს ჩვენმა საერთო მაგისტრანტმა ანნა დიტრიხმა შთაგვაგონა, რომელიც ერასმუს + გაცვლითი პროგრამით მედიახელოვნების ფაკულტეტზე სადიპლომო კვლევის ნაშრომისათვის ერთი სემესტრი თსს აკადემიაში იმყოფებოდა. თემის სათაურია „როგორ გხედავ შენ თბილისო“ და ეხება საინტერესო

ინტერპრეტაციას საგამოფენო სივრცის მოწყობასთან დაკავშირებით, კერძოდ ციფრული და რეალური ინტერმედია პროექტის შექმნას, ცხადია, სასურველია ამ თემის კვლევა უკვე სადოქტორო საფეხურზე. საგამოფენო დიზაინკონტენტი შეიცავს ვიზუალური მედიახელოვნების თვალსაზრისით თბილისური ეზოს ტრადიციის გაცოცხლებას სხვადასხვა სახელოვნებო დარგების ინტერდისციპლინური წარმოდგენისთვის. იხილეთ დანართი 16-ში ნანა იაშვილის სამეცნიერო კონფერენციაზე კარლ სტოკერის წერილი და ანა დიტრიხის კონცეფცია. სამწუხაროდ პრეზენტაციის PDF ფაილი მხოლოდ ქართულ ენაზეა.

**„ვიზუალური კომუნიკაცია/მედიახელოვნების“ დარგობრივი მახასიათებელი ასახავს მედიახელოვნების ფაკულტეტის კლასტერულ პროფილს საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურზე.**

<https://eqe.ge/ka/page/static/1026/khelovneba-humanitaruli-mecnierebebi>

ჯგუფმა აღმოაჩინა, რომ უსდ-ს პასუხმა კარგად განმარტა ეს ასპექტი და გადაწყვეტა **გააუქმოს ეს რეკომენდაცია.**

#### **1.4 „მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს თანამედროვე ხელოვნების ისტორიას და უახლესი ტენდენციებისა და ტექნოლოგიების გაცნობას“;**

**პასუხი:** სამაგისტრო პროგრამებში სპეციალიზაცია ღრმავდება და პროგრამა ისეა აგებული, რომ კურსდამთავრებულს მისცეს ცოდნა და გამოუმუშაოს პრაქტიკულად ოპერირების და კვლევის უნარები კონკრეტულ სფეროებში. რეკომენდაციის პასუხების მომზადების პროცესში მივიღეთ ახალი და საინტერესო შემოთავაზება „Climate Education and Research Alliance Georgia (CERA)“, სადაც გვთავაზობენ სამაგისტრო საფეხურზე ვიზუალური კომინიკაციისა და მედიახელოვნების ხერხებით გაზაფხულის სემესტრში მედიახელოვნება/ციფრული მედიის პროგრამის მაგისტრანტებთან ერთად მომზადდეს ვორქშოფი ამ თემასთან მიმართებით, რათა შეიქმნას ზოგადსაგანმანათლებლო-შემეცნებითი მოკლე კურსი კლიმატის ცვლილებების პრობლემის ცნობიერების ამაღლების კუთხით. პროგრამაში ჩართულია ფაკულტეტის მოწვეული პროფესორი მაიკლ ლუკენი, ეს გახლავთ ინტერდისციპლინარული და სწავლა-სწავლების კვლევის მაგალითი. მედიახელოვნების ფაკულტეტზე მსგავსი პროექტი კულტურული მემკვიდრეობის ცნობიერების ამაღლების კუთხით 2018 წელს განხორციელდა „კრეატიული ევროპა 2018“. <https://www.facebook.com/profile.php?id=100066565963740&mibextid=LQOJ4d>

ჯგუფი მიიჩნევს, რომ ეს პასუხი არ ეხება რეკომენდაციას და მის ანალიზს და, შესაბამისად, რჩება რეკომენდაციაში.

1.4 „ამ პროგრამის კვლევითი ელემენტი უნდა გაიზარდოს, რადგან მას ამჟამად აკლია აუდიოვიზუალური ხელოვნების სპეციფიკის ცოდნის ნაკრები, რომელიც სტუდენტს სჭირდება, მისი სპეციალიზაციიდან გამომდინარე“.

**პასუხი:** ინდივიდუალური შემოქმედება პროექტებზე თავისთავად მოიცავს კვლევის კომპონენტს (მაგისტრანტმა უნდა შეარჩიოს მისთვის საინტერესო თემა/პრობლემა, რომელსაც ინდივიდუალურად განახორციელებს ხელმძღვანელთა და თანახელმძღვანელთან ერთად. დარგობრივი მახასიათებლიდან:“სამაგისტრო ნამუშევარში კვლევითი სამუშაო ეყრდნობა „შექმნა და შემოქმედებითობას“ (Creation and Creativity). ის თანამედროვე ტენდენციის მიხედვით, „საერთო მახასიათებლების და საზიარო ფასეულობების“ (Common dimensions and shared values) ჭრილში ვითარდება და მოიცავს შვიდ საერთო მახასიათებელს:

- კონცეპტუალური აზროვნება, იდეის ფორმირება, განხორციელება და წარდგენა;
- ისტორია, თეორია და კულტურა;
- შემოქმედებითი პროცესების გადაზრება/გადაფასება, ინტერპრეტაცია;
- ექსპერიმენტული, ინოვაციური მიდგომები და თემატური კვლევები;
- ციფრული და ტექნოლოგიური ინსტრუმენტები/პროგრამული უზრუნველყოფა;
- კომუნიკაცია, კოლაბორაცია და ინტერდისციპლინარული ოპერირება;
- შემოქმედებითი მეწარმეობა.“

რაც შეეხება ძლიერ თეორიულ ბლოკს კვლევისთვის ეს უახლესი დარგობრივი მიდგომაა ბრიტანული პროექტის სამწლიანი თანამშრობლობის ფორმატში მომზადებული. შეიქმნა საუნივერსიტეტო თეორიული დისციპლინები და ამ პროგრამებისთვის სპეციალურად შექმნილი სილაბუსებით გავაძლიერეთ შემდეგი საგნებით: „მედიახელოვნების მართვა და განვითარება“, „არტ მარკეტინგი“, „შემოქმედებითი მეწარმეობა“ და „რეკლამის ფსიქოლოგია“ (დანართი 18).

ჯგუფმა აღმოაჩინა, რომ უსდ-ს პასუხმა კარგად განმარტა ეს ასპექტი და გადაწყვეტა გააუქმოს ეს რეკომენდაცია.

4.2 „მედიახელოვნების სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელს დაემატოს დამატებითი ხელმძღვანელი, რომელსაც აქვს აუდიოვიზუალური და მედიახელოვნების კვალიფიკაცია და მედიახელოვნების აქტიური პროფესიული გამოცდილება ბოლო 5 წლის განმავლობაში“.

**პასუხი:** ვეთანხმებით პატივცემულ ექსპერტებს, ისედაც იყო გათვალისწინებული. მედიახელოვნების სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელი ამ დარგის განათლების ექსპერტია და დარგობრივი მახასიათებლის „ვიზუალური კომუნიკაცია/მედიახელოვნების ჯგუფის თავმჯდომარე (დანართ 1).

ეს პიროვნება, რა თქმა უნდა, ექსპერტია, მაგრამ აკადემიური მიღწევის თვალსაზრისით, მხოლოდ სტატიები აქვს გამოქვეყნებული მის დარგში და არ აქვთ საავტორო პროექტი მედიახელოვნების სფეროში, ანუ მას აქვს პრაქტიკული გამოცდილება არქიტექტურის სფეროში, რაც დასტურდება მისი CV- თ. ამიტომ რეკომენდაცია უცვლელი რჩება.

**პროგრამა 6. მედიახელოვნება/ციფრული მედია, სადოქტორო პროგრამა (ქართულენოვანი):**

**1.2 „შედეგების უფრო მკაფიოდ გაფართოება თანამედროვე ხელოვნების ან ახალი/ინტერმედია სფეროების მიმართ, რაც მოსალოდნელია მედიახელოვნების პროგრამისგან;“**

**პასუხი:** რეკომენდაცია ბუნდოვანი და ზოგადია, რას გულისხმობს „შედეგების უფრო მკაფიოდ გაფართოება“ ან როგორ იკვეთება სფეროების მიმართ ვიწრო მიდგომა? რადგან, პროგრამები ახალია და ამ ეტაპზე შედეგებზე მსჯელობა არ მიგვაჩნია რელევანტურად. „ვიზუალური კომუნიკაცია/მედიახელოვნების“ პირველი ორი უმაღლესი განათლების საფეხურის სპეციფიკა ცხადია, ვერტიკალურ კლასტერში სადოქტორო საფეხურზეც ვრცელდება, კერძოდ, ვგულისხმობთ შემოქმედებითობის ინდივიდუალურობას და შემოქმედებაზე დაფუძნებული ექსპერიმენტის შედეგად ახალი ცოდნის შექმნას, სადოქტორო საფეხურზე კვლევითი და შემოქმედებითი პროდუქტის ერთ მთლიანობას. ამ კომპონენტებს „შექმნა და შემოქმედებითობას“ (Creation and Creativity). ის თანამედროვე ტენდენციის მიხედვით, „საერთო მახასიათებლების და საზიარო ფასეულობების“ (Common dimensions and shared values) ჭრილში პრაქტიკაზე დაფუძნებული კვლევა ეწოდება. კვლევითი სამუშაო ეყრდნობა და ვითარდება და მოიცავს შვიდ საერთო მახასიათებელს:

- კონცეპტუალური აზროვნება, იდეის ფორმირება, განხორციელება და წარდგენა;
- ისტორია, თეორია და კულტურა;
- შემოქმედებითი პროცესების გადააზრება/გადაფასება, ინტერპრეტაცია;
- ექსპერიმენტული, ინოვაციური მიდგომები და თემატური კვლევები;
- ციფრული და ტექნოლოგიური ინსტრუმენტები/პროგრამული უზრუნველყოფა;
- კომუნიკაცია, კოლაბორაცია და ინტერდისციპლინარული ოპერირება;

• შემოქმედებითი მეწარმეობა.

დოქტორანტი შეძლებს, შეძენილი ცოდნის საფუძველზე, მედიახელოვნების კონტექსტში მიმდინარე პროცესების, მოვლენებისა და ხდომილებების კვლევას, ახლებურად გაცნობიერებასა და შეფასებას მაღალკვალიფიციური მულტიმედიური პროდუქტის შესაქმნელად; საგანმანათლებლო პროგრამის ათვისების შედეგად დოქტორანტი შეძლებს შემოქმედებითად გადაწყვიტოს თანამედროვე, საერთაშორისო მიღწევებზე დამყარებული ინოვაციური მეთოდების გამოყენებით მედიახელოვნების ამოცანები; საგანმანათლებლო პროგრამის ათვისების შედეგად დოქტორანტი შეძლებს საყოველთაოდ აღიარებული პრინციპების გათვალისწინებით შემოქმედებითი ექსპერიმენტის დაგეგმვას, როგორც კონკრეტული სფეროსთვის, ასევე ინტერდისციპლინარული ამოცანისათვის; ახალი ტექნოლოგიების საშუალებებით, დოქტორანტი შეძლებს, შემოქმედებითი ექსპერიმენტის პრაქტიკულად დაგეგმვას, დანერგვას და კვლევას ისეთ სფეროებში, როგორც არის სწავლა-სწავლება განათლების ნებისმიერ საფეხურზე და მულტიმედიური ინდუსტრია; შეძენილი ცოდნის საფუძველზე პედაგოგიური მოღვაწეობის, საკვლევი სამუშაოებისა და პრაქტიკული საქმიანობის შეხამებას; კურსდამთავრებულმა იცის, ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში მიმდინარე ძირითადი პროცესები, საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმის არსი, საუნივერსიტეტო კურიკულუმის შემუშავების ძირითადი პრინციპები, ფლობს უმაღლეს სკოლაში სწავლების მეთოდების საფუძველებს, აცნობიერებს მის მიზნებსა და შედეგებს.

ჯგუფი აღიარებს პასუხის კომპეტენტურობას და შესაბამისობას, თუმცა ინარჩუნებს რეკომენდაციას, რადგან ამ შემთხვევაში კითხვის ნიშნის ქვეშ დგას მიღწევების უმაღლესი აკადემიური დონე - დარგის დოქტორანტურის შედეგები უნდა ასახავდეს თანამედროვე ხელოვნების ტენდენციებს ან ახალ / ინტერმედიალურ სფეროებს. ესენი გახდებიან უმაღლესი რანგის და დიდი ხილვადობის მქონე აკადემიური ან კულტურული მოღვაწეები და უნდა ფლობდნენ კომპეტენციებს როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დარგში.

**4.1 „მაშინაც კი, თუ პროგრამებისთვის პერსონალის რაოდენობა და შესაძლებლობები მინიმალურად საკმარისი ჩანს, თუ ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი პროგრამები ერთად უნდა განხორციელდეს, მაშინ უნდა გაიზარდოს პერსონალი როგორც საერთო რაოდენობის კუთხით, ასევე უნდა გაიზარდოს მათი ენის ცოდნის კომპეტენცია, რათა შეძლონ ხელმძღვანელობა ინგლისურ ენაზე და მუშაობა სხვადასხვა შესაძლო სფეროში;“**

**პასუხი:** ამ საკითხს არეგულირებს საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო დებულებები და როგორც პროგრამაში, ასევე თვითშეფასების ანგარიშში პასუხისმგებლობით არის გაწერილი. ფაკულტეტის წესების ზედმიწევნით შესრულება არის ჩვენი პროგრამების მდგრადობის განმაპირობებელი. სადიპლომო პროექტების შესასრულებლად განსაზღვრულია პროგრამის ხელმძღვანელის, თანახელმძღვანელის და კონსულტენტების დანიშვნა პროცედურის მიხედვით. იხილეთ მაგ. დოქტორანტურის დებულება, სადაც დეტალურად არის აღწერილი პროცედურები.

ინგლისურენოვან სადოქტორო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსი: პროგრამის ხელმძღვანელები - პროფ. ნანა იაშვილი, პროფესორი, არქიტექტურის დოქტორი და კარლ სტოკერი, პროფესორი, კულტურის და დიზაინის კონსულტანტი (ავსტრია, გრაცის უნივერსიტეტი) ასევე, ლუკა მიქელაძე, მედიახელოვნების დოქტორი, მედიახელოვნების ფაკულტეტის „ვიზუალური კომუნიკაციის და მედიახელოვნების“ კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი; ქეთევან კვირიკაძე, ასოცირებული პროფესორი, მედიახელოვნების დოქტორი; სადოქტორო ნაშრომების ინტერდისციპლინარულობიდან გამომდინარე, ფაკულტეტის კოლეგა (მომავალში მოწვეული პროფესორები) მეცნიერები და ხელოვანები თანახელმძღვანელობას გაუწევენ დოქტორანტებს სპეციალობიდან გამომდინარე. სადოქტორო ნაშრომების თანახელმძღვანელები: პაოლა პუმა, პროფესორი ფლორენციის უნივერსიტეტი; მალგოჟატა ვჟეშნიკი დოქტორი, მოწვეული პროფესორი ვარშავის კარდინალ ვიშინსკის სახელობის უნივერსიტეტი; მაიკლ ლუკენი დოქტორი, მოწვეული პროფესორი (გერმანია). აქვე დავძენთ, რომ ეს გამოცდილება მაგალითად ფლორენციის უნივერსიტეტთან უკვე გვაქვს. (ერთობლივი სამაგისტრო დიპლომი). დანართად გაწვდით სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელის პირადი მოწვევის წერილის ასლს ვარშავის უნივერსიტეტიდან, სადაც დასტურდება მისი გამოცდილება, როგორც მოწვეული პროფესორის დარგის პროფილით (ცხადია, ინგლისური ენის გამოცდილებით) (დანართი 19).

უცხოელ პროფესორებს ხელშეკრულებები გაუფორმდებათ უცხოენოვანი პროგრამების აკრედიტაციის გავლის და განხორციელებისთანავე.

ფაკულტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისთვის თსსა უწყვეტი განათლების ცენტრში პერმანენტულად ტარდება ინგლისური ენის ტრენინგ-კურსის I-II დონე. 2023 წლის დეკემბერში კვლავ იგეგმება ინგლისური ენის ტრენინგები (Elementary და Intermediate).

ზემოთ უკვე გაცემული იყო პასუხი ამ თემაზე. პერსონალის წარმოდგენილი სიები, მათი CV და ენის კომპეტენციის სხვა დამადასტურებელი საბუთები და განსაკუთრებით გასაუბრებები ადასტურებს (ჯგუფის შთაბეჭდილებით), რომ მთელ დაწესებულებაში არის 4 ან მაქსიმუმ 5 ადამიანი, რომელსაც შეუძლია ინგლისურად ასწავლოს ან/ და უხელმძღვანელოს საჭირო დონეზე. თუ პასუხში წარმოდგენილი სამომავლო შეთანხმებები და დაპირებები საკმარისი უნდა იყოს ამ პროცედურაში, მაშინ ჯგუფის მოსაზრება ამაზე არარელევანტურია, რადგან ის ეფუძნება ვიზიტს და ვიზიტის დროს წარმოდგენილ დოკუმენტაციას. რეკომენდაცია რჩება.

#### **4.2 „ხელმძღვანელებს უნდა შეეძლოთ დისერტაციის ბიბლიოგრაფიის კონტროლი და ხელი შეუწყონ კვლევის ინსტრუმენტების სწორად გამოყენებას“;**

**პასუხი:** ვეთანხმებით, თუმცა სადოქტორო პროგრამა არც ერთ ენაზე ჯერჯერობით არ ხორციელდება.

რეკომენდაცია რჩება. ვინაიდან განხილვის პროცესში ჩაითვალა, რომ პროგრამა ხორციელდებოდა უკვე ინტერვიუებზე ასეთი კონტროლის შთაბეჭდილება არ ყოფილა.

#### **4.2 „მედიახელოვნების სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელს დაემატოს დამატებითი ხელმძღვანელი, რომელსაც აქვს აუდიოვიზუალური და მედიახელოვნების კვალიფიკაცია და მედიახელოვნების აქტიური პროფესიული გამოცდილება ბოლო 5 წლის განმავლობაში“.**

**პასუხი:** ამ და ამგვარ რეკომენდაციას ნაწილობრივ უკვე გავეცით პასუხი. წარმოდგენილ სადოქტორო და სამაგისტრო დებულებაში, რომელთა თანახმადაც: “სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი ვალდებულია ზედამხედველობდეს მაგისტრანტის მუშაობის პროცესს და გაუწიოს მას სათანადო კონსულტაციები. ერთი პირი შეიძლება ხელმძღვანელობდეს ხუთ დიპლომანტს (სამომავლოდ საბჭო უფლებამოსილია ბრძანებით შეცვალოს და დაადგინოს სტუდენტთა რაოდენობა).“ ან/და „ხელმძღვანელის გარდა სტუდენტს შესაძლებელია ჰყავდეს კონსულტანტები, რომლებიც სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისასა მაგისტრანტს კონსულტაციას უწევს თავის დარგში.“

ასევე სადისერტაციო საბჭოს დებულებიდან:

“6.11. დოქტორანტს უნდა ჰყავდეს თანახელმძღვანელი, რომელიც შეიძლება იყოს პარტნიორი უნივერსიტეტის პროფესორი ან სამეცნიერო დაწესებულების მეცნიერი, ან შემოქმედი, რომელთანაც თსსა-ს დადებული აქვს ან დადებს თანამშრომლობის ხელშეკრულებას.

6.12. დოქტორანტს ენიშნება სამეცნიერო ხელმძღვანელი და თანახელმძღვანელი. დოქტორანტის საკვლევი თემის სამეცნიერო ხელმძღვანელისა და თანახელმძღვანელის კომპეტენციები შესაძლოა იყოს განსხვავებული, გამომდინარე მედიახელოვნების დარგის სპეციფიკიდან (მულტიდისციპლინარული).

ექსპერტთა ყურადღების მიღმა დარჩათ (ინტერვიურების დროსაც კი) მედიახელოვნების ფაკულტეტზე 2014 წლიდან მოქმედი (იხ. თვითშეფასების დოკუმენტი) სამეცნიერო კვლევითი ცენტრი - „ვიზუალური კომუნიკაციის და მედიახელოვნების ინსტიტუტი“, რომელსაც ხელმძღვანელობს ასოც. პროფესორი ლუკა მიქელაძე. (იხ.ინსტიტუტის დებულება დანართად) არც რეკომენდაციებში და არც ინტერვიუს დროს არ იქნა გათვალისწინებული. ექსპერტები თავად აღნიშნავენ, რომ მედიახელოვნების კლასტერის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალი კვალიფიკაციის კომპონენტს აკმაყოფილებს, კერძოდ - 6 პროფესორი და 5 ასოცირებული პროფესორი, მედიახელოვნების ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევითი ერთეულის მეცნიერ თანამშრომლები - 5 პერსონალი. 2014 – 2018 წლებში ინსტიტუტს უძღვებოდა პროფესორი ნ. იაშვილი. სწორედ ამ პერიოდში მოხდა 4 სადისერტაციო კვლევა “Practice Based” და მეხუთე - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული დოქტორანტი - მიხეილ დარჯანია. დანართში იხილეთ „დოქტორანტის შეფასება გრანტის მიმღების მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ“ (დანართი 13).

ჯგუფმა უკვე განიხილა ბ- ნი მიქელაძის დატვირთვა, მაგრამ მაინც თვლის, რომ ხელმძღვანელობის ასეთი დატვირთვა უნდა დაემატოს მთლიან პერსონალს. ამრიგად, რეკომენდაცია რჩება.

**პროგრამა 7. მედიახელოვნება/ციფრული მედია, სადოქტორო პროგრამა (ინგლისურენოვანი):**

**1.2 „შედეგების უფრო მკაფიოდ გაფართოება თანამედროვე ხელოვნების ან ახალი/ინტერმედია სფეროების მიმართ, რაც მოსალოდნელია მედიახელოვნების პროგრამისგან“;**

**პასუხი:** აღნიშნულ რეკომენდაციას ვერ ვიზიარებთ. რჩევად შესაძლებელია განხილული ყოფილიყო ეს საკითხი, თუნდაც ვიზიტის დროს. დასაზუსტებელია, კონკრეტულად რომელი კომპონენტი საჭიროებს უფრო მკაფიოდ გაფართოებას თანამედროვე ხელოვნების ან ახალი/ინტერმედია სფეროების მიმართ.

**ამჟამინდელი II.1/შედეგი 2 „მედია ხელოვნების ამოცანები (ვირტუალური, გაძლიერებული და შერეული რეალობა, თამაშის დიზაინი, ვიდეო დიზაინი, ანიმაცია, კინო, ფოტო, კულტურული მემკვიდრეობის აუდიო- ვიზუალური რეკონსტრუქცია, აპლიკაცია, ინფოგრაფიკა, ...“ უნდა**



გაფართოვდეს მხატვრული სფეროს ისეთი თანამედროვე ტენდენციებითა და მიღწევებით, როგორცაა ბიოხელოვნება, რობოტიკა, ხელოვნური ინტელექტი, დიდი მონაცემები, ტაქტიკური ტექნიკა, ეკო და საზოგადოების ხელოვნება და ა.შ. გარდა ამისა, შედეგები უფრო მკაფიოდ უნდა ასახავდეს დამკვიდრებულ და მომავალ ტენდენციებს კრიტიკულ მედია (ხელოვნების) კვლევებში, როგორცაა (პოსტ)კოლონიალური კვლევები, ბიოპოლიტიკა, ფემინისტური/ გენდერული კვლევები, ეკოკრიტიკა, მედიაპოლიტიკა და ეკონომიკა და ა.შ. ამდენად, რეკომენდაცია რჩება.

**4.1 „მაშინაც კი, თუ პროგრამებისთვის პერსონალის რაოდენობა და შესაძლებლობები მინიმალურად საკმარისი ჩანს, თუ ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი პროგრამები ერთად უნდა განხორციელდეს, მაშინ უნდა გაიზარდოს პერსონალი, როგორც საერთო რაოდენობის კუთხით, ასევე უნდა გაიზარდოს მათი ენის ცოდნის კომპეტენცია, რათა შეძლონ ხელმძღვანელობა ინგლისურ ენაზე და მუშაობა სხვადასხვა შესაძლო სფეროში;“**

**პასუხი:** თუ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი ექსპერტების აზრით რაოდენობრივად და შესაძლებლობებით მინიმალურად საკმარისია, მაშინ ეს რეკომენდაცია არის რჩევის ტოლფასი. პერსონალის ზრდა შესაძლებელია მხოლოდ მას შემდეგ, რაც რეალურად გაირკვევა სტუდენტების რაოდენობა უკვე გამოცხადებულ პროგრამაზე, რაც ამ ეტაპზე შეუძლებელია (პროგრამა ახალია და არ ჰყავს სტუდენტი) ინგლისურენოვან სადოქტორო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელ ადამიანურ რესურსში არიან უცხოელი პროფესორები, ქართველი პროფესორების დიდი უმრავლესობა ქართულენოვან პროგრამებზე ისედაც განაგრძობენ მუშაობას, თუმცა ექსპერტებმაც აღნიშნეს, რომ მოწვეული(ახალგაზრდა) პროფესორების კვალიფიკაცია და რაოდენობა აკმაყოფილებს მოთხოვნებს.

ინგლისური და ქართული სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების პერსონალის დაკომპლექტების საკითხი ძალიან სერიოზულია და საფუძვლიანად იქნა განხილული ჯგუფის მიერ. თუ მისაღები სტუდენტების ყველა ადგილი შეივსება და, შესაბამისად, ხელმძღვანელობისა და სწავლების სრული დატვირთვის გამოყენება გახდება საჭირო, პერსონალის რაოდენობა (ბაკალავრიატის დონეზეც) არ არის საკმარისი იმისათვის, რომ პროგრამა ხარისხიანად განხორციელდეს. ამრიგად, რეკომენდაცია რჩება.

**4.2 „ხელმძღვანელებს უნდა შეეძლოთ დისერტაციის ბიბლიოგრაფიის კონტროლი და ხელი შეუწყონ კვლევის ინსტრუმენტების სწორად გამოყენებას;**

**პასუხი:** პროგრამას არ ჰყავს სტუდენტი, იგი ახალია. ცხადია რეკომენდაციას ვიზიარებთ.

რეკომენდაცია რჩება, ვინაიდან განხილვის პროცესში ჩაითვალა, რომ პროგრამა თითქოს განხორციელდა. გასაუბრებების დროს ასეთი შთაბეჭდილება არ ყოფილა.

**4.2 „მედიახელოვნების სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელს დაემატოს დამატებითი ხელმძღვანელი, რომელსაც აქვს აუდიოვიზუალური და მედიახელოვნების კვალიფიკაცია და მედიახელოვნების აქტიური პროფესიული გამოცდილება ბოლო 5 წლის განმავლობაში“.**

**პასუხი:** რას გულისხმობენ ექსპერტები „მედიახელოვნების აქტიური პროფესიული გამოცდილება ბოლო 5 წლის განმავლობაში.“?- თუ ეს სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურს ეხება მაშინ: ეს არის პირველ რიგში ვიზუალური კომუნიკაცა/მედიახელოვნების დარგის, მინიმუმ ათი წლის მუშაობის გამოცდილების ხელოვანი, რომელიც ციფრული ინსტრუმენტებით ქმნის თანამედროვე მაღალი ღირებულების პროდუქტს. ზედმიწევნით ფლობს პროპედევტიკის საკითხებს, აქვს უნარი იმუშაოს პედაგოგიური მიმართულებით დარგობრივი მახასიათებლების შესაბამისად. სადოქტორო საფეხურზე შეეძლოს იყოს კომპეტენტური, შექმნას ახალი პროგრამა ან/და იმუშაოს არსებულ პროგრამაში დარგობრივი კვლევის მეთოდების ცოდნით და საკუთარი (ორიგინალური) გამოცდილება გარდაქმნას ახალ ცოდნად. ამ პრობლემების კვლევა და იმპლემენტაცია ხდება „ვიზუალური კომუნიკაციის და მედიახელოვნების კვლევით ცენტრში. თანახელმძღვანელობის საკითხი ჩვენთვისაც მნიშვნელოვანია (უკვე მერამდენედ ვადასტურებთ) და ამაზე წინასწარ ვიზრუნეთ პროგრამის შექმნის და თვითშეფასების ჯგუფის მუშაობის პროცესში. რექტორის სახელზე უკვე გაიგზავნა მოხსენებითი ბარათი სანდრო ასათიანის და კარლ სტოკერის პროგრამების თანახელმძღვანელებად გაფორმების შესახებ. (ცხადია აკრედიტაციის პასუხის დადებითი შეფასების შემთხვევაში). რაც შეეხება სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელის კომპეტენციას, დანართის სახით გიგზავნით მსოფლიო ენციკლოპედიის ჯგუფში მისი მუშაობის ამსახველ წერილს, რომელიც ქართული ხალხური არქიტექტურის ენციკლოპედიურ ანოტაციაზე მუშაობის პროცესის (ცხადია ინგლისურად!) ამსახველია (დანართი 16); სახელმწიფოს მიერ ქვეყნის არამატერიალური მემკვიდრეობის ძეგლის, სერგო ქობულაძის ესკიზის გაციფრულების და თბილისის ოპერის თეატრის ახალი ფარდის ავტორია; მედიახელოვნების საბაკალავრო და სამაგისტრო კურსის სტუდენტების მიერ „კულტურული მემკვიდრეობის ევროპული წელი 2018“ ინფორმაციის პროექტების ხელმძღვანელია;

დარგობრივი მახასიათებლის ჯგუფის ხელმძღვანელია, რომელშიც გაერთიანებულია საქართველოს, როგორც სახელმწიფო სახელოვნებო უნივერსიტეტების, ასევე კომერციული უნივერსიტეტების აკადემიური პერსონალი, პროფესორები.

ჯგუფმა უკვე განიხილა პერსონალის თითო წევრის დატვირთვა პროგრამის სტუდენტთა დატვირთვის შესაბამისად. იგი კვლავ მიიჩნევს, რომ ხელმძღვანელობის ასეთი დატვირთვა უნდა დაემატოს მთლიან პერსონალს. სწორად განაწილებული დატვირთვა შეიძლება მოიცავდეს როგორც სამაგისტრო, ასევე სადოქტორო პროგრამებს, მაგრამ თანამშრომელმა უნდა წარმოადგინოს საკმარისად მრავალმხრივი პროფილი - იქნება ეს მხატვრული თუ შემოქმედებითი სფეროდან (უკეთესია ორივე), და უნდა შეიცავდეს როგორც აკადემიურ კვლევებს, ასევე უმაღლესი რანგის პედაგოგიურ ცნობებს. ამრიგად, რეკომენდაცია რჩება.

---

• ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

ექსპერტთა ჯგუფი ვერ ადასტურებს, რომ სადოქტორო პროგრამამ ამ დრომდე გაართვა თავი „საქართველოში კვლევითი ხარისხის მქონე სპეციალიზებული აკადემიური პერსონალის დეფიციტის პრობლემის მოგვარებას“, (გარე შეფასება, პროფესორი ნინო გედევანიშვილი, GIPA) მედიახელოვნების სფეროში წარმატებით მოღვაწეობისთვის, მაშინაც კი, თუ დოქტორანტების ამბიცია დაიკავონ აკადემიური თანამდებობები და გააუმჯობესონ საგანმანათლებლო პროგრამები და სწავლება“ (იქვე) ამკარაა, არამხოლოდ 5 კრედიტიანი სპეციალური პედაგოგიური კურსის შემოღებით. 2014 წლიდან პროგრამამ გამოუშვა დოქტორანტურის ოთხი კურსდამთავრებული, რომელთაგან სამი ახლა მუშაობს უსდ-ში, კერძოდ პედაგოგებად და ხელმძღვანელებად.

შეიძლება დადასტურდეს, რომ თსსა-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა, ყველა ძირითად კომპონენტში სტანდარტების მიხედვით დაადგინა ახალი პროგრამების შემუშავების პროცესი: კურიკულუმის შეფასების ფორმა, საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების ფორმა, ფაკულტეტის აფილირების წესები, კითხვარები ყველა დაინტერესებული მხარისთვის (სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები) და ა.შ. თუმცა რამდენიმე ასპექტი ჯერ კიდევ შეიძლება გაუმჯობესდეს, როგორც ეს ქვემოთ არის ახსნილი - ეს ეხება სასწავლო გეგმის შემუშავების ჩაკეტილ წრეს, რომელიც ცენტრალურად მოიცავს როგორც დამსაქმებლებს, ასევე კურსდამთავრებულებს.

კლასტერის შიგნით, ყველა განხილული პროგრამის პროგრესი და განვითარება, როგორც ჩანს, სტაბილური და პოზიტიური, თუმცა გარკვეული მიმართულებების განვითარებას აკლია ფოკუსი და სისწრაფე ან ნაკლებობა რესურსების და მენეჯმენტის მხრიდან ძალისხმევის კუთხით, ინსტიტუციურ ან პროგრამულ დონეზე. ყოველივე ეს განმარტებულია თავის რჩევებიანად, შესაბამის განყოფილებებში, მათ შორის რეკომენდაციებში.

აკრედიტაციის ექსპერტთათვის შეფასების მიდგომები:

აკრედიტაციის სტანდარტების კომპონენტები ფასდება შემდეგი ორი მიდგომით:

1. კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება<sup>4</sup>
2. კლასტერული შეფასება<sup>5</sup>

სტანდარტი/კომპონენტი	შეფასების მიდგომები:
<b>1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა</b>	
1.1. პროგრამის მიზნები	კლასტერული და ინდივიდუალური
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	კლასტერული და ინდივიდუალური
1.3. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	კლასტერული
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	კლასტერული და ინდივიდუალური
1.5 სასწავლო კურსი/საგანი	კლასტერული და ინდივიდუალური
<b>2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა</b>	
2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	კლასტერული და ინდივიდუალური
2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი /სამემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	კლასტერული
2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები	კლასტერული
2.4. სტუდენტის შეფასება	კლასტერული
<b>3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა</b>	

<sup>4</sup> შეფასების მიდგომები: აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის შესაბამის კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.

<sup>5</sup> შეფასების მიდგომები: საჭიროების შემთხვევაში აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის შესაბამისი კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.

3.1. სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	კლასტერული
3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	კლასტერული
<b>4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა</b>	
4.1. ადამიანური რესურსები	კლასტერული და ინდივიდუალური
4.2. მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	კლასტერული და ინდივიდუალური
4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	კლასტერული
4.4. მატერიალური რესურსი	კლასტერული და ინდივიდუალური
4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	კლასტერული და ინდივიდუალური
<b>5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები</b>	
5.1. შიდა ხარისხის შეფასება	კლასტერული
5.2. გარე ხარისხის შეფასება	კლასტერული
5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	კლასტერული

### III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

#### 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება დაწესებულების მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამები სწავლის სფეროს შინაარსის გათვალისწინებით ლოგიკურად დაკავშირებულია ერთმანეთთან და ვითარდება უმაღლესი განათლების საფეხურების შესაბამისად.

#### 1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

## კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

მიმდინარე განვითარების პროცესში, როგორც სტუდენტები, ასევე მასწავლებლები აცხადებდნენ, რომ არაფორმალურად გაიარეს კონსულტაცია ხარისხის უზრუნველყოფის განყოფილებასთან, რომელმაც გონივრულად მიაწოდა მათ "აუდიოვიზუალური ხელოვნების უმაღლესი განათლების პროგრამის დარგობრივი მახასიათებლების შესახებ განაცხადი" („აუდიოვიზუალური ხელოვნება“, „კინო-სატელევიზიო ხელოვნება“ და „რეჟისურა (მხატვრული ფილმი, დოკუმენტური ფილმი, ვიდეო კლიპი, ანიმაციური ფილმი, ხმ, ტელევიზია)“ და ზოგიერთი კურსი გაუმჯობესდა სტუდენტების შეფასების მიხედვით, თუმცა ეს ინფორმაცია არაფორმალურია (ძირითადად პირისპირ შეხვედრებით მოხდა), მსგავსად შრომის ბაზრიდან მიღებული მონაცემებისა რაც ასევე დიდწილად არაფორმალური იყო, რადგან მასწავლებლებმა არ იცოდნენ ამ გამოკითხვის შესახებ.

პროგრამები საჯარო (გამოქვეყნებული) და ხელმისაწვდომი. მოწვეული ლექტორები თანხმდებიან, რომ "მედია ხელოვნება", როგორც სახელწოდება, ფაქტობრივად უკავშირდება "კრეატიულ ინდუსტრიებს" დასაქმების ქართულ რეალობაში, რამეთუ მაგისტრატურის და დოქტორანტურის კურსდამთავრებულებისთვის არ არსებობს ხელოვნების სფეროს წარმოებაში მუშაობის რეალური შესაძლებლობები (როგორც კულტურული ინდუსტრია). ეს უკეთესად უნდა აისახოს პროგრამის შესავალ ნაწილებში (განსაკუთრებით საჯარო ინფორმაციაში).

### აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 ფოტოხელოვნების საბაკალავრო პროგრამა:

სასწავლო პროგრამის მიზნების ჩამოყალიბებისას გათვალისწინებულია დარგის სპეციფიკა, მაგრამ აქცენტი კეთდება სარეკლამო ფოტოგრაფიაზე და, შესაბამისად, ციფრული ტექნოლოგიების როლზე, სარეკლამო ფოტოგრაფიის შექმნაში. პროგრამის მიზნები მეტ-ნაკლებად მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული, რეალისტური და მიღწევადია, თუმცა ზოგიერთ პუნქტში საჭიროა დაზუსტება, მაგალითად: მოსწავლის ინტეგრირება თანამედროვე ხელოვნების სფეროში, როგორცაა ვიდეო. გაუგებარია აქ რა იგულისხმება, რადგან ვიდეო არ არის აუდიოვიზუალური ხელოვნება, არამედ ეს არის ტექნოლოგია. პროგრამის მიზნები შეესაბამება სამხატვრო აკადემიის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიას; ისინი საჯარო და ხელმისაწვდომია. საჭიროა მთელი რიგი განმარტებები: სილაბუსის დოკუმენტებიდან ჩანს, რომ პროგრამის მიზანია ასწავლოს სტუდენტს სხვადასხვა ფორმატის კლასიკური და ციფრული კამერების გამოყენება. ასწავლოს მათი დანიშნულება და ღილაკების ფუნქციონირება, ბექდური და ციფრული პროდუქტების შექმნა, თავისუფალი და დოკუმენტური ფოტოკოლაჟები, სხვადასხვა ტიპის ფოტოგრაფიის სინთეზირება და შეუქმნას საფუძველი მომავალში დამოუკიდებელი მუშაობისთვის ხელოვნების ისეთ სფეროებში, როგორცაა რეკლამა, დიზაინი და სხვა. გამოიყენოს ფოტოგრაფია ვიზუალური ხელოვნების სხვა სფეროებთან ერთად. ეს ფორმულირება მოითხოვს დაზუსტებას, მაგალითად, რა იგულისხმება სხვადასხვა ტიპის ფოტოგრაფიის სინთეზში? რა იგულისხმება ბექდურ და ციფრულ წარმოებაში? ფოტოგრაფია? თუ სარეკლამო ფოტოგრაფია? სარეკლამო ფოტოგრაფია შეიძლება იყოს ბექდური ან ციფრული. თუ სტუდენტი სწავლობს კამერის სპეციფიკას, რატომ არის ცალკე გამოტანილი ფუნქციური ღილაკები? ეს საკითხები უნდა გაირკვეს და შესაბამისად გადაიხედოს მიზნები.

### აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 გრაფიკული დიზაინის საბაკალავრო პროგრამა:

გრაფიკული დიზაინი გამოყოფილია, როგორც დამოუკიდებელი ხელოვნება მედიახელოვნებისგან და რეალურად წარმოადგენს მიკროსპეციალობას და აქ მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს რეკლამის ტრადიციული ფორმების შესწავლას. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების ფორმირებისას მხედველობაში მიიღება გრაფიკული დიზაინის, როგორც დარგის სპეციფიკა, მისი მნიშვნელობა საზოგადოებაში და ინდივიდის ყოველდღიურ ცხოვრებაში. პროგრამის მიზნები არის მკაფიოდ

განსაზღვრული, რეალისტური და მიღწევადი. პროგრამის მიზნები შეესაბამება სამხატვრო აკადემიის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიას; დამსაქმებლებმაც და კურსდამთავრებულებმაც ხაზგასმით აღნიშნეს, რომ უნდა იყოს უკეთესი ბალანსი კურიკულუმში ისე, რომ ნაკლები დატვირთვა იყოს შეფუთვის დიზაინის ნაწილზე, რადგან მოსალოდნელია, რომ (ქაღალდის) შეფუთვა არ იქნება ისეთი დომინანტური გრაფიკული დიზაინის მომავალში.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 მედიახელოვნება/ციფრული მედიის საბაკალავრო პროგრამა:**

მედია ხელოვნება მოიცავს სხვადასხვა ფორმატსა და ტექნოლოგიას: ციფრული ხელოვნება, კომპიუტერული გრაფიკა, ანიმაცია, იმერსიული ინსტალაციები, ვიდეო თამაშები და მრავალი სხვა. სასწავლო პროგრამა ფოკუსირებულია ყველა ფორმატზე, მაგრამ უპირატესობა შეიძლება მიენიჭოს სარეკლამო ინდუსტრიას. მიზნების ჩამოყალიბებისას მხედველობაში მიიღება დარგის სპეციფიკა, ხოლო პროგრამის მიზნები მკაფიოდ განსაზღვრული, რეალისტური და მიღწევადია. მეტ-ნაკლებად გათვალისწინებულია შრომის ბაზრის მოთხოვნები. პროგრამის მიზნები შეესაბამება სამხატვრო აკადემიის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიას.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 4, 5 მედიახელოვნება/ციფრული მედიის სამაგისტრო პროგრამა, (ქარ); (ინგ);**

წარმოდგენილი პროგრამები ერთმანეთის მსგავსია; სასწავლო პროგრამის მიზნების ფორმირება ითვალისწინებს მიმართულების სპეციფიკას, განსხვავდება საბაკალავრო პროგრამისგან იმით, რომ ძლიერდება კვლევის კომპონენტი და ორიენტირებულია დარგში თანამედროვე მიდგომების შესწავლაზე. პროგრამის მიზნები მკაფიოდ, რეალისტური და მიღწევადია. მეტ-ნაკლებად გათვალისწინებულია შრომის ბაზრის მოთხოვნები. პროგრამის მიზნები შეესაბამება სამხატვრო აკადემიის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიას.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 6 მედიახელოვნება/ციფრული მედიის სადოქტორო პროგრამა, (ქარ):**

წარმოდგენილი პროგრამები ერთმანეთის მსგავსია. სასწავლო პროგრამების მიზნების ფორმირება ითვალისწინებს მიმართულების სპეციფიკას, იგი განსხვავდება წინა ორი დონისგან თეორიული, პრაქტიკული და პედაგოგიური კომპონენტების სინთეზით. პროგრამის მიზნები არის მკაფიოდ განსაზღვრული, რეალისტური და მიღწევადი. მეტ-ნაკლებად გათვალისწინებულია შრომის ბაზრის მოთხოვნები. პროგრამების მიზნები შეესაბამება სამხატვრო აკადემიის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიას;

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 7 მედიახელოვნება/ციფრული მედიის სადოქტორო პროგრამა, (ინგ):**

ინგლისური პროგრამა ძალიან ჰგავს ქართულ პროგრამას, თარგმანიდან როგორც ჩანს, ისინი მსგავსია. თუმცა, სადოქტორო პროგრამის განხორციელების შესაძლებლობა კითხვის ნიშნებს ბადებს, რაც ქვემოთ არის მოყვანილი.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- სილაბუსები და პროგრამის სხვა დოკუმენტები;
- ინტერვიუები დაინტერესებულ მხარეებთან (ყველა)

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:**

**კლასტერის საერთო რჩევები:**

რამდენადაც „მედიახელოვნება“, როგორც სახელწოდება, ფაქტობრივად, უკავშირდება „შემოქმედებით ინდუსტრიებს“ ქართულ დასაქმების რეალობაში, რადგან მაგისტრატურის და დოქტორანტურის კურსდამთავრებულებისთვის არ არსებობს ხელოვნების სფეროს წარმოებაში მუშაობის რეალური შესაძლებლობები (როგორც კულტურული ინდუსტრია), ეს უკეთ უნდა აისახოს პროგრამის შესავალ ნაწილებში (განსაკუთრებით საჯარო ნაწილში).

**რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:**

**პროგრამა 1 ფოტოხელოვნების საბაკალავრო პროგრამა**

**რეკომენდაციები:**

ფოტოხელოვნების პროგრამის მიზნები უნდა იყოს უფრო მკაფიოდ განსაზღვრული, რათა დაუკავშირდეს ცალკეული კურსის მიზნებსა და შედეგებს, ასევე შეესაბამებოდეს იმას, რაც რეალურად სჭირდებათ დამსაქმებლებს.

უნდა დაზუსტდეს შიდა შესაბამისობა და ტექნოლოგიებსა და მეთოდებზე რეალური მითითება (იხ. ანალიზი).

**რჩევები:**

**პროგრამა 2 გრაფიკული დიზაინის საბაკალავრო პროგრამა**

**რეკომენდაციები:**

**რჩევები:**

**პროგრამა 3 მედიახელოვნება/ციფრული მედიის საბაკალავრო პროგრამა**

**რეკომენდაციები:**

**რჩევები:**

**პროგრამა 4 მედიახელოვნება/ციფრული მედიის სამაგისტრო პროგრამა (ქართულენოვანი):**

**რეკომენდაციები:**



**რჩევები:**

პროგრამა 5 მედიახელოვნება/ციფრული მედიის სამაგისტრო პროგრამა  
(ინგლისურენოვანი):

**რეკომენდაციები:**

**რჩევები:**

პროგრამა 6 მედიახელოვნება/ციფრული მედიის სადოქტორო პროგრამა  
(ქართულენოვანი):

**რეკომენდაციები:**

**რჩევები:**

პროგრამა 7 მედიახელოვნება/ციფრული მედიის სადოქტორო პროგრამა  
(ინგლისურენოვანი):

**რეკომენდაციები:**

**რჩევები:**

**შეფასება<sup>6</sup>**

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი 1.1 პროგრამის მიზნები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
ფოტოხელოვნების საბაკალავრო პროგრამა	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
გრაფიკული დიზაინის საბაკალავრო პროგრამა	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
მედიახელოვნება/ციფრული მედიის საბაკალავრო პროგრამა	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
მედიახელოვნება/ციფრული მედია, სამაგისტრო პროგრამა (ქართულენოვანი):	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

<sup>6</sup>შეფასება ხდება თითოეულ პროგრამასთან მიმართებით ცალ-ცალკე.

მედიახელოვნება/ციფრული მედია, სამაგისტრო პროგრამა (ინგლისურენოვანი):	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
მედიახელოვნება/ციფრული მედიის (ინგლისურენოვანი) სადოქტორო როგრამა	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
მედიახელოვნება/ციფრული მედიის (ინგლისურენოვანი) სადოქტორო როგრამა	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

## 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

### კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

დოკუმენტებში, ზოგადად და პროგრამებში, შეიძლება დადასტურდეს, რომ პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სასწავლო დარგის სპეციფიკასთან - ფოტოგრაფიის მცირე გამონაკლისის გარდა. პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

ზოგადად, ამ კლასტერში დაჯგუფებული სხვადასხვა დონის საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგები შინაარსის, სირთულისა და კომპლექსურობის თვალსაზრისით თანმიმდევრულია და ვითარდება შესაბამისი საფეხურების გათვალისწინებით. კერძოდ, უნდა აღინიშნოს, რომ:

კურსდამთავრებულები და ბევრი სტუდენტი თანხმდება, რომ **ტექნიკების სწავლა** საბაზისო პროგრამული უნარების თვალსაზრისით უნდა იყოს მინიმუმამდე დაყვანილი (რადგან ამის მიღება შესაძლებელია ონლაინ) და დიდწილად განვითარდეს აკადემიურ და შემოქმედებით დონეზე, სადაც ხაზგასმით უნდა აღინიშნოს სტუდენტის **ინდივიდუალური შემოქმედებითი პოტენციალი და კომპეტენცია**, რადგან, „ბოლოს და ბოლოს, ეს არის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია“. ბევრმა სტუდენტმა აღნიშნა, რომ ეს უზრუნველყოფილია კურსის დონეზე (მაგ. პროექტის კურსი ან 3D კურსი მაგისტრატურის დონეზე), მაგრამ პროგრამის დონეზე ეს უნდა გაუმჯობესდეს.

როგორც პროგრამის სწავლის შედეგებთან დაკავშირებული ქვემოთ მოყვანილი ანალიზი აჩვენებს, პროგრამები მთლიანად შეესაბამება მათ მიზნებს და მოიცავს შინაარსით გათვალისწინებულ ძირითად ცოდნას, უნარებს ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიას; ისინი ძირითადად შეესაბამება პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს კურსდამთავრებულებს განაგრძონ სწავლა განათლების შემდეგ საფეხურზე; შეესაბამება სასწავლო სფეროს სპეციფიკას და შრომის ბაზრის მოთხოვნას.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 ფოტოხელოვნების საბაკალავრო პროგრამა:**

ინდუსტრიის ტერმინოლოგია უფრო მეტად და უკეთესად უნდა იქნას გამოყენებული შედეგებში. ვინაიდან, პროგრამა ახლა ფოტოგრაფიის ნაწილის პარალელურად საკმაოდ გაჯერებულია სახვითი ხელოვნების შესწავლით, შედეგი შეესაბამება პროგრამის მიზნებს და მოიცავს შინაარსში გათვალისწინებულ საბაზისო ცოდნას, უნარებს ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიას; თუმცა, ინდუსტრიის კუთხით ნაკლებ სპეციფიურია. ვინაიდან სამიზნე ქულებში მითითებულია მხოლოდ ის საგნები, რომლითაც სტუდენტი გადის შედეგზე, არ არსებობს შეზღუდვა საგნის ათვისებაში, ანუ რა დონეზე უნდა დაეუფლოს (რა შეფასება უნდა მიიღოს) სტუდენტი საგნის შედეგის მისაღწევად. ამგვარად, საკითხავია თუ რამდენად გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტურია ეს შედეგი; უნდა ითქვას, რომ იგი შეესაბამება კვალიფიკაციის შესაბამის დონეს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას, შრომის ბაზრის მოთხოვნებს. პროგრამა არ იძლევა სათანადო შესაძლებლობას კურსდამთავრებულისთვის, რომ განაგრძოს სწავლა განათლების შემდეგ საფეხურზე, ყოველ შემთხვევაში, არა იმავე უსდ-ში.

#### **აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 გრაფიკული დიზაინის საბაკალავრო პროგრამა:**

გრაფიკული დიზაინის პროგრამის შედეგები შეესაბამება მიზნებს, რეალისტური და მიღწევადია, მაგრამ აქვე გვინდა ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ შედეგების შესაფასებლად საჭიროა მივმართოთ სასწავლო გეგმის ინდიკატორებს, რომლებიც განსაზღვრავს სტუდენტების კომპეტენციას და ცოდნას ამ მიმართულებით. ანუ, რა დონის ცოდნაა საკმარისი შედეგზე გასასვლელად, რა დონის ცოდნა შეესაბამება პროგრამის მიზნებს და მოიცავს საბაზისო ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიას თავისი შინაარსით; რამდენად მიღწევადი და რეალისტურია; შეესაბამება კვალიფიკაციის სათანადო დონეს, დარგის დეტალურ აღმწერსა და მისანიჭებელ კვალიფიკაციას; იძლევა სწავლის მომდევნო საფეხურზე გაგრძელების შესაძლებლობას; შეესაბამება სასწავლო მიმართულების სპეციფიკასა და შრომის ბაზრის მოთხოვნებს. კლასტერში დაჯგუფებული სხვადასხვა დონის საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგები მორგებულია სწავლის სფეროს სირთულისა და შინაარსის მიხედვით და შექმნილია შესაბამისი დონეების გათვალისწინებით.

#### **აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 მედიახელოვნება/ციფრული მედიის საბაკალავრო პროგრამა:**

მედიახელოვნების პროგრამის შედეგები არ მოიცავს აუდიოვიზუალური ხელოვნების სპეციფიკური სფეროების ცოდნას, ეს მაშინ, როცა სტუდენტს მომავალში მოუწევს ამ სფეროს სპეციალისტებთან ურთიერთობა. შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ აუცილებელია ამ სეგმენტის დამატება. მით უმეტეს, რომ სასწავლო პროგრამა მოიცავს რეჟისურის და დრამის კურსებს. სარეკლამო სეგმენტს დიდი ადგილი უკავია მედიახელოვნების პროგრამაში, ამიტომ მიგვაჩნია, რომ შედეგი შეესაბამება პროგრამის მიზნებს და მოიცავს ძირითად ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობას და დამოუკიდებლობას; გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტურია; შეესაბამება კვალიფიკაციის დონეს, დარგის დეტალურ აღმწერს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას; საკვალიფიკაციო ჩარჩოდან შემუშავებული დარგობრივი მახასიათებლებიდან გამომდინარეა, ნაწილობრივ აკმაყოფილებს პროგრამის კურსდამთავრებულთა პროფესიული დასაქმების მიმართულების მოთხოვნებს და იძლევა სწავლის შემდეგ საფეხურზე გაგრძელების შესაძლებლობას.

#### **აღწერა და ანალიზი - პროგრამა 4 მედიახელოვნება/ციფრული მედიის სამაგისტრო პროგრამა (ქართულენოვანი);**

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ხაზს უსვამს სასწავლო მიზნების კვლევით კომპონენტს, შეფასების სისტემა აფასებს ესეებს, არსებობს პედაგოგიური პრაქტიკა, თუმცა აქედან ყველაფერი არ ვლინდება შედეგებში. ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ არსებობს იმის მცირე აუცილებლობა რომ შედეგში მეტად გაესვას ხაზი კვლევისა და პედაგოგიურ კომპონენტს. შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს და მოიცავს ძირითად ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობას და შინაარსობრივ დამოუკიდებლობას; მიღწევადი და რეალისტურია; შესაბამება კვალიფიკაციის დონეს, დარგის დეტალურ აღმწერს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას; იძლევა განათლების მომდევნო საფეხურზე სწავლის

გაგრძელების შესაძლებლობას; შეესაბამება სასწავლო სფეროს სპეციფიკასა და შრომის ბაზრის მოთხოვნებს;

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 5 მედიახელოვნება/ციფრული მედიის სამაგისტრო პროგრამა (ინგ);**  
სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ხაზს უსვამს სასწავლო მიზნების კვლევით კომპონენტს, შეფასების სისტემა აფასებს ესეებს, არსებობს პედაგოგიური პრაქტიკა, თუმცა აქედან ყველაფერი არ ვლინდება შედეგებში; განიხილეთ, შედეგებში კვლევითი და პედაგოგიური კომპონენტების ხაზგასმის აუცილებლობა. შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს და მოიცავს ძირითად ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობას და შინაარსობრივ დამოუკიდებლობას; მიღწევადი და რეალისტურია; შესაბამება კვალიფიკაციის დონეს, დარგის დეტალურ აღმწერს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას; იძლევა განათლების მომდევნო საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას; შეესაბამება სასწავლო სფეროს სპეციფიკასა და შრომის ბაზრის მოთხოვნებს; ინგლისური პროგრამა ქართული პროგრამის იდენტურია. დაცულია დარგის სპეციფიკა.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 6 მედიახელოვნება/ციფრული მედიის სადოქტორო პროგრამა (ქარ);**

სადოქტორო პროგრამების სწავლის შედეგები გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტურია; ისინი მეტწილად შეესაბამება კვალიფიკაციის შესაბამის დონეს; შეესაბამება პროგრამის მიზნებს და მოიცავს მის შინაარსში გათვალისწინებულ საბაზისო ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობას და ავტონომიას. უმეტესწილად (როცა არ ხდება სამაგისტრო დონეზე ჩამოყვანა წინაპირობების უზრუნველყოფის კონკრეტული მიზეზების გამო), სწავლის შედეგები აკმაყოფილებს შესაბამის კვალიფიკაციის დონეს, დარგის დეტალურ აღმწერს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას. ინგლისური პროგრამა ქართული პროგრამის იდენტურია. დაცულია დარგის სპეციფიკა.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 7 მედიახელოვნება/ციფრული მედიის სადოქტორო პროგრამა (ინგლისური).**  
სასწავლო პროგრამის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს და მოიცავს შინაარსით გათვალისწინებულ საბაზისო ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობას და დამოუკიდებლობას; ისინი გაზომვადია, მიღწევადი და რეალისტური; უმეტესწილად (როცა არ ხდება სამაგისტრო დონეზე ჩამოყვანა წინაპირობების უზრუნველყოფის კონკრეტული მიზეზების გამო) ისინი აკმაყოფილებენ შესაბამის კვალიფიკაციის დონეს, დარგის დეტალურ აღმწერსა და მისანიჭებელ კვალიფიკაციას. ინგლისური პროგრამა ქართული პროგრამის იდენტურია. დაცულია დარგის სპეციფიკა.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- ყველა დოკუმენტი;
- სილაბუსები;
- ყველა ინტერვიუ.

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

**კლასტერის საერთო რჩევები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

**რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)

**პროგრამა 1: ფოტოხელოვნების საბაკალავრო პროგრამა**

**რეკომენდაციები:**

• რეკომენდებულია პროგრამის სწავლის შედეგების მოდიფიცირება აკადემიური და მოწვეული პერსონალის აქტიური ჩართულობით, რათა ისინი სრულად შეესაბამებოდეს დარგის სპეციფიკას და შეიცავდეს დარგისთვის საჭირო ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, აგრეთვე იყოს თანმიმდევრული.

**რჩევები:**

**პროგრამა 2: გრაფიკული დიზაინის საბაკალავრო პროგრამა**

**რეკომენდაციები:**

**რჩევები:**

**პროგრამა 3: მედიახელოვნება/ციფრული მედიის საბაკალავრო პროგრამა**

**რეკომენდაციები:**

**რჩევები:**

**პროგრამა 4: მედიახელოვნება/ციფრული მედიის სამაგისტრო პროგრამა (ქართულენოვანი):**

**რეკომენდაციები:**

ვინაიდან საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებულია, რომ კურსდამთავრებულთა დასაქმების სფერო მოიცავს თეატრს, კინოს, ტელეინდუსტრიას, სახვითი ხელოვნების შესწავლის პარალელურად აუცილებელია აუდიოვიზუალური სფეროს სპეციფიკის შესწავლის გაფართოება. სილაბუსის დონეზე რეკომენდებულია, თეორიული ნაწილის გაძლიერება და კვლევის კომპონენტისთვის მეტი ყურადღების დათმობა;

**რჩევები:**

**პროგრამა 5: მედიახელოვნება/ციფრული მედიის სამაგისტრო პროგრამა (ინგლისურენოვანი):**

**რეკომენდაციები:**

ვინაიდან საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებულია, რომ კურსდამთავრებულთა დასაქმების სფერო მოიცავს თეატრს, კინოს, ტელეინდუსტრიას, სახვითი ხელოვნების შესწავლის პარალელურად აუცილებელია აუდიოვიზუალური სფეროს სპეციფიკის შესწავლის გაფართოება. მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს თანამედროვე ხელოვნების ისტორიას და უახლესი ტენდენციებისა და ტექნოლოგიების გაცნობას.

**რჩევები:**

სწავლის შედეგებში უფრო მკაფიოდ გამოიკვეთოს კვლევითი და პედაგოგიური კომპონენტი.

**პროგრამა 6: მედიახელოვნება/ციფრული მედიის სადოქტორო პროგრამა (ინგლისურენოვანი)**

**რეკომენდაციები:**

შედეგების უფრო მკაფიოდ გაფართოება თანამედროვე ხელოვნების ან ახალი/ინტერმედია სფეროების მიმართ, რაც მოსალოდნელია მედიახელოვნების პროგრამისგან.

**რჩევები:**

**პროგრამა 7: მედიახელოვნება/ციფრული მედიის სადოქტორო პროგრამა (ინგლისურენოვანი)**

**რეკომენდაციები:**

შედეგების უფრო მკაფიოდ გაფართოება თანამედროვე ხელოვნების ან ახალი/ინტერმედია სფეროების მიმართ, რაც მოსალოდნელია მედიახელოვნების პროგრამისგან.

**რჩევები:**

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
---	------------------------------	---------------------------------------	---	---------------------------

ფოტოხელოვნების საბაკალავრო პროგრამა	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
გრაფიკული დიზაინის საბაკალავრო პროგრამა	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
მედიახელოვნება/ციფრული მედიის საბაკალავრო პროგრამა	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
მედიახელოვნება/ციფრული მედია, სამაგისტრო პროგრამა (ქართულენოვანი):	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
მედიახელოვნება/ციფრული მედია, სამაგისტრო პროგრამა (ინგლისურენოვანი):	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
მედიახელოვნება/ციფრული მედიის (ინგლისურენოვანი) სადოქტორო როგრამა	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
მედიახელოვნება/ციფრული მედიის (ინგლისურენოვანი) სადოქტორო როგრამა	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

### 1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი განსაზღვრულია. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი შედგება სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრისგან, შეროვებისა და ანალიზისგან.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

#### კლასტერული

#### კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიამ შეიმუშავა პროგრამული სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგია; პროცესი ითვალისწინებს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პირდაპირი და ირიბი მეთოდების გამოყენებას. შეფასების პერიოდულობა ყოველწლიურია, ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ შეფასების პერიოდულობა შეესაბამება სწავლის დონეს და სფეროს. თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესში მონაწილეობენ პროგრამის ხელმძღვანელები, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და პროგრამის აკადემიური პერსონალი. თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, აკადემიური და მოწვეული პერსონალი კარგად იცნობს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგიას და პროცესს, თუმცა, ინტერვიუების შედეგებმა აჩვენა, რომ მეტი ძალისხმევა საჭირო ამ პროცესში პროგრამის პერსონალის სრულად ჩართვისთვის, ასევე მათ მხარდასაჭერად, რომ განივითარონ სწავლის შედეგების შეფასებისთვის საჭირო უნარები; ამ საკითხს მოგვიანებით შევხებით.



კლასტერში შემავალი სამი პროგრამა ახალია და შესაბამისად, ახლად შემუშავებული პროგრამების სწავლის შედეგები ვერ განხორციელდებოდა, თუმცა დამატებით გამოვითხოვეთ არსებული პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების შედეგები, ისევე როგორც ინფორმაცია ამ შედეგების გამოყენების შესახებ. მოწოდებული იქნა სტუდენტების აკადემიური მოსწრების მონიტორინგის შედეგები, რომელიც ასევე მონიშნულია როგორც „სწავლის შედეგების შეფასება“. რამდენადაც დოკუმენტში მოცემულია ინფორმაცია სასწავლო კურსების შეფასების შესახებ, როგორც აღინიშნა, ეს უფრო მეტად არის სტუდენტის აკადემიური მოსწრების მონიტორინგის ანგარიში და არა პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება. ასევე, ეს თემა განვიხილეთ პროგრამის ხელმძღვანელებთან გასაუბრებისას და როგორც ამ შეხვედრიდან გაირკვა, შეფასება ჯერ არ ჩატარებულა.

კლასტერში დაჯგუფებული პროგრამებისთვის შემუშავებულია სასწავლო გეგმის რუკები, თუმცა მხოლოდ ერთი მითითებაა იმისა, თუ პროგრამის რომელი სწავლის შედეგის მიღწევას რომელი კონკრეტული სასწავლო კურსი უწყობს ხელს და არ არის მითითებული რა დონეზე უნდა მოხდეს ამ შედეგის მიღწევა. ზოგიერთ შემთხვევაში, კლასტერის შიგნით, დიზაინი არათანმიმდევრულია. მაგალითად, ფოტოგხელოვნების საბაკალავრო პროგრამა არ შეიცავს სასწავლო გეგმის რუკას, სხვა პროგრამებს, გარდა სადოქტორო პროგრამებისა, აქვს სასწავლო გეგმის რუკა სასწავლო კურსებისა და პროგრამის სწავლის შედეგებს შორის კავშირის მითითებით, თუმცა შედეგების მიღწევის დონის მითითების გარეშე. დაბოლოს, სადოქტორო პროგრამების სასწავლო გეგმის რუკა განსხვავებულია, სადაც მითითებულია მხოლოდ „ცოდნა, უნარები, ავტონომია და პასუხისმგებლობა“, და არა კონკრეტული სწავლის შედეგები. ასევე, პროგრამაში არ არის მითითებული სადოქტორო პროგრამების სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულები.

აღწერილი შეუსაბამობები საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებს შორის განხილული იქნა პროგრამის სამივე დონის განმახორციელებელ პერსონალთან გასაუბრების დროს და ამ გასაუბრებამ კიდევ ერთხელ დაადასტურა ის დასკვნა, რომ პერსონალმა კარგად არ იცის პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგია; უფრო მეტიც, მას მხოლოდ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ფუნქციად ხედავს.

პროგრამის სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულები აღწერილია საგანმანათლებლო პროგრამებში. თუმცა, ნიშნულები არ არის გამოხატული პროცენტული ან სხვა გაზომვადი მაჩვენებლით. პროგრამების სასწავლო კურსები მოცემულია სამიზნე ნიშნულებში; ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ამ საკითხის განხილვის შემდეგ დაზუსტდა, რომ სამიზნე ნიშნულად გამოყენებულია სასწავლო კურსების შეფასების ნორმალური განაწილება. თუმცა, პროგრამის სწავლის შედეგებისა და შეფასების პროცესის სამიზნე ნიშნულების შემუშავების ლოგიკის განხილვისას, პროგრამის პერსონალს არ გააჩნდა მკაფიო ხედვა, რაც გაამყარებდა იმ შთაბეჭდილებას, რომ პერსონალის ჩართულობის დონე და მათი უნარები და ცოდნა ამ პროცესში საჭიროებს მხარდაჭერასა და გაფართოებას.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების სისტემის სამომავლო განვითარების მიზნით, სასწავლო გეგმის რუკების გადახედვასა და განახლებასთან ერთად, გამოავლინეთ პირდაპირი და ირიბი შეფასების კონკრეტული მეთოდები და მათი სამიზნე ნიშნულები (ეს კვლავ შესაძლოა იყოს შეფასების ნორმალური განაწილება).

კლასტერში წარმოდგენილი ყველა საგანმანათლებლო პროგრამის მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო პრინციპი წარმოადგენს საგნების ჩამონათვალსა და დაუფლების შედეგს, რომელიც მოსალოდნელია მინიმალური ბარიერის გადალახვისას; საგანი დასტურდება საბოლოო ფინალური გამოცდით.

კლასტერში წარმოდგენილი პროგრამებისთვის მუშავდება ცალკეული საგნის შეფასების იგივე სისტემა, დასკვნითი ნაშრომი (100 ქულა) და სადიპლომო ნაშრომის შეფასება იყოფა ეტაპებად. გადაღებული ფოტო(ებ)ი და ბოლოს 20% (სავარაუდოდ, ამ ფოტოების ციფრული დამუშავება).



როგორც პროგრამის მიზნებისა და შედეგების შემთხვევაში, ასევე არსებობს ტერმინების არასწორად გამოყენების პრობლემა შეფასების სისტემაში - მაგალითად, სტუდენტის „ტექნიკური უნარები“, მათი უნარი იცოდნენ მათი გამოყენების პერსპექტივები და ტექნიკური მხარეები, და შეძლონ მათი გამოყენება მხატვრული იდეის განხორციელების პროცესში. ეს ორი ძალიან განსხვავებული რამ არის.

სამაგისტრო დონეზე, ფასდება როგორც პრაქტიკული, ისე თეორიული სამუშაო. დომინანტურია პრაქტიკული სამუშაო, რისთვისაც სტუდენტი ფასდება 60 ქულის ფარგლებში და დაწესებულია მინიმალური ზღვარი, რომელიც სტუდენტმა უნდა დაძლიოს. თეორიულ ნაწილში გათვალისწინებულია მხოლოდ 20 ქულა. სამაგისტრო პროგრამაში, ექსპერტთა აზრით, მეტი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს კვლევის კომპონენტს.

დოქტორანტურაში კი ცალკე სასწავლო პროცესის საგნების შეფასებას და საბოლოო საკვალიფიკაციო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმებს.

მიგვაჩნია, რომ დოქტორის ხარისხის მინიჭების პროცედურა საკმაოდ მარტივია. დისერტაციის დაცვამდე აუცილებელია სხვადასხვა პროცედურის გავლა, მათ შორის შეფასების კუთხით.

ზოგადად, სწავლის შედეგების შეფასების სისტემა და პერიოდულობა ითვალისწინებს სპეციალობისა და სწავლის დონის სპეციფიკას, მოიცავს შეფასების ადეკვატურ ფორმებსა და მეთოდებს (შეფასების პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდები), რომლებიც საშუალებას იძლევა განისაზღვროს, აღწევენ თუ არა სტუდენტები საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებს, აქვს თუ არა პროგრამას სამიზნე ნიშნულები თითოეული სასწავლო შედეგისთვის;

#### **მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები;
- ფოტოხელოვნების საბაკალავრო პროგრამა:
- გრაფიკული დიზაინის საბაკალავრო პროგრამა:
- მედია ხელოვნება/ციფრული მედია, სამაგისტრო პროგრამა (ქართულენოვანი):
- მედია ხელოვნება/ციფრული მედია, სამაგისტრო პროგრამა (ინგლისურენოვანი):
- მედია ხელოვნება/ციფრული მედია, სადოქტორო პროგრამა (ქართულენოვანი):
- მედია ხელოვნება/ციფრული მედია, სადოქტორო პროგრამა (ინგლისურენოვანი):

#### **კლასტერის საერთო რეკომენდაციები:**

უსდ-მ უზრუნველყოს პროგრამის პერსონალის ჩართულობა პროგრამის სწავლის შედეგების მეთოდების შემუშავებაში და შედეგების შეფასებაში; მხარი დაუჭიროს მათ პროცესისთვის აუცილებელი უნარებისა და ცოდნის გამომუშავებაში.

გადაიხედოს პროგრამების სასწავლო გეგმის რუკები; რუკებზე დაყრდნობით, შემუშავდეს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა, შეფასების კონკრეტული პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდების მითითებით, რომლებიც დაზუსტებული უნდა იყოს თითოეული პროგრამისთვის, სპეციალობის სპეციფიკისა და მათი სამიზნე ნიშნულების გათვალისწინებით. უზრუნველყოფილ იქნას პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება. ამ პროცესში ტერმინოლოგია უკეთესად უნდა იყოს ასახული და მოწესრიგებული;

გამოყენებული უნდა იყოს აუდიოვიზუალური ხელოვნებისთვის დამახასიათებელი ტერმინოლოგია, რადგან ახლა ის ზედმეტად ზოგადია;

**კლასტერის საერთო რჩევები:**

**სახელოვნებო სადოქტორო ნაშრომი/კვლევა** საქართველოში უკვე ოფიციალურად არის აღიარებული, თუმცა აკადემიური ცხოვრებისა და კულტურული სფეროს ყველა ასპექტში ფაქტობრივი აღიარება ჯერ კიდევ მისაღწევია, რაც დაწესებულებამ იცის და ცდილობს ამაში წვლილი შეიტანოს. ამისთვის ექსპერტთა ჯგუფი გვთავაზობს უფრო სტრატეგიულ და ენერგიულ მიდგომას, ვინაიდან თსსა არის ხელოვნების მთავარი ეროვნული აკადემია და, შესაბამისად, პასუხისმგებელია ასეთ პროგრესსა და აღიარებაზე.

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი 1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
ფოტოხელოვნების საბაკალავრო პროგრამა	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
გრაფიკული დიზაინის საბაკალავრო პროგრამა	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
მედიახელოვნება/ციფრული მედიის საბაკალავრო პროგრამა	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
მედიახელოვნება/ციფრული მედია, სამაგისტრო პროგრამა (ქართულენოვანი):	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
მედიახელოვნება/ციფრული მედია, სამაგისტრო პროგრამა (ინგლისურენოვანი):	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
მედიახელოვნება/ციფრული მედიის (ინგლისურენოვანი) სადოქტორო როგრამა	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
მედიახელოვნება/ციფრული მედიის (ინგლისურენოვანი) სადოქტორო როგრამა	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

**1.4. საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი**

➤ პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.

➤ პროგრამის სტრუქტურა თანამიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს

პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

#### კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

#### კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ქართული/მსოფლიო ხელოვნების ისტორია როგორც კურსი პრობლემური აღმოჩნდა ბევრი სტუდენტისთვის, რადგან "ძირითადად ასწავლიან არქიტექტურის ისტორიას", რაც არ არის რელევანტური მედია ხელოვნების სფეროებისთვის.

#### ერთობლივი აღწერა და ანალიზი პროგრამა 1, 2 და 3: ფოტოხელოვნების საბაკალავრო პროგრამა; გრაფიკული დიზაინის საბაკალავრო პროგრამა; მედია ხელოვნება/ციფრული მედიის საბაკალავრო პროგრამა:

საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა ერთი და იგივეა ყველა საბაკალავრო პროგრამისთვის. პრობლემას იმაში ვხედავთ, რომ ბაკალავრიატის სტუდენტებს, რომელთა საქმიანობის სფეროც კინოსა და ტელევიზიას ეხება, წარმოდგენა არ აქვთ მის სპეციფიკაზე, სასწავლო გეგმაში მთავარი ადგილი უკავია სახვით ხელოვნებას, რაც არის საბაზისო, ხოლო სარეკლამო ფოტოგრაფია, მედია ხელოვნება და გრაფიკული დიზაინი არის სპეციალობები, რომლებიც ძირითადად მუშავდება შემოქმედებით ჯგუფში. თანამედროვე აუდიოვიზუალური ხელოვნების სპეციფიკის ცოდნის გარეშე, სტუდენტები, ექსპერტთა ჯგუფის აზრით, ვერ შეძლებენ სწრაფად ორიენტირებას შრომის ბაზარზე. თვითშეფასების ანგარიში (SER), თანდართული დოკუმენტები და ადგილზე ვიზიტი.

ამ უსდ-ს საბაკალავრო პროგრამა გათვლილია, როგორც წესი, 240 ECTS-ზე, საიდანაც პროგრამის სპეციალიზაციის დისციპლინებია 150 ECTS, ხოლო მედია ხელოვნება/ციფრული მედია სპეციალიზაცია, რომელიც შედგება სამი განსხვავებული მოდულისგან, მოიცავს ასევე 120+30=150 ECTS კრედიტს. პროგრამა შეიცავს საბაზისო 18 კრედიტს, (აქედან 12 არჩევითი ძირითადი საგანი) საუნივერსიტეტო საგნები - 36 ECTS (აქედან 24 ECTS ძირითადი არჩევითი საგანი) და არჩევითი საგნები 24 ECTS (აქედან 12 ECTS ეთმობა ინგლისური ენის შესწავლას).

#### აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 ფოტოხელოვნების საბაკალავრო პროგრამა:

ამ საგანმანათლებლო პროგრამის დაუფლების შედეგების პირველ პუნქტში ნათქვამია, რომ სტუდენტმა უნდა შეისწავლოს ფოტოგრაფიის ისტორია და მისი საფუძვლები, ეს შედეგი მიიღწევა პრაქტიკის პროგრამის მითითებით, პრაქტიკული საგნებით, რომელიც მოიცავს ფოტოგრაფიული აღჭურვილობისა და გადაღების მეთოდების შესწავლას, სივრცის ორგანიზებას და რეფლექსიის სხვა მეთოდებს, მაგრამ არა ფოტოგრაფიის ისტორიას. ასევე, როდესაც ჩვენ (ექსპერტებმა, დისკუსიებში) აღვნიშნეთ, რომ აუცილებელია გამოსახულების ფერის, ხაზის, კომპოზიციის და პერსპექტივის კანონების შესწავლა, წამოიჭრა შემდეგი პრობლემა: რამდენადაც ფოტოგრაფია აუდიოვიზუალური ხელოვნების განშტოებაა, რომლის ჩამოყალიბებაში ტექნიკურმა პროგრესმა და ფიზიკის, ქიმიისა და ოპტიკის განვითარებამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა, მან ბევრი რამ ისესხა სახვითი ხელოვნებისგან, თუმცა სახვითი ხელოვნების მსგავსად, ფოტოგრაფია რეალობიდან ქმნის საკუთარ ნიმუშებს. ბრტყელ სივრცეზე სამგანზომილებიანი სივრცის შექმნა ერთია; ხოლო მეორე არის სამგანზომილებიანი სივრცის ორგანიზება ისე, რომ მოცულობა არ დაიკარგოს. ვიზუალური ხელოვნება არის აუდიოვიზუალური ხელოვნების წინაპარი, რომლის ტექნიკა მნიშვნელოვნად შეიცვალა ტექნოლოგიების გავლენით, რაც უნდა აისახოს პროგრამაში.

ფოტოხელოვნების საბაკალავრო პროგრამა არ მოიცავს ყველა იმ საგანს და მიმართულებას, რომლის შინაარსი ძალიან მნიშვნელოვანია აღნიშნული სფეროსთვის და ამავდროულად დაეხმარება პროგრამას

მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევაში. მაგ.: Adobe Camera Raw, Portrait Retouching, Product Retouching, Fashion Retouching, Color Correction, Photomanipulation, Adobe Lightroom, Adobe Bridge და სხვა. პროგრამაში შემავალი კურსის „2D რასტრული გრაფიკა“ მიზანია „გააცნოს სტუდენტებს რასტრული გრაფიკული პროგრამა Adobe Photoshop“. სილაბუსის მიხედვით, ის ძალიან ზედაპირულია და არ იძლევა შესაძლებლობას, სტუდენტს ასწავლოს ფოტოხელოვანისთვის საჭირო ხელსაწყოები. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, პროგრამის სპეციალობის დისციპლინები მოიცავს ისეთ საგნებს, რომელთა არსებობა არ აისახება სწავლის შედეგებში, მაგ.: ვიდეო მონტაჟი, აუდიო დიზაინი, მოძრავი გამოსახულების სიუჟეტური კვლევა, კვალიფიცირებული ხმის დიზაინი, ტიპოგრაფია, ქართული ანბანი ურბანულ გარემოში.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ დამსაქმებლებმა ნათლად განმარტეს, რომ არც ერთი მათგანი არ იყო ინფორმირებული ამ საგნების არსებობის ან არარსებობის შესახებ. ანუ მათ არ მიუღიათ მონაწილეობა პროგრამის საბოლოო ვერსიის შემუშავებაში, რაც ძალიან დიდ მინუსად მიგვაჩნია. გარდა ამისა, დამსაქმებლები, მათ შორის ფოტოხელოვნების პროგრამის ხელმძღვანელი შეთანხმდნენ, რომ პროგრამისთვის ძალიან მნიშვნელოვანია კომპიუტერული და პრაქტიკული უნარების სინთეზი და შემოთავაზებული საგნები ნამდვილად საჭიროა პროგრამის მიერ დასახული მიზნების მისაღწევად. ასევე ძალიან ბუნდოვანი და გაუგებარია რა განსხვავებაა სპეციალობის დისციპლინებში არსებულ საგნებს შორის, რომელთა შინაარსი ხშირად ემთხვევა ერთმანეთს და მეორდება სილაბუსებში, მაგ. თავისუფალი პროექტი, თავისუფალი/თემატური პროექტი - მსგავსი შინაარსი წერია სილაბუსებში, როგორც მიზნებსა და შედეგებში, ასევე საგნების შინაარსობრივ ბადეში. პროგრამის სხვა საგნები, რომლებიც ასევე მეტ-ნაკლებად შეესაბამება სპეციალობის დისციპლინებს, უნდა გადავიდეს სულ მცირე არჩევითი საგნების განყოფილებაში. პოლიგრაფიული დიზაინი, შესავალი ადვერტოლოგიაში, ადვერტოლოგიის საფუძვლები, კომპოზიცია და რეკლამა ექსტერიერში, კომპოზიცია და რეკლამა ინტერიერში.

#### **აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 გრაფიკული დიზაინის საბაკალავრო პროგრამა:**

**გრაფიკული დიზაინის საბაკალავრო პროგრამაში** ლოგიკურად არის დაფარული დისციპლინები, სასწავლო სილაბუსები კი შეესაბამება პროგრამის შინაარსს. მთავარი პრობლემა, სადაც პროგრამის მიმდინარეობა შეიძლება გართულდეს, არის ტექნიკური ბაზა, რაც გულისხმობს შესაბამისი ტექნიკის შექმნას და ფლობას. თუმცა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გასაუბრებისას ითქვა, რომ ინვენტარიზაციის განახლება დაწყებული პროცესია და შესყიდვა ეტაპობრივად ხდება. რაც შეეხება პროგრამის კურსდამთავრებულებს, ისინი უკვე კარგად მოერგნენ ბაზარს და მათი ცოდნა დამაკმაყოფილებელი აღმოჩნდა. უნდა ვივარაუდოთ, რომ სამხატვრო აკადემიას ჰყავს თეორეტიკოსებისა და პრაქტიკოსების გუნდი, რომლებიც ჩართული არიან პროგრამის შემუშავებაში და მის შესაბამისობაში. საგულისხმოა, რომ პროგრამას, უსდ-ს აქვს სივრცეები, რომელიც გეხმარება დარგობრივი შეხვედრების გამართვასა და დარგის სწორად აღქმაში. პროგრამაში ჩართული სტუდენტებისთვის საჭიროა ტექნიკური გადამზადება და განახლება. და ყველაზე მნიშვნელოვანია სტუდენტური პრაქტიკის განხორციელება სხვადასხვა ორგანიზაციებში, დარგის შესაბამისად, რაც ერთგვარად მისცემს სტუდენტს მიღებული ცოდნის რეალიზების საშუალებას. პოტენციურ დამსაქმებლებთან ასეთი თანამშრომლობა გაუადვილებს სტუდენტებს სამსახურის პოვნას და ამავდროულად მათ სასწავლო პროცესის სიღრმისეულ ხედვას მისცემს.

#### **აღწერა და ანალიზი პროგრამა 4, 5 მედიახელოვნება/ციფრული მედიის სამაგისტრო პროგრამა (ქარ)(ინგ):**

მედიახელოვნების სამაგისტრო პროგრამა ძირითადად შედგება პრაქტიკული საგნებისგან და პედაგოგიური სეგმენტისგან. კურსები დაყოფილია ოთხ ბლოკად: ძირითადი, საბაკალავრო, სპეციალობის და არჩევითი, რომლის ფარგლებშიც სტუდენტები სწავლობენ თავიანთ სპეციალობის ძირითად - სპეციალიზებულ პროგრამებს. პროგრამას აქვს მიზნობრივი შეფასებები. მიზნობრივ შეფასებებში, ისევე როგორც სხვა პროგრამებში, არ არსებობს შეზღუდვა ქულაზე, რომელიც სტუდენტმა უნდა გადალახოს. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ მხოლოდ ესე და პედაგოგიკა არ არის საკმარისი მაგისტრატურისთვის, ანუ კვლევის ელემენტის გაზრდა საჭირო და აქაც, ისევე როგორც საბაკალავრო პროგრამაში, შეინიშნება

აუდიოვიზუალური ხელოვნების დარგის სპეციფიკის შესაბამისი ცოდნის ნაკრების ნაკლებობა, რაც სტუდენტებს აუცილებლად სჭირდებათ. პროგრამის შინაარსი, მოცულობა და სირთულე დიდწილად შეესაბამება განათლების დონეს; პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ECTS - კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის შესაბამისად; პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა დიდწილად შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას,

**აღწერა და ანალიზი პროგრამა 6: მედია ხელოვნება/ციფრული მედიის სადოქტორო პროგრამა (ქართულენოვანი):**

**დისკუსიების დროს საკმარისად ვერ გაირკვა, თუ რატომ იქნა გამოყენებული მხოლოდ გაერთიანებული სამეფოს 7 საგანმანათლებლო პროგრამა** და არცერთი სხვა პროგრამა ევროკავშირიდან ან აშშ-დან ან სხვა ქვეყნიდან, სადოქტორო პროგრამის სტრუქტურის შემუშავებისას; როგორც ჩანს, 2019 წლიდან სადოქტორო პროგრამა რამდენჯერმე განვითარდა, დაარსების დღიდან მხოლოდ 4 დოქტორის გამოშვების შემდეგ (სწავლებაში 15 კრედიტით და 5 არჩევითი კრედიტით, პროგრამას შესაძლოა ჰქონდეს ფოკუსირების ნაკლებობა შესაბამის კომპეტენციებზე). პროგრამის ხელმძღვანელები ირწმუნებიან, რომ ეს მეტად ღია სტრუქტურა, რომელსაც შინაარსობრივად ნაკლები სასწავლო კურსი აქვს, ბევრად უკეთესია სადოქტორო პროგრამის სტუდენტებისთვის - თუმცა ეს არ დადასტურდა დამსაქმებლების მიერ.

**სასწავლო კურსებისთვის, 15+5 ECTS ფორმულა დოქტორანტურაში** როგორც ჩანს, შენარჩუნებულია იმ მინიმუმზე, რაც დაშვებულია პროგრამის განახლების შემდეგაც, და შეიძლება გონივრული იყოს ამ მხრივ ეტაპობრივი ზრდა. დაევშვათ „კოლოკვიუმი“ რომ ოფიციალურად სავალდებულო ორნაწილიანი კურსი გახდეს ან სხვაგვარად მოხდეს მენტორობისა და სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელობის ძირითადი ეტაპების ფორმალიზება ან სხვაგვარად უზრუნველყოს ექსპერტული ცოდნა შერჩეულ კვლევით დარგებში.

დამსაქმებლები აცხადებდნენ, რომ საჭიროა მაღალი დონის ცოდნა, განსაკუთრებით ახალი ტექნოლოგიების ფონზე, რომელიც იპყრობს მედიახელოვნების სფეროს და რომ ასეთმა სადოქტორო პროგრამამ ხელი უნდა შეუწყოს ან მინიმუმ კარგად მოახდინოს სტუდენტების ორიენტირება ამ სფეროში, შესაძლოა ლექციებისა და სემინარების მსგავს უფრო მოკლე ფორმატებში). დამსაქმებლები თვლიან, რომ ეს კურსდამთავრებულები უნდა დასაქმდნენ ხელმძღვანელ თანამდებობებზე მედია ხელოვნების ფართო სფეროში.

სადოქტორო სწავლებას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს როგორც სამეცნიერო და პედაგოგიურ კომპონენტში, ასევე პრაქტიკულ სწავლებაში. ჩამოთვლილი საკვლევი თემები ძირითადად მოიცავს კინოსა და ტელევიზიას და არ ვრცელდება იმდენად თანამედროვე ხელოვნებაზე ან ახალ/ინტერმედია სფეროებზე, რაც მოსალოდნელია მედია ხელოვნების პროგრამისგან. ექსპერტთა ჯგუფისთვის გაუგებარია, როგორ შეუძლია სტუდენტს ამ სფეროების კვლევა, თუ მას არ აქვს მიღებული ცოდნა ამ სფეროებში. რამდენად საკმარისი იქნება ბაკალავრიატის საფეხურზე ამ მიმართულებით მიღებული მიმოფანტული ცოდნა?! ზოგადად, როცა პროგრამა მიზნად ისახავს მკვლევარი მეცნიერის მომზადებას, კვლევის კომპონენტი პროცენტული გამოთვლის შედეგად უნდა იყოს 30%; ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ ეს ძალიან ცოტაა. ამასთან, პროგრამის 50% განკუთვნილია პრაქტიკული სამუშაოსა და ექსპერიმენტებისთვის. ეს გაანგარიშება ეჭვქვეშ აყენებს მაღალი დონის მკვლევარის განათლებას, რომლის კვლევა დოქტორანტურაში დომინანტური უნდა იყოს.

**აღწერა და ანალიზი პროგრამა 7: მედია ხელოვნება/ციფრული მედიის სადოქტორო პროგრამა (ინგლისურენოვანი):**

**დისკუსიების დროს საკმარისად ვერ გაირკვა, თუ რატომ იქნა გამოყენებული მხოლოდ გაერთიანებული სამეფოს 7 საგანმანათლებლო პროგრამა** და არცერთი სხვა პროგრამა ევროკავშირიდან ან აშშ-დან ან სხვა ქვეყნიდან, სადოქტორო პროგრამის სტრუქტურის შემუშავებისას; როგორც ჩანს, 2019 წლიდან სადოქტორო პროგრამა რამდენჯერმე განვითარდა, დაარსების დღიდან მხოლოდ 4 დოქტორის გამოშვების

შემდეგ (სწავლებაში 15 კრედიტით და 5 არჩევითი კრედიტით, პროგრამას შესაძლოა ჰქონდეს ფოკუსირების ნაკლებობა შესაბამის კომპეტენციებზე). პროგრამის ხელმძღვანელები ირწმუნებიან, რომ ეს მეტად ღია სტრუქტურა, რომელსაც შინაარსობრივად ნაკლები სასწავლო პროგრამები აქვს, ბევრად უკეთესია სადოქტორო პროგრამის სტუდენტებისთვის - თუმცა ეს არ დადასტურდა დამსაქმებლების მიერ. **სასწავლო კურსებისთვის, 15+5 ECTS ფორმულა დოქტორანტურაში** როგორც ჩანს, შენარჩუნებულია იმ მინიმუმზე, რაც დაშვებულია პროგრამის განახლების შემდეგაც, და შეიძლება გონივრული იყოს ამ მხრივ ეტაპობრივი ზრდა. დავუშვათ „კოლოკვიუმი“ რომ ოფიციალურად სავალდებულო ორნაწილიანი კურსი გახდეს ან სხვაგვარად მოხდეს მენტორობისა და სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელობის ძირითადი ეტაპების ფორმალიზება ან სხვაგვარად უზრუნველყოთ ექსპერტული ცოდნა შერჩეულ კვლევით დარგებში. (დამსაქმებლები აცხადებდნენ, რომ საჭიროა მაღალი დონის ცოდნა, განსაკუთრებით ახალი ტექნოლოგიების ფონზე, რომელიც იპყრობს მედიახელოვნების სფეროს და რომ ასეთმა სადოქტორო პროგრამამ ხელი უნდა შეუწყოს ან მინიმუმ კარგად მოახდინოს სტუდენტების ორიენტირება ამ სფეროში, შესაძლოა ლექციებისა და სემინარების მსგავს უფრო მოკლე ფორმატებში). დამსაქმებლები თვლიან, რომ ეს კურსდამთავრებულები უნდა დასაქმდნენ ხელმძღვანელ თანამდებობებზე მედია ხელოვნების ფართო სფეროში.

სადოქტორო სწავლებას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს როგორც სამეცნიერო და პედაგოგიურ კომპონენტში, ასევე პრაქტიკულ სწავლებაში. ჩამოთვლილი საკვლევი თემები ძირითადად მოიცავს კინოსა და ტელევიზიას და არ ვრცელდება იმდენად თანამედროვე ხელოვნებაზე ან ახალ/ინტერმედია სფეროებზე, რაც მოსალოდნელია მედია ხელოვნების პროგრამისგან. ექსპერტთა ჯგუფისთვის გაუგებარია, როგორ შეუძლია სტუდენტს ამ სფეროების კვლევა, თუ მას არ აქვს მიღებული ცოდნა ამ სფეროებში. საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა ერთნაირია ყველა საბაკალავრო პროგრამისთვის. პრობლემას იმაში ვხედავთ, რომ ბაკალავრიატის სტუდენტებს, რომელთა საქმიანობის სფეროც კინოსა და ტელევიზიას ეხება, წარმოდგენა არ აქვთ მის სპეციფიკაზე, სასწავლო გეგმაში მთავარი ადგილი უკავია სახვით ხელოვნებას, რაც არის საბაზისო, ხოლო სარეკლამო ფოტოგრაფია, მედიახელოვნება და გრაფიკული დიზაინი არის სპეციალობები, რომლებიც ძირითადად მუშავდება შემოქმედებით ჯგუფში. თანამედროვე აუდიოვიზუალური ხელოვნების სპეციფიკის ცოდნის გარეშე, სტუდენტები, ექსპერტთა ჯგუფის აზრით, ვერ შეძლებენ სწრაფად ორიენტირებას შრომის ბაზარზე. თვითმეფასების ანგარიში (SER), თანდართული დოკუმენტები და ადგილზე ვიზიტი. საკმარისი იქნება თუ არა ამ მიმართულებით ბაკალავრიატის საფეხურზე მიღებული მიმოგანტული ცოდნა დოქტორანტურაში შესასვლელად?! ზოგადად, როცა პროგრამა მიზნად ისახავს მკვლევარი მეცნიერის მომზადებას, კვლევის კომპონენტი პროცენტული გამოთვლის შედეგად უნდა იყოს 30%; ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ ეს ძალიან ცოტაა. ამასთან, პროგრამის 50% განკუთვნილია პრაქტიკული სამუშაოსა და ექსპერიმენტებისთვის. ეს გაანგარიშება ექვევემ აყენებს მაღალი დონის მკვლევარის განათლებას, რომლის კვლევა დოქტორანტურაში დომინანტური უნდა იყოს.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- გასაუბრებები;
- სილაბუსები და პროგ. დოკუმენტები.

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:**

გაიზარდოს სამაგისტრო პროგრამებში კვლევითი სამუშაოს მნიშვნელობა;

**კლასტერის საერთო რჩევები:**



აკადემიამ უნდა გადახედოს თეორიულ და ისტორიულ კურსებს, პროგრამებისა და სასწავლო გეგმების მიხედვით, ისე, რომ ისინი რეალურად ასახავდნენ მედიახელოვნების სფეროს რეალობას და აქტუალურობას;

დაინერგოს სასწავლო გეგმის შემუშავების პროცესის სტრუქტურირებული მიდგომა (სილაბუსების აგება), რომელიც ასევე მოიცავს მეთოდოლოგიურ/დიდაქტიკურ მხარდაჭერას. ოფიციალური სახე მიეცეს და გახდეს სრულად გამჭვირვალე (ასევე, სრულად გასაგები როგორც დაინტერესებული მხარეებისთვის, განსაკუთრებით სტუდენტებისა და დამსაქმებლებისთვის) ის მონაცემები, რომელთა საფუძველზეც ხდება პროგრამის შემუშავება და/ან ცვლილება.

ტექნიკის სწავლა პროგრამული უზრუნველყოფის საბაზისო უნარების თვალსაზრისით უნდა იყოს მინიმუმამდე დაყვანილი (რადგან ამის სწავლა შესაძლებელია ონლაინ) და დიდწილად განვითარდეს აკადემიურ და კრეატიულ დონეზე, სტუდენტის ინდივიდუალურ შემოქმედებით პოტენციალსა და კომპეტენციაზე ხაზგასმით;

#### რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

##### პროგრამა 1: "ფოტოხელოვნების" საბაკალავრო პროგრამა

##### რეკომენდაციები:

- პროგრამას უნდა დაემატოს ფოტოგრაფიის ისტორია და ხელოვნება;
- რეკომენდებულია, პროგრამის საგნების ბადაე გადაიხედოს და შევიდეს მასში ცვლილებები, პროგრამის სწავლის შედეგებისა და ამოცანების გათვალისწინებით.
- რეკომენდებულია, რომ დამსაქმებლები იყვნენ სათანადოდ ინფორმირებულები და მონაწილეობა მიიღონ პროგრამის შემუშავებაში;

##### რჩევები:

- რეკომენდებულია, გადაიხედოს და დაკონკრეტდეს შემდგომი საგნების სწავლის შედეგები, მიზნები და შინაარსი: „თავისუფალი პროექტი, „თავისუფალი პროექტი/თემატური“;
- რეკომენდებულია, რომ ჩამოთვლილი საგნები გადაიტანოთ არჩევით განყოფილებაში: „პოლიგრაფიული დიზაინი“, „შესავალი ადვერტოლოგიაში“, „ადვერტოლოგიის საფუძვლები“, „კომპოზიცია და რეკლამა ექსტერიერში“, „კომპოზიცია და რეკლამა ინტერიერში“;

## **პროგრამა 2: "გრაფიკული დიზაინის" საბაკალავრო პროგრამა**

### **რეკომენდაციები:**

**რჩევები:** დაბალანსდეს სასწავლო გეგმა ისე, რომ ნაკლებად დატვირთული იყოს გრაფიკული დიზაინერის შეფუთვის დიზაინის ნაწილით, რამეთუ შეფუთვა (ქაღალდით), ნაკლებად დომინანტური იქნება გრაფიკული დიზაინერის მომავალ საქმიანობაში.

## **პროგრამა 3: "მედიახელოვნება/ციფრული მედიის" საბაკალავრო პროგრამა**

### **რეკომენდაციები:**

აუცილებელია პროგრამაში ვიზუალური ხელოვნების ისტორიის ნაწილის შემცირება და აუდიოვიზუალური ხელოვნების ისტორიით ჩანაცვლება.

დაკონკრეტდეს, რომ პროგრამის სახელწოდება „მედია ხელოვნება“, რეალურად „შემოქმედებით ინდუსტრიებს“ უკავშირდება დასაქმების ქართულ რეალობაში, სულ მცირე ისე როგორც ეს ასახულია პროგრამის შესავალ ნაწილებში (განსაკუთრებით, საჯარო ინფორმაციაში).

### **რჩევები:**

## **პროგრამა 4: მედია ხელოვნება/ციფრული მედია, სამაგისტრო პროგრამა (ქართულენოვანი):**

### **რეკომენდაციები:**

სამაგისტრო პროგრამაში შესწავლილი უნდა იყოს აუდიოვიზუალური რეჟისურის საფუძვლები და მონტაჟის ძირითადი პრინციპები, რათა სტუდენტმა მიიღოს სასურველი შედეგი და განივითაროს სასურველი უნარ-ჩვევები.

### **რჩევები:**

დაკონკრეტდეს, რომ პროგრამის სახელწოდება „მედია ხელოვნება“, რეალურად უკავშირდება „შემოქმედებით ინდუსტრიებს“ დასაქმების ქართულ რეალობაში, სულ მცირე ისე, როგორც ეს ასახულია პროგრამის შესავალ ნაწილებში (განსაკუთრებით საჯარო ინფორმაციაში);

## **პროგრამა 5: მედია ხელოვნება/ციფრული მედია, სამაგისტრო პროგრამა (ინგლისურენოვანი):**

### **რეკომენდაციები:**

მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს თანამედროვე ხელოვნების ისტორიას და უახლეს ტენდენციებსა და ტექნოლოგიებს.

### **რჩევები:**



დაკონკრეტდეს, რომ პროგრამის სახელწოდება „მედია ხელოვნება“, რეალურად უკავშირდება „შემოქმედებით ინდუსტრიებს“ დასაქმების ქართულ რეალობაში, სულ მცირე ისე, როგორც ეს ასახულია პროგრამის შესავალ ნაწილებში (განსაკუთრებით საჯარო ინფორმაციაში). ეს უსდ-ს თავიდან აარიდებს გაუგებრობას - განსაკუთრებით საერთაშორისო აბიტურიენტებისთვის;

**პროგრამა 6: "მედიახელოვნება/ციფრული მედიის" (ინგლისურენოვანი) სადოქტორო პროგრამა**

**რეკომენდაციები:**

სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტი გაიზარდოს და გახდეს დასაქმებისთვის უფრო მეტად შესაბამისი, ხელმძღვანელობის ნაწილი გახდეს უფრო მეტად გამჭვირვალე.

უნდა გაიზარდოს პროგრამის კვლევითი კომპონენტი.

**რჩევები:**

უსდ-მ განიხილოს სწავლებადი კურსების ეტაპობრივი ზრდა, დავუშვათ „კოლოკვიუმი“ რომ ოფიციალურად სავალდებულო ორნაწილიანი კურსი გახდეს ან სხვაგვარად მოხდეს მენტორობისა და სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელობის ძირითადი ეტაპების ფორმალიზება ან სხვაგვარად იქნას უზრუნველყოფილი ექსპერტული ცოდნა შერჩეულ კვლევით დარგებში.

დაკონკრეტდეს, რომ პროგრამის სახელწოდება „მედია ხელოვნება“, რეალურად უკავშირდება „შემოქმედებით ინდუსტრიებს“ დასაქმების ქართულ რეალობაში, სულ მცირე ისე, როგორც ეს ასახულია პროგრამის შესავალ ნაწილებში (განსაკუთრებით საჯარო ინფორმაციაში)

**პროგრამა 7: "მედიახელოვნება/ციფრული მედიის" (ინგლისურენოვანი) სადოქტორო პროგრამა**

**რეკომენდაციები:**

სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტი გაიზარდოს და გახდეს დასაქმებისთვის უფრო მეტად შესაბამისი, ხელმძღვანელობის ნაწილი გახდეს უფრო მეტად გამჭვირვალე.

უნდა გაიზარდოს პროგრამის კვლევითი კომპონენტი.

**რჩევები:**

განიხილეთ სწავლებადი კურსების ეტაპობრივი ზრდა, დავუშვათ „კოლოკვიუმი“ რომ ოფიციალურად სავალდებულო ორნაწილიანი კურსი გახდეს ან სხვაგვარად მოხდეს მენტორობისა და სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელობის ძირითადი ეტაპების ფორმალიზება ან სხვაგვარად უზრუნველყოთ ექსპერტული ცოდნა შერჩეულ კვლევით დარგებში.

დაკონკრეტდეს, რომ პროგრამის სახელწოდება „მედიახელოვნება“, რეალურად უკავშირდება „შემოქმედებით ინდუსტრიებს“ დასაქმების ქართულ რეალობაში, სულ მცირე ისე, როგორც ეს ასახულია პროგრამის შესავალ ნაწილებში (განსაკუთრებით საჯარო ინფორმაციაში). ეს უსდ-ს თავიდან აარიდებს გაუგებრობას - განსაკუთრებით საერთაშორისო აბიტურიენტებისთვის;

## შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი 1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
ფოტოხელოვნების საბაკალავრო პროგრამა	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	X	<input type="checkbox"/>
გრაფიკული დიზაინის საბაკალავრო პროგრამა	<input type="checkbox"/>	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
მედიახელოვნება/ციფრული მედიის საბაკალავრო პროგრამა	<input type="checkbox"/>	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
მედიახელოვნება/ციფრული მედია, სამაგისტრო პროგრამა (ქართულენოვანი):	<input type="checkbox"/>	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
მედიახელოვნება/ციფრული მედია, სამაგისტრო პროგრამა (ინგლისურენოვანი):	<input type="checkbox"/>	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
მედიახელოვნება/ციფრული მედიის (ინგლისურენოვანი) სადოქტორო როგრამა	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	X	<input type="checkbox"/>
მედიახელოვნება/ციფრული მედიის (ინგლისურენოვანი) სადოქტორო როგრამა	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	X	<input type="checkbox"/>

### 1.5. სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

ზოგადად, კლასტერში, რამდენიმე კურსს აქვს მხოლოდ ინგლისურენოვანი სასწავლო მასალა და წიგნები, მაშინ როდესაც არ არსებობს ინგლისური ენის ცოდნის წინაპირობა (ამ კონკრეტულ დონეზე).

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1: ფოტოხელოვნების საბაკალავრო პროგრამა:**

ფოტოხელოვნების პროგრამაში წარმოდგენილი სასწავლო გეგმები დაყოფილია სამ ბლოკად - საბაზისოში ბლოკი ასევე იყოფა არჩევით და სავალდებულო ბლოკად, უმაღლესი განათლების საგნები იყოფა არჩევით და სავალდებულო ბლოკებად და სპეციალობის საგნებად. ძირითადი ბლოკის საგნები ხშირ შემთხვევაში ორიენტირებულია ხატვისა და სახვითი ხელოვნების შესწავლაზე. შეფასების კრიტერიუმები დეტალურად არის აღწერილი პროგრამებში, მაგრამ შედეგები არ არის ჩამოყალიბებული ცოდნისა და გაცნობიერების, უნარების, ავტონომიურობისა და პასუხისმგებლობის მიხედვით, ზოგიერთ პროგრამაში ისინი არც იყოფა და უმეტეს პროგრამებში საერთოდ არ არის ავტონომიურობა და პასუხისმგებლობა. მაგალითად, შემოქმედებითი ხატვა. საუნივერსიტეტო ყველა საგნიდან ეს საგანი, ძირითადად მოიცავს სახვითი ხელოვნების ისტორიას და არჩევით ბლოკში შედის მხოლოდ კინოს ისტორია, ამ ბლოკის შედეგები უფრო მოწესრიგებულია, შეფასების სისტემა ნათლად და დეტალურად არის გაწერილი ყველა სასწავლო გეგმაში, მაგრამ, მაგალითად, XVII-XIX საუკუნეების ევროპული ხელოვნების საგნის შინაარსი დეტალურად უნდა იყოს მოცემული კვირების მიხედვით, რასაც პედაგოგი აღწერს ამა თუ იმ ლექციაზე. ჩვენთვის გაუგებარია, რატომ არის "ხმის საინჟინრო დიპლომი" ჩართული ფოტოხელოვნების პროგრამაში და მიგვაჩნია, რომ ეს საგანი არაპერსპექტიულია ამ სპეციალობის სტუდენტებისთვის. სასწავლო კურსის ძირითადი თემის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს; თითოეული სასწავლო თემის შინაარსი შეესაბამება სასწავლო კურსის სწავლის შედეგებს; თითოეულ სასწავლო კურსზე გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა შეესაბამება სასწავლო კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს; საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების თანაფარდობა ადეკვატურია და ითვალისწინებს სასწავლო კურსის სპეციფიკას; საკონტაქტო საათების რაოდენობა შეესაბამება კურსის შინაარსს და სწავლის შედეგებს და კურსის თითოეული სწავლის შედეგის მიღწევა

ფასდება. სასწავლო პროგრამებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურისა და სხვა სასწავლო მასალის უმეტესობა შეესაბამება სასწავლო მასალას, კურსის შედეგებს და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას;

„პორტფოლიოს“ კურსის სილაბუსი აღწერს „საკუთარი ნაშრომების ფართო აუდიტორიის წინაშე წარდგენის ცოდნის მიღებას“, როგორც ორიდან ერთ-ერთ მიზანს, მაგრამ უნარების/ ცოდნისა და შეფასების ნაწილში ეს ნათლად ვერ მოიძებნება, ხოლო მეორე შედეგი "პორტფოლიოს შექმნის ტექნიკა და თეორია" კარგად არის გამყარებული. ფოტოხელოვნების პროგრამის ხელმძღვანელი აცხადებს, რომ ეს არის ძირითადი კომპეტენცია, დამსაქმებლებმა ასევე დაადასტურეს, რომ ეს არის უაღრესად მნიშვნელოვანი უნარი და იმ პროდუქტს წარმოადგენს, რომელზეც სასწავლო პროცესი უნდა იყოს ორიენტირებული.

„საკურსო ნაშრომის“ სილაბუსი ნაწილობრივ არათანმიმდევრულია მიზნებისა და მუშაობის მეთოდების თვალსაზრისით: გაუგებარია, როგორ მიიღწევა ეს მიზნები და რა ცოდნას შეიმუშავებს სტუდენტი მოცემულ კურსზე.

გრაფიკული დიზაინი (BFA)

„პორტფოლიოს“ კურსის სილაბუსი აღწერს „საკუთარი ნაშრომების ფართო აუდიტორიის წინაშე წარდგენის ცოდნის მიღებას“, როგორც ორიდან ერთ-ერთ მიზანს, მაგრამ უნარების/ ცოდნისა და შეფასების ნაწილში ეს ნათლად ვერ მოიძებნება, ხოლო მეორე შედეგი "პორტფოლიოს შექმნის ტექნიკა და თეორია" კარგად არის გამყარებული.

სხვადასხვა საგნის სილაბუსებში სალექციო ბადის შინაარსი ლექციიდან ლექციამდე მეორდება: მაგ.: „თავისუფალი პროექტი“, „თავისუფალი პროექტი/ თემა“; სარეკლამო და გამოსახულების ფოტოგრაფია. ასევე არის ისეთი საგნებიც, რომელთა სილაბუსები საერთოდ არ მოიძებნა, მაგ. არის ბუნდოვანი სილაბუსი „საკურსო ნაშრომი“, თუმცა ასევე არსებობს სილაბუსები „საკურსო ნაშრომი (პროექტი 1)“, „საკურსო ნაშრომი (პროექტი 2)“, „პრაქტიკა, პრაქტიკა (სტაჟირება)“

სხვადასხვა საგნის სილაბუსებში, სალექციო ბადის შინაარსი იკვეთება და ერთსა და იმავე თემებს მოიცავს, მაგ. ციფრული გამოცემა, გამომცემლობის დიზაინი.

„კომპოზიცია და რეკლამა ინტერიერში“, „კომპოზიცია და რეკლამა ექსტერიერში“; ორივე კურსს აქვს ზუსტად ერთ და იგივე მიზნები, ორივე კურსს აქვს ერთ და იგივე შედეგები. "კურსის დასრულების შემდეგ სტუდენტი ფლობს კომპოზიციური აზროვნების საფუძვლებს" - ეს შედეგი

ასევე ეხება იმ საგნებს, რომლებიც ამ ორივე საგნის წინაპირობაა, და, როგორც ჩანს, არ არის საჭირო.

„კომპოზიცია და რეკლამა ინტერიერში“ - პირველივე ლექციის მთავარი თემაა: "განმარტავს კომპოზიციის საფუძვლების თემას" - ამ საგანს წინაპირობად აქვს "კომპოზიციის საფუძვლები", რაც პარადოქსია და განმარტებასა და გასწორებას საჭიროებს.

კომპოზიცია და რეკლამა ექსტერიერში - პირველივე ლექცია იწყება სავიზიტო ბარათის შექმნის დავალებით. მეორე ლექცია ისევ სავიზიტო ბარათის შექმნაზეა, მესამე კი ლოგოს შექმნაზე - გარდა იმისა, რომ ლოგოს და სავიზიტო ბარათის შექმნას ექსტერიერთან არაფერი აქვს საერთო, ყველა ეს კომპონენტი უკვე ისწავლება სხვა საგნებში. დღეს ძალიან მაღალია გრაფიკული პროგრამების განვითარებისა და დახვეწის ტემპი. ამის გათვალისწინებით, სილაბუსებში ხშირად ვხვდებით მოძველებულ ინფორმაციას, რომლის აქტუალობა არ შეესაბამება დღევანდელ მოთხოვნებს. აუცილებელია სილაბუსების გადახედვა და ყველა საჭირო ცვლილების შეტანა დარგის განვითარებისა და პროგრამული უზრუნველყოფის გაუმჯობესებისთვის, მაგალითად:

„ვიდეო რედაქტირების“ სილაბუსში ვკითხულობთ - „ტიტულარული ფანჯარის (Title window) ინტერფეისი და მისი ინსტრუმენტები“ - არადა უკვე ორი წელია ტიტულარული ფანჯარა აღარ არსებობს და ნათელია, რომ მისი შესწავლა შეუძლებელია.

სასწავლო კურსი - უცხო ენაზე დაწერილი ლიტერატურა გამოიყენება სავალდებულო მასალად, თუმცა ინგლისური ენა არ არის ამ საგნების წინაპირობა და არც ინგლისური ენის გამოცდა ტარდება ბაკალავრიატის საფეხურზე მისაღებად. აქედან გამომდინარე, შეუძლებელია იმის გარანტია, რომ სტუდენტი სათანადოდ გამოიყენებს სასწავლო მასალას. საგნების სპეციფიკის გათვალისწინებით გასაგებია ქართულენოვანი ლიტერატურის სიმწირე და ამიტომ ინგლისურენოვანი წიგნები თუ მასალები შეიძლება დამხმარე ლიტერატურად და არა აუცილებლად სავალდებულო ლიტერატურად ჩაითვალოს.

გარდა ამისა, ზოგიერთი წიგნი ისეთი ძველია, რომ დღეს ამ წიგნების დახმარებით სწავლა შეუძლებელია. სავალდებულო ლიტერატურა მოიცავს გუგლის სურათების ძიებას, <https://www.pinterest.com/> <https://www.logodesignlove.com/> და მსგავს ინტერნეტ რესურსებს, რომელთა ზოგადი ხასიათი და არაკადემიური გამოსახულება არ უნდა გამოიყენებოდეს სავალდებულო მასალად. კურსის შესწავლის წინაპირობები: საგნების სილაბუსების მიხედვით



1	სასწავლო კურსის სახელწოდება	ბრენდის იდენტობა
2	სასწავლო კურსის საფეხური	ბაკალავრიატი
3	სემესტრი	მეხუთე
4	სრული ინფორმაცია ლექტორის/ ლექტორების შესახებ	მარიამ ჭიჭინაძე, თსსა მედიახელოვნების ფაკულტეტის პროფესორი M.: +995 577 44 60 36; E-Mail: <a href="mailto:maka.chichinadze@gmail.com">maka.chichinadze@gmail.com</a> საკონსულტაციო საათები: თსსა, მედიახელოვნების ფაკულტეტი, სემესტრულად, ცხრილთან მიმართებით - კვირაში 1 აკად/სთ. დამატებითი კონსულტაციის მიღება შესაძლებელია ელფოსტით
5	სასწავლო კურსის მიზნები	გრაფიკული დიზაინი ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიული დარგია. ბრენდის ვიზუალური იდენტობა სიმბოლური გამოხატულება ყველა იმ ინფორმაციისა, რაც უკავშირდება კომპანიას თუ პროდუქტს. ის მიზნად ისახავს ხაზი გაუსვას კომპანიის ინდივიდუალურ იმიჯს, წარმოაჩინოს მისი კონკურენტული უპირატესობები და გამოხატოს მისი ძირითადი ფასეულობები გრაფიკულ ენაზე.  კურსის მიზანია: სტუდენტი სწავლობს კონცეპტუალური აზროვნებას და ახდენს კლასიფიცირებას ინდივიდუალური შემოქმედებითი უნარის, განსაზღვრავს, ამუშავებს და პრაქტიკაში ახორციელებს თეორიულ ცოდნას.
6	კრედიტების რაოდენობა, მათ შორის საათების განაწილება სტუდენტის დატვირთვის შესაბამისად	<b>3 კრედიტი. 75 სთ. აქედან: 48 საკონტაქტო და 27 არასაკონტაქტო სთ.</b> 48 საკონტაქტო საათიდან: 43 სთ - ლექცია-პრაქტიკუმი; 2 სთ - შუალედური გამოკითხვა; 3 სთ - დასკვნითი გამოცდა არასაკონტაქტო 27 სთ-დან: სტუდენტი ემზადება ორი შუალედური გამოკითხვისთვის; ასრულებს ინდივიდუალურ დავალებას, ფიქრობს პროექტის კონცეფციაზე, ასრულებს ესკიზებს, სწავლობს ბაზარს, იკვლევს კონკურენტებს; ინტერნეტის საშუალებით იძიებს და ეცნობა სხვადასხვა აპორთა მიერ შისრულებულ საინტერისო მასალას



კომპოზიცია და რეკლამა ექსტერიერში				3			
				3			
შეფუთვის დიზაინის ვიზუალური კომუნიკაცია				3			
<b>ბრენდის იდენტობა</b>				<b>6</b>			
პოლიგრაფიული მაკეტი				3			
წიგნის გრაფიკული რეპროდუქცია				3			
ქართული ანბანი ურბანულ გარემოში				3			
ფერთა აღქმის ფსიქოლოგიური საფუძვლები გრაფიკული დიზაინისთვის				3			

საგნის სილაბუსში მოცემულია ზოგადი და ბუნდოვანი სალექციო თემები სტუდიური მუშაობისთვის სახელმძღვანელოს ცალკეული თავებისა და გვერდების მითითების გარეშე. გარდა ამისა, ის არ განასხვავებს პირველად და მეორად ლიტერატურას. აღნიშნულ ცხრილში რესურსების სია შედგება მხოლოდ ვებზომილებიდან, როგორცაა:

<https://www.pinterest.com/>

<https://www.logodesignlove.com/>

<https://www.logolounge.com/>

<https://www.pinterest.com/danielchoy/title-design/>

<https://www.artofthetitle.com/feature/top-five-chloe-okuno/>

<https://dribbble.com/tags/title%20design>

ეს ონლაინ რესურსები არასაკმარისია სასწავლო კურსის მიზნების მისაღწევად. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ კურსის მიზნები საკმაოდ ზოგადია და მეტ კონკრეტულობას მოითხოვს.

მოკლედ, აშკარაა, რომ საჭიროა სილაბუსების გაუმჯობესება. ეს გაუმჯობესება უნდა მოიცავდეს კურსის მიზნების უფრო მკაფიო რეგულირებას, ძირითად ლიტერატურაში მოძველებული სახელმძღვანელოების უფრო თანამედროვე სახელმძღვანელოებით ჩანაცვლებას და საკითხავ მასალაში კონკრეტული თავებისა და გვერდების მითითებებს. გარდა ამისა, თითოეული საგნისთვის დეტალური სასწავლო გეგმების არსებობა დიდად შეუწყობს ხელს სალექციო პროცესის დაგეგმვასა და უფრო ეფექტურ ორგანიზებას.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3: მედიახელოვნება/ ციფრული მედია (საბაკალავრო პროგრამა):



სარეჟისორო და დრამატურგის კურსებით, სილაბუსებიდან არ ჩანს, რა ცოდნა მიიღება კინოსა და ტელერეჟისურის საფუძველზე, მეტ-ნაკლებად ნათელია დრამატურგის შესწავლის მიმართულება, თუმცა აქაც პრობლემაა. კინოდრამატურგის საფუძვლები განსხვავდება თეატრის დრამატურგისგან. ჩნდება შეკითხვა თუ რამდენად არის საჭირო ეს ცოდნა კონკრეტულად ამ სპეციალობის ადამიანისთვის. საეჭვოა ინსტრუქტორის კვალიფიკაცია და პროფესიული გამოცდილება თეატრის რეჟისურის მიმართულებით. თეატრის რეჟისურა და აუდიო-ვიზუალური რეჟისურა ძალიან განსხვავდება ერთმანეთისგან.

უფრო მეტიც, ეს ორი საგანი გაერთიანებულია ერთ მიმართულებად, როდესაც საქმე აუდიო დიზაინის კურსს ეხება. ერთის მხრივ, მუსიკის ისტორია და სპეციფიკა, მეორე მხრივ, ტექნოლოგია. ეს არის აუდიო დიზაინის კურსი, რომელიც მოიცავს მხოლოდ მუსიკის ნაწილს და არა მთელ სპეციალობას. დასკვნით საკვალიფიკაციო ნაშრომში არის ცალკე შეფასება "ხმის" მიმართულებით, მიგვაჩნია, რომ ეს საგანი პროფესიონალურად უნდა ისწავლებოდეს. ფოტოხელოვნების პროგრამის მსგავსად, ეს ორი პროგრამა შედგება ძირითადი, საუნივერსიტეტო და სპეციალური საგნის ბლოკისგან. ძირითადი და საუნივერსიტეტო კლასების ფარგლებში ისინი იყოფა სავალდებულო და არჩევით ბლოკებად. სასწავლო გეგმის შედეგების შეფასება ზოგიერთ შემთხვევაში ისე ხორციელდება, რომ არ ხდება ცოდნის, გაცნობიერების, უნარების, ავტონომიურობისა და პასუხისმგებლობის გამოიჯენა.

ზოგადად, თითოეული სილაბუსი შეესაბამება სასწავლო გეგმის შინაარსს. სასურველია განახლდეს ლიტერატურა, განსაკუთრებით ტექნოლოგიის კურსებზე, რადგან აუდიოვიზუალური ხელოვნება დამოკიდებულია ტექნოლოგიურ პროგრესზე, რომელიც უფრო სწრაფი ტემპით წარმოაჩენს თავის ახალ მიღწევებს.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 4, 5:** მედიახელოვნება/ციფრული მედიის სამაგისტრო, ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამები; სამაგისტრო დონეზე წარმოდგენილი პროგრამები უპირატესად პრაქტიკული ხასიათისაა და ვინაიდან მაგისტრატურა გულისხმობს კვლევის კომპონენტის ზრდას, პროგრამებში ეს სეგმენტი შესაბამისად უნდა აისახოს, რაც თითქმის არცერთ სასწავლო გეგმაში არ არის ასახული. მიგვაჩნია, რომ ეს არის კვლევის კომპონენტების - თემების ან კურსების ნაკლებობა. სამაგისტრო პროგრამაში, სტუდენტი ქმნის ანიმაციურ ფილმს. მიგვაჩნია, რომ მაგისტრატურაში შესწავლილ საგნებში ამ შედეგის მიღწევა შეუძლებელია. ანიმაციური ჩანახატი, მოძრაობა, ანიმაციის ელემენტი „კატორი“ ასევე გამოიყენება მედია ხელოვნებაში და არა ფილმში, ფილმის შესაქმნელად საჭიროა რეჟისურა, რომელიც არ შედის ამ პროგრამაში. გარდა ამისა, 15 წუთიანი ფილმის შექმნას დიდი დრო სჭირდება. და ასეთი მოთხოვნა შედეგს მიუღწევებს ხდის მაგისტრატურაში.

ზოგადად, სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს; სასწავლო კურსის შინაარსი უმრავლეს სპეციალობაზე შეესაბამება სასწავლო კურსის სწავლის

შედეგებს, თითოეულ სასწავლო კურსზე გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა შეესაბამება კურსის შინაარსს და სწავლის შედეგებს; საკონტაქტო საათების რაოდენობა შეესაბამება კურსის/საგნის შინაარსს და სწავლის შედეგებს.

სასწავლო გეგმით განსაზღვრული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა შეესაბამება კურსის/საგნის სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას;

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 6: მედიახელოვნება/ციფრული მედია (სადოქტორო პროგრამა, ქართულენოვანი):**

სადოქტორო კურსმა "თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების ტენდენციები" "32 აკადემიურ საათში" სტუდენტს უნდა "შესძინოს ცოდნა მედიახელოვნებაში არსებული ციფრული ტექნოლოგიების სრული სპექტრის შესახებ, და ეფექტურად გამოიყენოს ისინი;" (მიზანი), რომელიც დაუჯერებელია სწავლის დამატებით აღნიშნული აქტიური მეთოდების გათვალისწინებითაც კი; ეს საჭიროებს დაზუსტებას და გამოსწორებას, რათა მოცემული კურსი მართლაც შესაფერისი იყოს სადოქტორო პროგრამისთვის და შესაბამისი ყველა სტუდენტისთვის. პრაქტიკის პროგრამისა და დისერტაციის კონტექსტში, სწავლის ვადა მითითებულია - 4 წელი. რაც უნდა გამოსწორდეს, და პანელი მიიჩნევს, რომ საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებისთვის ერთი და იგივე დოკუმენტია მომზადებული, რაც არ არის სწორი.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 7: მედიახელოვნება/ციფრული მედია (სადოქტორო პროგრამა, ინგლისურენოვანი):**

სადოქტორო კურსმა "თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების ტენდენციები" "32 აკადემიურ საათში" სტუდენტს უნდა "შესძინოს ცოდნა მედიახელოვნებაში არსებული ციფრული ტექნოლოგიების სრული სპექტრის შესახებ, და ეფექტურად გამოიყენოს ისინი;" (მიზანი), რომელიც დაუჯერებელია სწავლის დამატებით აღნიშნული აქტიური მეთოდების გათვალისწინებითაც კი; ეს საჭიროებს დაზუსტებას და გამოსწორებას, რათა მოცემული კურსი მართლაც შესაფერისი იყოს სადოქტორო პროგრამისთვის და შესაბამისი ყველა სტუდენტისთვის.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამები;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- თვითშეფასების ანგარიში.

### კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

#### კლასტერის საერთო რჩევები:

- ქართული/მსოფლიო ხელოვნების ისტორია უნდა განახლდეს ისე, რომ საგანი შეესაბამებოდეს იმ მედიახელოვნების სფეროებს, რომელთაც ეს კურსი ეხება;

**რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)

#### პროგრამა 1: ფოტოხელოვნების საბაკალავრო პროგრამა

##### რეკომენდაციები:

- „საკურსო ნაშრომისა“ და „პორტფოლიოს“ სილაბუსი უნდა გადაიხედოს, რადგან ისინი ნაწილობრივ არათანმიმდევრულია მიზნებისა და მუშაობის მეთოდების თვალსაზრისით;
- რეკომენდებულია, სილაბუსის გადახედვა „2D რასტრული გრაფიკა“, რომელიც ძალიან ზედაპირულია და არ იძლევა შესაძლებლობას, ასწავლოს სტუდენტს ფოტოხელოვნებისთვის საჭირო ხელსაწყოები;
- რეკომენდებულია, მომველებული სავალდებულო ლიტერატურის ახლით ჩანაცვლება;
- სავალდებულო ლიტერატურაში რეკომენდებულია ქართულენოვანი წყაროების ჩართვა;
- დამხმარე ლიტერატურაში რეკომენდებულია უცხოენოვანი წყაროების მითითება;
- პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველსაყოფად, რეკომენდებულია, ინგლისური ენის ცოდნა, როგორც წინაპირობა იმ საგნებისთვის, რომლებსაც არ გააჩნიათ ქართულენოვანი წყაროები;
- რეკომენდებულია, სალექციო ბადის შინაარსის გადახედვა სილაბუსებში: „თავისუფალი პროექტი“, „თავისუფალი პროექტი/თემატური“, „სარეკლამო და საიმიჯო ფოტოგრაფია“, რათა თავიდან იქნას აცილებული შინაარსის გამეორება და დუბლირება;

##### რჩევები:

## **პროგრამა 2: გრაფიკული დიზაინის საბაკალავრო პროგრამა:**

### **რეკომენდაციები:**

#### **რჩევები:**

- მოხდეს მეორე შუალედური - 30 ქულიანი შეფასების კონსოლიდირება და გადანაწილდეს სამ 10-10 ქულიან დავალებებად. ეს კორექტირება შედეგად მოგვემთ სულ 10 სამქულიანი დავალების ან საკლასო სამუშაოს, ერთ 30-ქულიან შუალედურსა და 40-ქულიან დასკვნით გამოცდას.

## **პროგრამა 3: მედიახელოვნება/ციფრული მედია (საბაკალავრო პროგრამა)**

### **რეკომენდაციები:**

- შეფასების სისტემაში ხმის დიზაინი ფასდება, როგორც ცალკე საგანი. ამიტომ აუცილებელია ხმის დიზაინის სწავლება არა მხოლოდ პროგრამების დაუფლების ან მუსიკალური ნაკადის მიმართულებით, არამედ ზოგადად (ხმა, პროგრამები: ბუნებრივი ხმები, მუსიკალური ლაიტმოტივი და ა.შ.);

- გადაიხედოს შესაბამისი კურსები, რათა მათში შევიდეს პრაქტიკული სწავლის (შედეგების) კომპონენტი, რომელიც გაიყვანს სტუდენტებს სკოლის გარეთ, მაგალითად: განთავსება, სტუდიასა და სამუშაო ადგილებზე ვიზიტები, სამუშაოზე ფარული დაკვირვება და ა.შ., ან კლასში შევიდეს რეალური პროექტები. ამით სტუდენტებს მიეცემათ შესაძლებლობა, რეალურ კლიენტებთან ჰქონდეთ შეხება, ჯერ კიდევ კურსის დასრულებამდე.

#### **რჩევები:**

- რეკომენდებულია, აუდიოვიზუალური ხელოვნების სპეციფიკის გათვალისწინებით, შეიცვალოს დისციპლინების - „რეჟისურა“, „დრამატურგია“, „ხმის დიზაინი“- სწავლების პრინციპი.

## **პროგრამა 4: მედიახელოვნება/ ციფრული მედია (სამაგისტრო პროგრამა)**

### **რეკომენდაციები:**

#### **რჩევები:**

- აუცილებელია სადიპლომო სამუშაოს მომზადების წესი ინდივიდუალურად გაიწეროს ორივე საფეხურზე, მაგისტრატურაზე და დოქტორანტურაზე.

**პროგრამა 5: მედიახელოვნება/ციფრული მედიის (ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა)**

**რეკომენდაციები:**

**რჩევები:**

აუცილებელია სადიპლომო ნაშრომის მომზადების წესი ინდივიდუალურად გაიწეროს ორივე საფეხურისთვის, მაგისტრატურაზე და დოქტორანტურაზე.

**პროგრამა 6: მედიახელოვნება/ ციფრული მედიის სადოქტორო პროგრამა**

**რეკომენდაციები:**

**რჩევები:**

- სადოქტორო კურსი „თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების ტენდენციები“ უნდა დაზუსტდეს და დაკორექტირდეს როგორც შედეგების, ისე სწავლა-სწავლების სტრუქტურის თვალსაზრისით, რათა ეს კურსი მართლაც შესაფერისი იყოს სადოქტორო პროგრამისთვის და რელევანტური იყოს ყველა სტუდენტისთვის;

- აუცილებელია სადიპლომო სამუშაოს მომზადების წესი ინდივიდუალურად გაიწეროს ორივე საფეხურზე, მაგისტრატურაზე და დოქტორანტურაზე;

**პროგრამა 7: მედიახელოვნება/ ციფრული მედიის (ინგლისურენოვანი სადოქტორო პროგრამა)**

**რეკომენდაციები:**

**რჩევები:**

- სადოქტორო კურსი „თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების ტენდენციები“ უნდა დაზუსტდეს და დაკორექტირდეს როგორც შედეგების, ისე სწავლა-სწავლების სტრუქტურის თვალსაზრისით, რათა ეს კურსი მართლაც შესაფერისი იყოს სადოქტორო პროგრამისთვის და რელევანტური იყოს ყველა სტუდენტისთვის;

- აუცილებელია სადიპლომო სამუშაოს მომზადების წესი ინდივიდუალურად გაიწეროს ორივე საფეხურზე, მაგისტრატურაზე და დოქტორანტურაზე;

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი 1.5 სასწავლო კურსი/საგანი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
ფოტოხელოვნების საბაკალავრო პროგრამა	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	X	<input type="checkbox"/>
გრაფიკული დიზაინის საბაკალავრო პროგრამა:	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
მედიახელოვნება/ციფრული მედიის საბაკალავრო პროგრამა	<input type="checkbox"/>	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
მედიახელოვნება/ციფრული მედიის სამაგისტრო პროგრამა;	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
მედიახელოვნება/ციფრული მედიის ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა;	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
მედიახელოვნება/ციფრული მედიის სადოქტორო პროგრამა	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
მედიახელოვნება/ციფრული მედიის ინგლისურენოვანი სადოქტორო პროგრამა	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ფოტოხელოვნების საბაკალავრო პროგრამა)	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	X	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (გრაფიკული დიზაინის საბაკალავრო პროგრამა)	<input type="checkbox"/>	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (მედიახელოვნება/ციფრული მედიის საბაკალავრო პროგრამა)	<input type="checkbox"/>	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამა 4 (მედიახელოვნება/ციფრული მედიის სამაგისტრო პროგრამა)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 (მედიახელოვნება/ციფრული მედიის ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 6 (მედიახელოვნება/ციფრული მედიის სადოქტორო პროგრამა)	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 7 (მედიახელოვნება/ციფრული მედიის ინგლისურენოვანი სადოქტორო პროგრამა)	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

## 2.სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება- სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

### 2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ- ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

#### კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიას განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა კლასტერში დაჯგუფებულ პროგრამებში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის. კლასტერში დაჯგუფებული პროგრამებზე მიღების წინაპირობები ლოგიკურია და შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, მიზნებს, დარგების სპეციფიკას და უმაღლესი განათლების დონეს.

ვინაიდან პროგრამაზე დაშვების წინაპირობები მსგავსია უმაღლესი განათლების იმავე საფეხურზე, ანალიზი და აღწერა მოცემულია იმავე საფეხურის პროგრამების ჯგუფისთვის.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1, 2, 3: ფოტოხელოვნება (საბაკალავრო), გრაფიკული დიზაინი (საბაკალავრო), მედიახელოვნება/ციფრული მედია (საბაკალავრო პროგრამები)**

კლასტერში დაჯგუფებულ საბაკალავრო პროგრამებზე მიიღება საშუალო სკოლის ან მასთან გათანაბრებული დიპლომის მქონე პირი ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგებისა და აკადემიის შიდა შემოქმედებითი ტურის საფუძველზე. ეროვნულ გამოცდებზე აბიტურიენტებმა უნდა ჩააბარონ შემდეგი საგნები: ქართული ენა და ლიტერატურა, უცხო ენა.

თსსა-მ შეიმუშავა შემოქმედებითი ტურის დებულება, რომელიც დაწესებულების ვებგვერდზეა ხელმისაწვდომი. შემოქმედებითი ტურის შესახებ ინფორმაცია კანდიდატებისთვის ხელმისაწვდომია გამოცდამდე 2 თვით ადრე. შემოქმედებითი ტურის ადმინისტრირების პროცესი სტუდენტებთან გასაუბრების დროს განიხილეს. სტუდენტები კმაყოფილები არიან შემოქმედებითი ტურის შეფასებით და ადმინისტრირების პროცესით. სტუდენტებმა ასევე განაცხადეს, რომ შემოქმედებითი ტურის შეფასების კრიტერიუმები მათთვის ტურის დაწყებამდე იყო ცნობილი და რომ მათ ჰქონდათ შეფასების გასაჩივრების შესაძლებლობა. გასაუბრებაზე დამსწრე ერთ-ერთმა სტუდენტმა განაცხადა, რომ მათ გამოიყენეს ეს შესაძლებლობა. სტუდენტების აზრით უკეთესი იქნებოდა შედეგების უფრო მკაფიო კრიტერიუმები სცოდნოდან - ანუ შეფასების რანჟირება. ეს დაწესებულებას რჩევის სახით შეიძლება წარმოვუდგინოთ, ვინაიდან კრიტერიუმები მიეწოდებათ სტუდენტებს და მათთვის წინასწარ არის ცნობილი, არ არსებობს საფუძველი ვიფიქროთ, რომ მიღების წინაპირობები, მათ შორის შემოქმედებითი ტურის შეფასება შეცვლას საჭიროებს.

აბიტურიენტების მიღება შესაძლებელია ეროვნული ერთიანი გამოცდების გარეშეც, კანონის შესაბამისად. მოწოდებული ინფორმაცია გამჭვირვალე და ადვილად ხელმისაწვდომია. ასევე ხელმისაწვდომია კლასტერის საბაკალავრო პროგრამებზე ჩარიცხვის შესაძლებლობა, რაც შეესაბამება კანონს.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 4, 5: მედიახელოვნება/ციფრული მედია (სამაგისტრო), მედიახელოვნება/ციფრული მედია (ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამები)**



კლასტერში დაჯგუფებული სამაგისტრო პროგრამებისთვის, მიღების წინაპირობა არის ბაკალავრის დიპლომი. კანდიდატების მიღება შესაძლებელია ერთიანი სამაგისტრო გამოცდის ჩაბარებით ან მის გარეშე. კანდიდატმა უნდა ჩააბაროს თსსა-ს ტესტი ინგლისურ ენაში და გამოცდა სპეციალობაში. ინგლისური ენის ცოდნის აუცილებელი დონეა B2, რაც შეიძლება დადასტურდეს თსსა-ს გამოცდის ან საერთაშორისოდ აღიარებული ენის ცოდნის დამადასტურებელი სერთიფიკატის მიწოდებით.

ინფორმაცია პროგრამებზე მიღების შესახებ არის გამჭვირვალე და ხელმისაწვდომი.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 6, 7: მედიახელოვნება/ციფრული მედიის სადოქტორო, მედიახელოვნება/ციფრული მედია (ინგლისურენოვანი სადოქტორო პროგრამები)**

კლასტერში დაჯგუფებულ სადოქტორო პროგრამებზე დასაშვებად პირს უნდა ჰქონდეს მაგისტრის ხარისხი ნებისმიერ სფეროში. იმის დასამტკიცებლად, რომ კანდიდატს აქვს შესაბამისი ცოდნა და უნარ-ჩვევები, რომელიც შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, საჭიროა 3 წლიანი სამუშაო გამოცდილება შესაბამის სფეროში. კანდიდატს ასევე უნდა ჰქონდეს პოტენციური ხელმძღვანელის თანხმობა და უნდა წარმოადგინოს კვლევის გეგმა, პრობლემები და ა.შ.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- თვითშეფასების ანგარიში;
- კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების აღწერა;
- გასაუბრებების შედეგები.

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** არ არის მითითებული

**კლასტერის საერთო რჩევები:** არ არის მითითებული

**რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:** არ არის მითითებული

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი 2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
ფოტოხელოვნების საბაკალავრო პროგრამა	•	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
გრაფიკული დიზაინის საბაკალავრო პროგრამა:	•	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
მედიახელოვნება/ ციფრული მედიის საბაკალავრო პროგრამა	•	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
მედიახელოვნება/ ციფრული მედიის სამაგისტრო პროგრამა	•	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
მედიახელოვნება/ ციფრული მედიის ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა	•	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
მედიახელოვნება/ ციფრული მედიის სადოქტორო პროგრამა	•	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
მედიახელოვნება/ ციფრული მედიის ინგლისურენოვანი სადოქტორო პროგრამა	•	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

**2.2.** პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება. მხოლოდ კლასტერული სწავლის შედეგების შესაბამისად, პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი/ სამოქმედო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

**კლასტერული**

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

როგორც ჩანს, **პლაგიატი ChatGPT ახალ ეპოქაში**, სერიოზულად არის გაშუქებული მოცემულ პროგრამებში, რომლებიც ცდილობენ მის წინააღმდეგ ბრძოლას მრავალ დონეზე (თუნდაც პლაგიატს ვიზუალურ ხელოვნებაში), მალე სახელმწიფო ჩაატარებს სემინარს ხელოვნური ინტელექტის შესახებ. ეს ყველაფერი პანელს კარგ პრაქტიკად მიაჩნია და შემდგომშიც უნდა გაგრძელდეს.

კურსდამთავრებულებმა ასევე ერთსულოვნად გამოთქვეს რეალური პრაქტიკული გამოცდილების აუცილებლობა სკოლის გარეთ, ან თუ შიგნით, მაშინ რეალურ პროექტებში; მათ ასევე ურჩევნიათ სწავლის დროს ეწვიონ რეალურ სამუშაო ადგილებს - ეს დიდწილად დაადასტურეს სტუდენტებმაც. მათ არ ჰქონდათ დასაქმების რეალობასთან და „რეალურ კლიენტებთან“ შეხება.

კლასტერში დაჯგუფებული პროგრამებისთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანია სარეკლამო სააგენტოებთან, ტელევიზიებთან და გამომცემლობებთან თანამშრომლობის გადრმავება. სამუშაო ბაზრის ეს სექტორები კარგად ერკვევიან თანამედროვე ტექნოლოგიებსა და მიდგომებში და კარგად ესმით მომხმარებელთა ტენდენციები და ყოველდღიური მოთხოვნები.

მათი გამოცდილების ჩართვა სასწავლო პროგრამებში გააუმჯობესებს სტუდენტების განათლების ხარისხის შესაბამისობას ვაკანტურ პოზიციებზე დამსაქმებლის სპეციფიკურ მოთხოვნებთან. ამის გათვალისწინებით, კურსდამთავრებულებს აღარ დასჭირდებათ დამატებითი საკვალიფიკაციო კურსების გავლა და მოერგებიან შრომის ბაზრის მოთხოვნებს.

ხშირი ერთობლივი სამეცნიერო კონფერენციები, რომელშიც კლასტერის ყველა პროგრამის სტუდენტი მონაწილეობს პროფესორებთან ერთად, საშუალებას მისცემს სტუდენტებს სხვადასხვა დონეზე და სხვადასხვა პროგრამებში გაცვალონ აკადემიური მოსაზრებები მიმდინარე საკითხებზე. ეს თანამშრომლობა ხელს შეუწყობს სამეცნიერო კვლევების წინსვლას. შედეგად, მყისიერად გამოვლინდება ინდუსტრიის სპეციფიკური პრობლემები, რაც აქტუალური საკითხების ოპტიმალური გადაწყვეტილებების აღმოჩენას გამოიწვევს. ამ გამოცდილების მქონე კურსდამთავრებულები დამსაქმებლებისთვის ღირებული აქტივები ხდებიან, რადგან ასეთი პირებით დაკომპლექტებულ ორგანიზაციებს თავიანთ კონკურენტებთან უპირატესობა აქვთ.

სტუდენტების პრაქტიკული უნარების გასაუმჯობესებლად საჭიროა ინდუსტრიის მოთხოვნების შესაბამისი ტექნიკით აღჭურვილი ლაბორატორია. ეს ობიექტი სტუდენტებს შესაძლებლობას მისცემს გამოიყენონ თავიანთი თეორიული ცოდნა პრაქტიკულ გარემოში. მეორე მხრივ, პროფესორებს საშუალება ექნებათ პრაქტიკული დაკვირვებებითა და ექსპერიმენტებით გააანალიზონ ტექნოლოგიური პროგრესის უპირატესობა, რაც შესაძლოა მაღალი სამეცნიერო ღირებულების მქონე ახალი ნაშრომების შექმნის წინაპირობა გახდეს.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, ფაკულტეტს აქვს მკაფიოდ განსაზღვრული მიმართულება აღნიშნული კლასტერის განვითარებისთვის. თუ ეს ინიციატივები განხორციელდება, ეს ამაღლებს განათლებისა და კვლევის ხარისხს, რაც გამოიწვევს ამ ფაკულტეტის კურსდამთავრებულებზე მოთხოვნას შრომის ბაზარზე. გარდა ამისა, ფაკულტეტის წევრების მიერ ჩატარებული ღირებული სამეცნიერო კვლევის შედეგად, მათი ნაშრომები უფრო ხშირად იქნება ციტირებული იმპაქტ- ფაქტორის ჟურნალებში.

დამსაქმებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ სტუდენტებს ჰქონდათ სპეციალიზებული ტრენინგები იმ სფეროებში, სადაც მათ ამჟამად ცოდნა აკლიათ. დამსაქმებლებთან ერთად უფრო კრიტიკულად უნდა იქნას შესწავლილი არსებული

მდგომარეობა, რაც მომგებიანი შეიძლება აღმოჩნდეს სტუდენტისთვის. მიღებული ცოდნა ემსახურება კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების დახვეწასა და ოპტიმიზაციას, რომლის საბოლოო მიზანია სწავლის დასრულებისას სტუდენტებს საფუძვლიანი ცოდნა ქონდეთ, რომელიც შეესაბამება დამსაქმებლების და უფრო ფართო ბაზრის მოლოდინსა და მოთხოვნებს.

**საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით**

**აღწერა და ანალიზი**

-

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- პროგრამის დოკუმენტაცია
- ინტერვიუს შედეგები.

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:**

● რეკომენდებულია, შრომის ბაზრის საფუძვლიანი ემპირიული ანალიზის ჩატარება, რაც მიზნად ისახავს ზუსტად დადგინდეს ის რეკვიზიტები, რომლებიც საჭიროებენ დამსაქმებლების მიერ აღნიშნული დამატებითი სწავლების აუცილებლობას კურსდამთავრებულებისთვის. ამ ემპირიული კვლევის შემდეგ, სასწავლო კურსები უნდა დაკორექტირდეს, გამოვლენილი მოთხოვნების შესაბამისად. ეს ძალისხმევა უზრუნველყოფს კლასტერის კურსდამთავრებულებისთვის აუცილებელი ცოდნის სფეროების ყოვლისმომცველ დაფარვას, შრომის ბაზრისა და დამსაქმებლების მიერ გამოხატული კონკრეტული მოთხოვნების შესაბამისად;

**კლასტერის საერთო რჩევები:**

